# არსენალი

„კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. №7 (12). ივლისი. 2005. ფასი 1,5 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა
1425 /2
2005



„შევარდნაძის ჩაი სააკაშვილს ქართულმა ჯავშანჟილეტმა მოანდომა"

საზღვაო ტრაგედიები

ყველაზე ძვირი და უძლიერესი გამანადგურებელი

კანიბალი იმპერატორი

C-125 საქართველოს ცის სადარაჯოზე

თურმე ატომური ბომბებიც იკარგება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლე ბურჟე-2005 გიგანტური „აერობუსის“ ფრთებმა „დაჩრდილა“ 6



ისრაელის სპეცრაზმის იარაღი — Micro-Galil 54



კანიბალი იმპერატორი 38

მიხეილ სააკაშვილს „შევარდნაძის ჩაი“ ქართულმა ჯავშანჟილეტმა მოანდომა 18





მაშველები — კატასტროფის უნივერსალები 34



ლინკოლნი ტალახშიც Lincoln-ია 50

# სარჩევი


ახალი ამბები

4 მოკლე ინფორმაციები

შოუ

6 ლე ბურჟე-2005 გიგანტური „აერობუსის" ფრთებმა „დაჩრდილა"

კალეიდოსკოპი

8 უცხოეთის ამბები

სპეცსამსახურები

10 რა უნდა ვიცოდეთ სატელეფონო მოსმენის შესახებ

12 ეკონომიკური დივერსიები და საბოტაჟი „კგბ"-ს არსენალში

მკითხველის გვერდი

14 სტაციონარული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-125

კონსულტაცია

17 კვალიფიციური რჩევები

17 სამხედრო ლექსიკონი

ნოუჰაუ

18 თანამედროვე ჯავშანჟილეტები

სამხედრო ისტორიები

20 თურმე ატომური ბომბებიც იკარგება

ნადირობის მოყვარულთათვის

22 ჯასტინ-რენეტის მომაჯადოებელი სიძველე

24 სახალისო სტატისტიკა

იარაღი

25 ყველაზე ძვირი, მაგრამ ყველაზე მაგარი მეხუთე თაობის გამანადგურებელი

კომპანიონი

30 ლაბრადორი

33 ლაბრადორი ჯორჯ სოროსს გააკოტრებს?

ექსტრიმი

34 მაშველები – კატასტროფის უნივერსალები

რჩევები

36 როგორ მოვხიბლოთ სუსტი სქესი

ლეგენდარული ადამიანები

38 კანიბალი იმპერატორი

მეზობელო კარისაო...

43 თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალები

კატასტროფები

46 ტრაგედია საზღვაო სწავლებებზე

კროსვორდი

47 არსენალკროსვორდი

გადარჩენის სკოლა

48 როგორ ვძლიოთ შიშს

სუპერმობილი

50 ლინკოლნი ტალახშიც Linkoln-ია

„არსენალის" იარაღის მაღაზია

54 „მიკროკალაშნიკოვი" ებრაულად


## რედაქტორის სვეტი

მიუხედავად გადაულებელი წვიმებისა, ვფიქრობთ, ზაფხული მალე დაიბრუნებს „კანონიერ უფლებებს" და ცხელი დღეებითაც გაგვიმასპინძლდება. ეს დღეები „ცხელი" შეიძლება გადატანითი მნიშვნელობითაც გახდეს. მოგეხსენებათ, დაძაბულობა არ იკლებს ცხინვალის რეგიონში. არადა, ახალი შეიარაღებული კონფლიქტის წარმოქმნა საქართველოს ინტერესებში არ შედის. ახლა ჩვენი ქვეყნისთვის უმთავრესი მიზანი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, რასაც წესით, სამხედრო ძალების გაძლიერება უნდა მოჰყვეს.

ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ცდას არ აკლებს და „ჩვენებურ" სეპარატისტებსაც აქტიურობისკენ მოუწოდებს, რათა საქართველო საბრძოლო მოქმედებებში ჩაითრიოს. ჩვენს ხელისუფლებას სერიოზული მუშაობა მართებს, რომ მოქალაქეების ინტერესებიც დაიცვას და პროვოკაციაზეც არ წამოეგოს.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

**ყურადღება!**
სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში. ტელ: 42-43-40


რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია


ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში


გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, აკურის ქუჩა №8. (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 42-43-46
ფაქსი: 98-74-44
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რამსფელდი და ოქრუაშვილი კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებას ემხრობიან



მოგეხსენებათ, ივნისში საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ვაშინგტონს სტუმრობდა. პენტაგონში შეხვედრისას, მინისტრებმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგების საკითხები განიხილეს.

როგორც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი იტყობინება, სამხედრო უწყების მეთაურები შეთანხმდნენ, რომ კონფლიქტები საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით უნდა მოწესრიგდეს.

მოლაპარაკებების მეორე მნიშვნელოვანი თემა საქართველოს ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობისა და ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ თანამშრომლობის ფარგლებში არსებული გეგმის შესრულება გახდა.

ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ 2006 წლის ბოლოსათვის ალიანსში შესვლის კანდიდატი გახდეს. ამაში თბილისს ვაშინგტონის დახმარების იმედი აქვს. სხვა საკითხებთან ერთად განიხილებოდა სამხედრო თანამშრომლობის სფეროში არსებული თემები, მათ შორის, აშშ-ის მიერ ქართველი ოფიცრების მომზადების პროგრამის რეალიზაცია. „არ გვსურს, რომ რომელიმე არაკეთილგანწყობილი ქვეყანა გვაფერხებდეს და ამით ხელს უშლიდეს ჩვენს სწრაფვას ნატოსკენ. გვსურს ჩვენი ამერიკელი კოლეგები დავარწმუნოთ იმაში, რომ საქართველოს ალიანსში გაწევრებისას შეიძლება დაუჭირონ მხარი კონფლიქტურ ზონებთან დაკავშირებული საკითხის მოგვარების გარეშეც, – განაცხადა ოქრუაშვილმა. მისივე თქმით, ამერიკული მხარე მაღალ შეფასებას აძლევს საქართველოს თანამონაწილეობას ერაყის სამშვიდობო ოპერაციებში.

მიმდინარე წლის დასაწყისიდან ერაყში 859 ქართველი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება, რომლებიც სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობენ. აღსანიშნავია, რომ შევარდნაძის რეჟიმის შეცვლის შემდეგ, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ სამხედრო წარმომადგენლობა ერაყში 359-დან 859 მებრძოლამდე გაზარდა. სამასი კაცი ბაქუბაში მსახურობს, დანარჩენები – ბაღდადში.

ერაყში ვითარების კომენტირებისას დონალდ რამსფელდმა მაღალი შეფასება მისცა ქართველების მონაწილეობას ოპერაციებში. მან განსაკუთრებულად აღნიშნა ჩვენებურების გამბედაობა და თავდადება. მისი თქმით, ისინი ანტიტერორისტული კოალიციის შემადგენლობაში ღირსეულად წარმოადგენენ სამშობლოს.

## ბაზების გაყვანის პროექტი შეთანხმებულია



საქართველომ და რუსეთმა დელეგაციების ხელმძღვანელების დონეზე შეათანხმეს „საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი საქართველოდან გაყვანის შესახებ“ შეთანხმების პროექტის ტექსტი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მოსკოვში გაიმართა საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენელთა მორიგი კონსულტაციები სამხედრო საკითხებზე. კონსულტაციებზე საქართველოს დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე ხელმძღვანელობდა, ხოლო რუსეთის დელეგაციას – რუსეთის საგარეო უწყების საგანგებო დავალებათა ელჩი იგორ სავოლსკი.

პროექტის ტექსტის შეთანხმებასთან ერთად, მხარეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტს უახლოეს მომავალში მოეწერება ხელი.

## რეზერვისტთა მომზადების ახალი ცენტრი

თელავის რაიონის სოფელ შაქრიანის ტერიტორიაზე რეზერვისტთა მომზადების ახალი ცენტრი გაიხსნა. როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ გვარდიაში აცხადებენ, თელავში რეზერვისტთა მომზადების ცენტრის გახსნა მას შემდეგ გადაწყდა, რაც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ცხინვალიდან 9 კილომეტრში მდებარე სოფელ ძევერას ტერიტორიაზე რეზერვისტთა ბანაკი შერეული საკონტროლო კომისიის, რუსეთის სამშვიდობოთა სარდლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნით გაუქმდა.

როგორც დე ფაქტო ცხინვალის მთავრობა აცხადებდა, ქართული მხარე ძევერაში რეზერვისტების მომზადებით არღვევდა შეთანხმებას „ცეცხლის შეწყვეტის“ შესახებ, რომლის მიხედვითაც კონფლიქტის ზონის ტერიტორიაზე არ უნდა არსებობდნენ შეიარაღებული ჯგუფები და მით უმეტეს, არ უნდა მიმდინარეობდეს სამხედროების წვრთნა. ქართულმა მხარემ კეთილი ნება გამოიჩინა და ძევერას ბანაკის გაუქმებაზე თანხმობა განაცხადა.



## სასაზღვრო ოპერაცია "საფარი-2005"

ზაფხულის დადგომასთან ერთად სასაზღვრო დეპარტამენტმა სახელმწიფო საზღვრის გაძლიერება დაიწყო. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე უკვე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დაიწყო სასაზღვრო ოპერაცია „საფარი-2005“.

ოპერაცია აღნიშნულ მიმართულებებზე დამატებითი სასაზღვრო სექტორებისა და დროებითი პოსტების გახსნას გულისხმობს. ოპერაციის ფარგლებში ასევე გაიზარდა სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა. სასაზღვრო ოპერაციას საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, სახმელეთო საზღვრის დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, ბრიგადის გენერალი კორნელი სალია ხელმძღვანელობს. „საფარი-2005“ გვიან შემოდგომამდე გაგრძელდება.

## სოხუმში ბირთვული მასალები არ დაკარგულა?!



სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის ხელმძღვანელობა უარყოფს ქართული წყაროების ინფორმაციას ამ სამეცნიერო დაწესებულებაში ბირთვული მასალების დაკარგვის შესახებ. ინსტიტუტის დირექტორმა ანატოლი მარკოლიამ განაცხადა, რომ ყველა რადიოაქტიური ნივთიერება, რომელიც ინსტიტუტში გააჩნიათ, საიმედოდ ინახება, რაც 2002 წელს „მაგატეს“ კომისიამაც დაადასტურა. „სამი წლის მანძილზე ამ ნივთიერებების შენახვის პირობები არ გაუარესებულა. რადიოაქტიური ფონი როგორც ინსტიტუტის, ასევე რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ნორმას არ აღემატება“, – ხაზი გაუსვა მარკოლიამ.

მისი თქმით, ქართულმა საინფორმაციო წყაროებმა ეს ცნობა იმ მიზნით გაავრცელეს, რომ ხელი შეეშალათ იმ დამსვენებელთათვის, რომლებიც ზაფხულში აფხაზეთში აპირებენ ჩასვლას. „მაგატეს“ სპეციალისტების შესაძლო ჩამოსვლასთან დაკავშირებით, მარკოლიამ აღნიშნა, რომ ამ ვიზიტის საწინააღმდეგო არაფერი აქვს და დასძინა, რომ მათ უსაფრთხოებას აფხაზეთში არაფერი ემუქრება.

ამ საკითხზე თავისი კომენტარი გააკეთა აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა სტანისლავ ლაკობამაც. მან აღნიშნა, რომ ინსტიტუტში შენახული რადიოაქტიური ნივთიერებები საფრთხეს არავისათვის არ წარმოადგენს. მისი თქმით, 1993 წლის სექტემბერში ინსტიტუტის ტერიტორიაზე არსებულ ბუნკერში ედუარდ შევარდნაძე იმალებოდა, რომელიც ამჟამად ცოცხალია და თავსაც მშვენივრად გრძნობს.

## სოციალური შეღავათები "მებრძოლი ჟურნალისტებისთვის"

საქართველოს მთავრობა ორთვიანი უარყოფითი პოზიციის შემდეგ დაეთანხმა „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ კანონში ცვლილების შეტანას. აღნიშნული ცვლილებით, იმ ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე ბრძოლებს აშუქებდნენ, კომუნალურ გადასახდებზე შეღავათები გავრცელდება.

მთავრობა უარზე ამდენ ხანს იმიტომ იყო, რომ ვერ განისაზღვრა ამ კატეგორიის ადამიანთა ზუსტი რაოდენობა და მიიჩნევდნენ, რომ მათი რიცხვის დადგენა გაჭირდებოდა.

შერავათებით მოსარგებლეთა ზუსტი რაოდენობის დასადგენად მომზადდა იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც გავრცელდება საკანონმდებლო შეღავათი. ერთ-ერთი ამგვარი დოკუმენტი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სამივლინებო




ფურცელი იქნება. მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი უკვე შეხვდა ზემოთ აღნიშნული კატეგორიის ჟურნალისტებს. ასე რომ, „ნაომარი ჟურნალისტების“ ბრძოლა სოციალური შეღავათებისთვის წარმატებით დასრულდა.

## ჯავშანსატანკო ქარხნის გადმოცემის შესახებ დოკუმენტაცია გაფორმდა




142-ე ჯავშანსატანკო ქარხნის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებიდან ქართული მხარისათვის გადმოცემის ოფიციალური დოკუმენტაცია ხელმოწერილია. დოკუმენტებს ხელი მოაწერეს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა გრიგორი ვასილენკომ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კომისიის ხელმძღვანელმა გიორგი ხოსრუაშვილმა.

დოკუმენტების ხელმოწერით ქართული მხარისათვის ქარხნის გადმოცემის პროცესი დასრულდა, რითაც შესრულდა საქართველოსა და რუსეთს შორის 2004 წელს მიღწეული შეთანხმება.

**საინფორმაციო სააგენტოებზე დაყრდნობით მოამზადა იზო რიკაძემ**



საქართველოს პარლამენ...
ეროვნული ბიბლიოთ...



A380-800 „აერობუსი" გამოფენის „ბატონ-პატრონად" იქცა



ლე ბურჟე-2005

# გიგანტური „აერობუსის" ფრთებმა „დაჩრდილა"

## ფოტორეპორტაჟი საავიაციო გამოფენიდან



ლე ბურჟეს საჰაერო შოუ ყოველთვის დამთვალიერებელთა დიდი ინტერესით სარგებლობს

13-19 ივნისს საფრანგეთში, პარიზის სიახლოვეს, ლე ბურჟეში მორიგი, 46-ე ავიაკოსმოსური სალონი PARIS AIRSHOW-2005 გაიმართა.

გამოფენაზე მონაწილეობა 41 ქვეყნის 19 ათასმა ექსპონატმა მიიღო, რომლებიც ნახევარ მილიონზე მეტმა ადამიანმა დაათვალიერა!

ამ საოცარი და დაუჯერებელი ციფრების მიუხედავად, ძალიან შთამბეჭდავად გამოჩნდა სალონის მთავარი ღირსშესანიშნაობის — გიგანტური სამგზავრო ლაინერის — A380-800 Airbus-ის ჩვენება, რომლის უზარმაზარმა ფრთებმა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით გამოფენის სხვა ექსპონატები დაჩრდილა.

გამოფენაზე ერთმა ინდურმა ფირმამ ხუთი A-380-ის შესყიდვაზე გააფორმა ხელშეკრულება, რაც უდიდეს ფინანსურ გარიგებად ითვლება, რადგან სალონებზე, როგორც წესი, ასეთ კონტრაქტები არ იდება.

მართალია, წლეულს ლე ბურჟეს ავიაკოსმოსურ გამოფენაზე ძირითადად სამგზავრო თვითმფრინავები დომინირებდნენ, სამხედრო დანიშნულების ავიაცია ცაში საოცარ საჰაერო პირუეტებს ატარებდა, რითაც მაყურებელს აკვირვებდა.

ევროპული Typhoon-ი, ფრანგული Rafale-ი, ამერიკული F/A-18E/F Super Hornet-ი, თუ რუსული Су-27СКМ-ი გამოფენის თავზე ისეთ საჰაერო მარყუჟებს



TYPHON-მა ტაიფუნივით გადაუქროლა გამოფენაზე შეკრებილ მაყურებლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკეთებდნენ, რომ მიწაზე მყოფთ სუნთქვა ეკვროდათ.

ამერიკელებმა 2003 წელს ლე ბურჟეს გამოფენის იგნორირება მოახდინეს იმის გამო, რომ პარიზმა მკვეთრად გააკრიტიკა პენტაგონის ლაშქრობა ერაყში. თუმცა წლეულს ამერიკელები კვლავ დაუბრუნდნენ ლე ბურჟეს.

სამწუხაროდ, საფრანგეთს ვერ ეწვივნენ უკრაინელები. ისინი ხუთი სატრანსპორტო თვითმფრინავის, მათ შორის, გიგანტური Ан-225 Мрія-ს ჩვენებას აპირებდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ევროპელი სასამართლო აღმასრულებლები უკრაინის მთავრობის ქონების დაყადაღებას ცდილობდნენ, ვერ გაეკარნენ ლე ბურჟეს. კიევს სურდა ბაქოსთვის მიყიდულ Ан-124 Руслан-ს აზერბაიჯანის დროშით მაინც ეფრინა ლე ბურჟეში, თუმცა ბიუროკრატიული მიზეზების გამო ესეც ვერ მოხერხდა.

სხვათა შორის ამ სტატიის ავტორი 2001 წელს თავად იყო ლე ბურჟეს გამოფენაზე უზარმაზარი ექვსძრავიანი Ан-225 Мрія-ს ძალზე შთამბეჭდავი ფრენის მხილველი.

ამჯერად საქართველოს დელეგაციას, რომელსაც „თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორი ნოდარ ბერიძე ხელმძღვანელობდა, ლე ბურჟეში მხოლოდ სტენდი ჰქონდა გამოფენილი. თუმცა ესეც საკმარისი გამოდგა, რომ ბევრი უცხოელი (განსაკუთრებით კი აფრიკის კონტინენტიდან) დაინტერესებულიყო ქართველი თვითმფრინავმშენებლების წინადადებებით. ისინი, ძირითადად, იმით დაინტერესდნენ, რომ „თბილავიამშენი“ მათ საბჭოთა წარმოების МиГ-21 გამანადგურებლების, Су-25 მოიერიშე თვითმფრინავებისა და Ми-ს თითქმის ყველა ტიპის შვეულმფრენის კაპიტალურ რემონტს სთავაზობდა. მნახველი არც TAM JET-ის პირველი ქართული რეაქტიული ბიზნესკლასის თვითმფრინავის მაკეტს აკლდა.

ყველაზე საინტერესო კი ის ფაქტი გახლდათ, რომ ფრანგებმა ცოტა ხნის წინ ეიფელის კოშკის წინ გამოფინეს მეორე მსოფლიო ომის დროინდელი Як-3 ტიპის გამანადგურებელი. თავის დროზე სტალინმა 40 ასეთი გამანადგურებელი იმ ფრანგ პილოტებს აჩუქა, რომლებიც გერმანელებს საბჭოთა ფრონტებზე ებრძოდნენ. მათგან მხოლოდ ერთი Як-3 გადარჩა, რომელიც მუზეუმიდან ეიფელის კოშკის წინ დროებით გადაიტანეს.

„არსენალის“ ინფორმაციით, ეს Як-3 თავის დროზე სწორედ თბილისის 31-ე საავიაციო ქარხანაში დაამზადეს. ასე რომ, პარიზსა და ლე ბურჟეს წლეულსაც „სტუმრობდა“ საქართველოში დამზადებული საბრძოლო თვითმფრინავი (Су-25КМ „სკორპიონი“ ლე ბურჟეში, 2001 წელს იყო წარმოდგენილი).

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



საჰაერო წარმოდგენებში სპეცმანქანებიც მონაწილეობდნენ


ფრანგებმა სტუმრებს „რაფალი“ „აუფრიალეს“



შოუ ძირითადად სამოქალაქო ავიაციას დაეთმო...


თბილისში აწყობილი Як-3 ფრანგულ მიწაზეც კარგად გრძნობს თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ გამოკვებავს კიმ ჩენ ირის არმიას

ამერიკის შეერთებული შტატები ჩრდილოეთ კორეაში გაეროს პროგრამის ფარგლებში, 50000 ტონაზე მეტ სურსათს უფასოდ გაგზავნის. „პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს აქცია არ არის დაკავშირებული ჩრდილოეთ კორეასთან ბირთვულ პროგრამაზე მოლაპარაკებებთან“, – აღნიშნავს გაზეთი „გარდიანი“.

თეთრი სახლის პრესმდივნის, სკოტ მაკლელანის თქმით, „სურსათი არ უნდა იქნეს გამოყენებული დიპლომატიური ზეგავლენის მიზნით. აშშ მუდამ ზრუნავდა მოშიმშილე ხალხზე და ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სურსათი სწორედ მათ ხელში მოხვდება, ვისაც სჭირდება და არა მთავრობის ან არმიის ხელში“.

ამჟამად კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში სრულფასოვანი სასურსათო ულუფები მხოლოდ მთავრობის წევრებსა და სამხედრო მაღალჩინოსნებს ეძლევათ. ქვეყანაში შესული სურსათი უპირველესად სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ნაწილდება.

გასულ წელს აშშ-მა ჩრდილოეთ კორეას უფასოდ გადასცა 50000 ტონა სურსათი, 2003 წელს კი 100000 ტონა. მიუხედავად იმისა, რომ ჯორჯ ბუში კომუნისტურ კორეას „ბოროტების ღერძს“ უწოდებს, ხოლო ოფიციალური ვაშინგტონი კი მტერს, აშშ კორეის მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული სურსათის კვლავაც ერთ-ერთი მსხვილი მიმწოდებელია.

# ჯაშუში თვითმფრინავის U-2-ის კატასტროფა



ამერიკული მზვერავი თვითმფრინავი U-2 არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში განთავსებულ სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზაში დაჯდომისას ჩამოვარდა. პილოტი დაიღუპა. მზვერავი თვითმფრინავი ავღანეთიდან ბრუნდებოდა. აშშ-ის მთავრობამ დაიწყო ინციდენტის გამოძიება. ამერიკული წყაროების ინფორმაციით, „მტრულ დაცხრილვას ადგილი არ ჰქონია“.

# პენტაგონმა ისრაელთან სამხედრო თანამშრომლობა ნაწილობრივ აკრძალა

აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ ოფიციალურად აღიარა, რომ ისრაელთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობა მკვეთრად შემცირდა მას შემდეგ, რაც ისრაელმა ჩინეთს ზოგიერთი სამხედრო ტექნოლოგია მიჰყიდა. პენტაგონის წარმომადგენლის, ბრაიან უიტმენის თქმით, აშშ-მა შეაჩერა ისრაელთან რამდენიმე ერთობლივ პროექტზე მუშაობა. ამასთან, უიტმენმა ხაზი გაუსვა, რომ ლაპარაკი არ არის სამხედრო ტექნოლოგიების ისრაელისთვის გადაცემის „მთლიან აკრძალვაზე“.




„ისრაელში იციან, რაც უნდა გააკეთონ... ეს მათი საქმეა, მაგრამ ჩვენ პრობლემები არ უნდა შეგვიქმნან, საამისოდ ყველა ზომა უნდა მიიღონ“, – განაცხადა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, რომელმაც ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა. არაოფიციალური მონაცემებით, ამერიკის ადმინისტრაციამ შეზღუდა ისრაელის მონაწილეობა რამდენიმე პროგრამაში, მათ შორის, მეხუთე თაობის გამანადგურებლის, JOINT STRIKE FIGHTER-ის შექმნაში. გარდა ამისა, შეჩერებულია თანამშრომლობა ტაქტიკური რაკეტებისგან თავდასაცავი ლაზერული იარაღის შემუშავების პროგრამაში.

აშშ-სა და ისრაელს შორის ურთიერთობის კრიზისი უპილოტო თავდამსხმელების, Harpy-ს ჩინეთისთვის მიყიდვის შემდეგ დაიწყო. პენტაგონში ფიქრობენ, რომ ისრაელმა ბოლო დროს მოდერნიზება გაუკეთა ამ აპარატებს და სრულყოფილი სათადარიგო ნაწილები ჩინეთში გაგზავნა. თავის მხრივ, ისრაელი ირწმუნება, რომ სათადარიგო ნაწილები კონტრაქტის პირობების თანახმად შეიცვალა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ ისრაელსა და ჩინეთს შორის დადებული სამხედრო კონტრაქტები ისრაელის თავდაცვის მინისტრ შაულ მოფაზთან მოლაპარაკებების თემა გახდა. რაისის თქმით, მოფაზმა დაარწმუნა სახელმწიფო მდივანი, რომ ისრაელისთვის გასაგებია ამერიკის ადმინისტრაციის შეშფოთება. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა სილვან შალომმა კი აშშ-ს მოუბოდიშა და განაცხადა, რომ ისრაელის მთავრობას არავითარ შემთხვევაში არ სურს ამერიკის ინტერესების შელახვა.

# რუსეთმა ბირთვული იარაღის შემცირების გეგმას გადააჭარბა

„რუსეთმა ბირთვული იარაღის შემცირების გეგმას 11%-ით გადააჭარბა“, – განაცხადა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მე-12 მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელმა, გენერალ-პოლკოვნიკმა იგორ ვალინკინმა.

„ორი პრეზიდენტის მიერ წამოყენებული ინიციატივების თანახმად, რუსეთმა ვალდებულებები სრულად შეასრულა და გადააჭარბა კიდეც, – განაცხადა ვალინკინმა, – ჩვენ უნდა შეგვემცირებინა ბირთვული სამხედრო მასალების 64%, ჩვენ კი 75%-ით შევამცირეთ. 11%-ით მეტი. ეს ეხება ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს“.

ვალინკინის თქმით, შესაბამისად შემცირდა ამ იარაღის საცავების რაოდენობაც: „საცავების რაოდენობა ორჯერ შემცირდა – სულ 20-ზე მეტი იყო“.

თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, დარჩა მხოლოდ ის ობიექტები, რომლებშიც მომავალში ბირთვული საბრძოლო მასალები შეინახება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იაპონია აშშ-ის სამხედრო ძალების შემცირებას ითხოვს



იაპონიის პრემიერ-მინისტრი ძიუნიტირო კოიძუმი ოკინავაში ამერიკის ჯარების შემცირებას აპირებს.

ახლახან ოკინავამ მეორე მსოფლიო ომის დასასრულს მომხდარი სისხლიანი შეტაკების დასრულების 60 წლისთავი აღნიშნა.

კუნძულ ოკინავაზე ამერიკის დესანტთან შეტაკება 1945 წლის 1-ელ აპრილს მოხდა. დაიღუპა 94 ათასზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი და ოფიცერი, პრაქტიკულად, კუნძულის მთელი გარნიზონი.

აშშ-მა, რომლის შეიარაღება და მებრძოლთა რიცხოვნობა გაცილებით სჭარბობდა იაპონიისას, სულ 12,5 ათასი კაცი დაკარგა. ბრძოლებისას დაიღუპა კუნძულის 122 ათასი მშვიდობიანი მცხოვრები. ბევრი იძულებული იყო იაპონელი ოფიცრების ბრძანებით სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა.

ამჟამად ოკინავაზე თავმოყრილია იაპონიაში განლაგებული პენტაგონის ყველა ობიექტის საერთო ფართობის 75% და ქვეყნის ადმინისტრაცია დაჟინებით ითხოვს ამერიკული სამხედრო ძალების შემცირებას.

# კონგრესმა თავდაცვისთვის 409 მლრდ დოლარი გამოყო

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ დადებითი შეფასება მისცა 2006 წელს 409 მლრდ დოლარის თავდაცვისთვის გამოყოფას. კანონპროექტს მხარი დაუჭირა 398 კონგრესმენმა, მხოლოდ 19 იყო წინააღმდეგი. ამ დაფინანსებიდან 363,7 მლრდ ძირითადი თანხაა, 45,3 მლრდ კი სასწრაფოდ გამოიყო ერაყსა და ავღანეთში სამხედრო ოპერაციებისთვის. ეს თანხა ფინანსური წლის პირველი ექვსი თვისთვის არის გათვალისწინებული.

კანონპროექტის მიხედვით, 2,8 მლრდ დოლარი განსაზღვრულია ერაყსა და ავღანეთში სამხედრო მოქმედებების დროს წყობიდან გამოსული ტექნიკის ახლით შესაცვლელად, ტყვია-წამლისა და სამხედრო ჯიპების „ჰამვების“, სატვირთოების, რადიოსადგურების, ელექტრონული ჩამხშობი საშუალებების, ფრთოსანი რაკეტების „ტომაჰავკებისა“ და ჭურვების შესაძენად.

1, 2 მლრდ მოხმარდება სამხედრო მოსამსახურეთა ინდივიდუალური დამცავი საშუალებების, მათ შორის, ჯავშანჟილეტების შეძენას.

დაფინანსება საშუალებას მისცემს პენტაგონს 500 მლრდ დოლარი გადაისროლოს ერაყსა და ავღანეთში ნაციონალური ძალების მომზადებისა და სწავლების პროგრამისთვის.

წარმომადგენელთა პალატამ ნება დართო თავდაცვის სამინისტროს, იყიდოს 3, 2 მლრდ დოლარის ღირებულების 130 ახალი თვითმფრინავი, მათ შორის 42 გამანადგურებელი ფ/ა-18, თერთმეტი თვითმფრინავი ვ-22. ასევე, 25 თვითმფრინავი ფ/ა-22 და 15 თვითმფრინავი ც-17, რომელთა ღირებულება 3, 5 მლრდ-ს შეადგენს.

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტი შეიძენს „ვირჯინიის“ კლასის წყალქვეშა ნავს და სხვადასხვა სახეობის შვიდ სამხედრო გემს.

კონგრესმენებმა 7 მლრდ 630 მლნ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისთვის გამოყვეს. ეს 143 მლნ-ით ნაკლებია იმაზე, რასაც თეთრი სახლი და პენტაგონი ითხოვდნენ.

# იტალია 240 სამხედრო ობიექტს ყიდის

„იტალიის თავდაცვის სამინისტრო 240 სამხედრო ობიექტს ყიდის“, – იტყობინება იტალიური გაზეთი „გაზეტა ოფიციალე“. კერძოდ, გაიყიდება აეროპორტები, ყაზარმები, პოლიგონები და შუქურა ადრიატიკის ზღვაში, ტრემიტის კუნძულებზე. ობიექტების გაყიდვით სამინისტრო 954 მლნ-დან 1 მლრდ 357 მლნ ევრომდე თანხის მიღებას ვარაუდობს.

ამგვარ გადაწყვეტილებას იტალიის თავდაცვის სამინისტრო იმით ხსნის, რომ ობიექტებმა ამოწურეს თავიანთი რესურსი და მათი გამოყენება დანიშნულებისამებრ შეუძლებელია.

# ბუში ჟურნალისტებს გუანტანამოში ეპატიჟება

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ჟურნალისტები გუანტანამოში (კუბა) ამერიკული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზის სამხედრო ციხის დასათვალიერებლად მიიწვია. ციხეში ამჟამად 520 კაცია, რომლებიც ერაყსა და ავღანეთში ტერორიზმის ბრალდებით დააკავეს.

„თუ გუანტანამოს შესახებ კითხვები გაქვთ, აბსოლუტურად სერიოზულად გთავაზობთ, რომ თავად გაემგზავროთ და შეამოწმოთ ყველაფერი, – განაცხადა ევროპელი ჟურნალისტის შეკითხვის პასუხად ბუშმა ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე, – თავად ნახეთ, როგორ ექცევიან პატიმრებს, გაიგეთ, რით იყვნენ ისინი დაკავებული წარსულში. ხოლო როცა სასამართლოები გადაწყვეტილებებს მიიღებენ, ჩვენ მათ შევასრულებთ“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა უნდა ვიცოდეთ სატელეფონო მოსმენების შესახებ



ოდნავ მიწყნარდა ის აურზაური, რაც საფინანსო პოლიციის ხელმძღვანელთა სატელეფონო საუბრების მოსმენის გამო აგორებულ სკანდალს მოჰყვა. ცოტა დაწყნარდა პარლამენტის დეპუტატი კობა დავითაშვილიც – „გოლიათი ლილიპუტების ქვეყანაში". საზოგადოდ კი ყოველთვის კარგი და მომგებიანია „რობინ ჰუდის" და „კეთილი გოლიათის" პოზიდან საუბარი. არც „ეშმაკებთან" და „ბნელ ძალებთან" ხმალამოღებული ბრძოლაა ცუდი, მაგრამ ვეჭვობ, ამით სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენის პრობლემას ეშველოს რამე.

ეს საკითხი უკვე მრავალი წელია მსოფლიო პრობლემადაა ქცეული. უსმენენ ყველას: ცოლებს, ქმრებს, შვილებს, საყვარლებს და საყვარლის საყვარლებს, ბიზნესკონკურენტებს, მოკლედ, მტერ-მოყვარეს. განსაკუთრებით საინტერესოა ვინ უსმენს და როგორ. ოფიციალურად უცხოეთში, სასამართლოს ან პროკურატურის სანქციით მოსმენის უფლება აქვთ სამართალდამცველებს, სპეცსამსახურებს და ზოგ შემთხვევაში კერძო დეტექტივებს, რომლებიც კლიენტების დავალებით ატარებენ გამოძიებისა და ფარული მოსმენების საკმაოდ ძვირად ღირებულ ღონისძიებებს. სამართალდამცველები და სპეცსამსახურები ტერორისტებთან, ნარკომაფიასა და სხვა კრიმინალურ „საძმოებთან" ერთად სხვა ქვეყნების მოქალაქეებსა და ორგანიზაციებსაც დიდი სიამოვნებით უსმენენ (1990-იან წლებში დიდი სკანდალი „გასკდა", რომელმაც თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა. აღმოჩნდა, რომ აშშ-ის სპეცსამსახურები, პირველ რიგში კი, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო, დიდი წარმატებით, ტოტალურად უსმენდა მოკავშირე ქვეყნების ყველა მნიშვნელოვან ორგანიზაციას, რისთვისაც მოქმედებდა საიდუმლო პროგრამა კოდური სახელწოდებით „ეშელონი").

ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად სატელეფონო მოსმენები პოლიტიკოსებისთვის სასიცოცხლო აუცილებლობად იქცა. „ვინც ფლობს ინფორმაციას, ის ბატონობს სხვებზე" – ეს ჭეშმარიტება ერთ-ერთმა პირველმა იოსებ სტალინმა გამოიყენა პრაქტიკაში. გენმდივნის თავდაპირველად შედარებით უმნიშვნელო პოსტზე მან მდგომარეობა იმით განიმტკიცა და იმით გაანადგურა პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, რომ მათ სატელეფონო საუბრებს უსმენდა. პირველ ეტაპზე, როცა საბჭოთა სპეცსამსახურებს სტალინის კადრები ჯერ კიდევ არ ხელმძღვანელობდნენ, ეს დელიკატური მისია მის ყველაზე ერთგულ თანაშემწეებს ევალებოდათ. თუმცა საკუთარ კაბინეტში მოწყობილი პულტიდან თავადაც შეეძლო ქვეყნის იმ უმაღლესი თანამდებობის პირების, მწერლებისა და ხელოვნების მუშაკების ფარული მოსმენა, რომელთაც ნომენკლატურული თანამდებობების გამო სპეცტელეფონები ედგათ და სპეცატესიდან ემსახურებოდნენ. შემდეგ წლებში სტალინის ამგვარ დავალებებს მისი უერთგულესი სახკომები და მინისტრები: იაგოდა, ეჟოვი, ბერია, აბაკუმოვი და იგნატიევი ხელმძღვანელობდნენ.

დაიმახსოვრეთ, თუ თქვენ საქალაქო ტელეფონის საბონენტო გადასახადს ან დავალიანებას ჯიუტად და „პროტესტის" ნიშნად თვეობით არ იხდით, მაგრამ ვიღაც „კეთილი ძიები" ტელეფონს არ გირთავენ, მაშინ უნდა იცოდეთ – თქვენ სპეცსამსახურების ყურადღების არეალში მოხვდით. ბიზნესკონკურენტები ან ვინმე თქვენი სანაცნობო-სამეგობროდან ფარულად გისმენენ კუსტარული მოსასმენი მოწყობილობით, რომელიც თქვენს სატელეფონო ხაზზეა მიერთებული. ამგვარ მოწყობილობას თბილისში 100-200 ლარის ფარგლებში ამზადებენ ხელმარჯვე ოსტატები.

ხოლო თუ საუბრისას თქვენს ტელეფონში შიშინი ისმის ან საუბარში სხვა გერთვებათ, იცოდეთ, რომ სპეცსამსახურები აქ არაფერ შუაში არიან – უბრალოდ, ხაზია დაზიანებული და თქვენს სატელეფონო კვანძს მიმართეთ.

XX საუკუნის ბოლომდე ფარული სატელეფონო მოსმენები, ძირითადად, საქალაქო ქსელის ტელეფონებიდან ხორციელდებოდა. ამ დროის სამი არჩევანი იყო: სატელეფონო სადგურიდანვე ჩართვა (აქ გავიხსენოთ სიგარეტის ბიზნესში მოღვაწე „ომეგა"-„ელიზის" ცნობილი სკანდალი, როცა გამოძიებით გაირკვა, რომ საქალაქო სატელეფონო სადგურის მოქრთამული თანამშრომლების დახმარებით ერთი მეორეს უსმენდა), სატელეფონო კაბელზე ფარული მიერთება, სპეცმოწყობილობის ჩამონტაჟება, დაბოლოს – თვით ტელეფონის აპარატში „ჟუჩოკის" ჩადგმა.

ყველა ამ მეთოდის თავისებურება ისაა, რომ ტექნიკურად მაინც შესაძლებელია სატელეფონო ხაზზე ან კაბელზე მექანიკური მიერთების აღმოჩენა.

კომუნისტების დროს „კგბ" და შსს უსმენდნენ ყველას და თუ „კრემლის" სანქცია იყო, თვით რესპუბლიკებისა და ოლქების პირველ პირებსაც კი. დაუწერელი კანონით პარტიული მუშაკის მოსმენა იკრძალებოდა, მაგრამ თუ ის მეგობრობდა ბაზრის დირექტორთან, ცნობილ მეცნიერთან ან მსახიობთან, მაშინ „კგბ" ერთ ეშმაკურ ხერხს იყენებდა – ის მოსმენაზე რთავდა არა უშუალოდ ოპერატიული დაინტერესების ობიექტს, არამედ მის სამეგობროსა და სანათესაოს, რომელთანაც ობიექტს სისტემატური სატელეფონო კონტაქტი ჰქონდა. ამ მეთოდით, ბუნებრივია, ადრე თუ გვიან ამ პარტიულ მუშაკზეც დაიდებოდა კომპრომატი, რომელსაც საჭირო დროს აუფრიალებდნენ ცხვირწინ. სავარაუდოა, რომ ასეა დღესაც. არაა აუცილებელი მაინცდამაინც პირადად პარლამენტის ან მთავრობის წევრის ტელეფონი დააყენო მოსმენაზე, სავსებით საკმარისია მოუსმინო მის ახლო წრეს და „ჩიტიც მახეში გაებმება".

სატელეფონო მოსმენები ძალზე შრომატევადი და ძვირად ღირებული ოპერაციაა. თანაც საიდუმლოების დაცვის აბსოლუტური გარანტია არ არსებობს და ადრე თუ გვიან ყველაფერი ცნობილი ხდება. ამიტომ სპეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურებმა შექმნეს სპეციალური პროგრამა, რომელიც მხოლოდ ე.წ. „პაროლებზე“ ანუ განსაკუთრებულ სიტყვებზე („პრეზიდენტი“, „ბომბი“ და ა.შ.) რეაგირებს და ამ საუბრებს იწერს. თუმცა დაინტერესებული ხალხი ადვილად უვლის გვერდს ამ მახეს: საუბარში „პრეზიდენტი“– მექანიკოსი, „ბომბი“ კი – პომიდორია და ა.შ.

თუ სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა მოსამართლის ან პროკურორის ბრძანებით ხდება და კანონის მოთხოვნები სრულადაა დაცული, მაშინ ეს ქვეყანა ნამდვილად დემოკრატიულია, ხოლო თუ ის ყოველწლიურად ოფიციალურად აქვეყნებს სპეცსამსახურების მიერ ჩატარებული მოსმენის ოპერაციების ანგარიშს, მაშინ ეს ქვეყანა უკვე დემოკრატიის ფლაგმანად უნდა ჩაითვალოს.

აშშ-ის სასამართლოების ადმინისტრაციულმა ოფისმა გამოაქვეყნა 2004 წელს ამ ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ ჩატარებული მოსმენის ოპერაციების ანგარიში, საიდანაც ირკვევა, რომ შარშან ჩატარდა ინფორმაციის ფარული მოპოვების (ტელეფონების მოსმენა, ელექტრონული ფოსტისა და ფაქსების წაკითხვა, მოსასმენი აპარატურით საუბრების ჩაწერა და ა.შ.) 1710 ოპერაცია. ეს მაჩვენებელი წინა წლისას 19%-ით აღემატება. ოპერაციის საშუალო ხანგრძლივობა 28 დღე იყო. ფარული მოსმენის მაქსიმალურად დასაშვები ვადა 30 დღეა, რის შემდეგაც ოპერაციის გასახანგრძლივებლად პროკურატურის ახალი ნებართვაა საჭირო. ირკვევა, რომ შარშან ყველაზე ხანგრძლივი ოპერაცია 390 დღე გრძელდებოდა. სპეცოპერაციებისას გამოყენებული ტექნიკური საშუალებების 88% „ჟუჩოკებზე“ მოდიოდა, რომლებიც ეჭვმიტანილების ბინებში, ოფისებსა და ავტომობილებში იყო ჩამონტაჟებული. ამ ოპერაციების დიდი უმრავლესობა ნარკოვაჭრების გამოსავლენად ტარდებოდა. სულ 4,5 ათას კაცზე მეტი დააპატიმრეს. ფარული მოსმენების ოპერაციები რომ ძვირად ღირებული „სიამოვნებაა“, ყველასათვის ცნობილია. შარშან აშშ-ში ერთი ასეთი ოპერაციის საშუალო ღირებულება 63 ათასი დოლარი იყო.

უნდა ითქვას, რომ ყველგან არ ხდება კანონის დაცვა სატელეფონო მოსმენების დროს.

მობილური ტელეფონების შექმნის დღიდან სატელეფონო მოსმენები ყოველდღიურად ადვილდება. მობილურიდან გასული ან შესული ზარების მეშვეობით იოლია მფლობელის ადგილმდებარეობის დადგენა. ხოლო თვით საუბრის მოსმენას სპეციალური, საკმაოდ ძვირად ღირებული აპარატურა სჭირდება. თუმცა ამ სახის ოპერაციის ჩატარება ტექნიკურად და ორგანიზაციულად საკმაოდ ადვილია. სამაგიეროდ დიდია კანონის დარღვევის ცდუნებაც. 2002 წლის შემოდგომაზე ფინეთში დიდი სკანდალი გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ ტელესაკომუნიკაციო ფირმა „სონერა“ თავისი კლიენტების ზარებს და საუბრებს ფარულად აკონტროლებდა. ერთი წლის შემდეგ კი მაკედონიაში სისხლის სამარ-თლის საქმე აღიძრა შსს-ს ყოფილ მინისტრ დოსტა დიმოვსკაიაზე. პროკურატურის ინფორმაციით, მისი უშუალო ბრძანებით წლების მანძილზე უკანონოდ ისმინებოდა ოპოზიციური პარტიების, ცნობილი ჟურნალისტების, ბიზნესმენებისა და დიპლომატიური კორპუსის (სულ დაახლოებით 100 პირის) ტელეფონები.

თუმცა არსებობს პოზიტიური მაგალითებიც. კერძოდ, ნორვეგიის კრიმინალური პოლიცია მრავალი წელია წარმატებით იყენებს მობილური ტელეფონების კონტროლს დანაშაულის გასახსნელად. ბევრი ცრუ ალიბი „დამსხვრეულა“ მობილურიდან განხორციელებული ზარების შემოწმებით. ამ ოპერაციების უკეთ ორგანიზებისათვის ნორვეგიის კრიმინალურ პოლიციაში შეიქმნა სპეცჯგუფი პოლიციელთა და მობილური კავშირის ექსპერტთა შემადგენლობით.

მობილურიდან განხორციელებული საუბრების გაკონტროლების ოპერაციის ჩატარება ოპერატორი კომპანიების მონაწილეობის გარეშე ცოტა რთულია, თუმცა არა შეუძლებელი. თვით კომპანიები სპეცოპერაციებში მონაწილეობას დიდი სიხარულით არ ხვდებიან, პირიქით, ამ ამბების გახმაურება მათ პრესტიჟს სერიოზულ ზიანს აყენებს. გარკვეულ წრეებში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შევარდნაძის პრეზიდენტობის ბოლო წლებში ჩვენმა სპეცსამსახურებმა საკმაოდ დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად ჯერ „ჯეოსელი“ აიძულეს „ეთანამშრომლა“ მათთან და კომპანიის „დახმარებით“ სხვადასხვა მოსაუბრის ადგილმდებარეობის დადგენას ახერხებდნენ. „მაგთი“ ცდილობდა ამ საქმეში განზე მდგარიყო, რასაც ექსპრეზიდენტის სიძის ფაქტორი განაპირობებდა. 2002 წელს უცხოეთიდან სპეცაპარატურის ჩამოტანის შემდეგ „ჯეოსელი“ იძულებული იყო საუბრის მოსმენებშიც დახმარებოდა სპეცსამსახურებს. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ზვიადისტების „საუკუნის გაქცევა“ გურამ აბსანძის თამადობით. მაშინ მათი დაკავება მობილური ტელეფონების გაკონტროლების შედეგად მოხერხდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ უკვე „მაგთიც“ იძულებულია ჩაებას „დაჭერების ფერხულში“ და საქართველოს სპეცსამსახურებს „მობილურების“ მოსმენაში დაეხმაროს.

საქართველოში სატელეფონო საუბრების მოსმენას ატარებენ ის სპეცსამსახურები, რომელთაც კანონი ანიჭებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის უფლებას. ერთი შეხედვით, საკანონმდებლო აქტები მკაცრად არეგულირებენ ამ პროცესს. თუმცა ამ კანონებში უკვე საკმაოდ ბევრია შესასწორებელი და დასამატებელი, რადგანაც, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, სპეცსამსახურების ბევრი ახალგაზრდა ხელმძღვანელი ვერ უძლებს ცდუნებას და კრიმინალური სამყაროს ნაცვლად „ნაპოლეონის სინდრომშეპყრობილი“, კონკურენტ ჩინოვნიკებს და ოჯახის ბიზნესკონკურენტებსაც მოსმენაზე რთავს.

არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ ჩვენში სოკოებივით მომრავლებული დაცვის კერძო სტრუქტურები და რადიოელექტრონული სიგნალიზაციის შემომტანი ფირმებიც ახორციელებენ ფარულ მოსმენებს, რაც კანონის უხეში დარღვევაა.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებსაც სრულიად თავისუფლად შეუძლიათ, რაშიც, სამწუხაროდ, ჩვენი კონტრდაზვერვის „ასები“ ხელს ვერ უშლიან. დამტკიცებული ფაქტია, რომ ყველა ქვეყნის საელჩოა აღჭურვილი რადიოელექტრონული დაზვერვის თანამედროვე აპარატურით და ცდილობს მისთვის საინტერესო სატელეფონო ზარები აკონტროლოს, რათა საჭიროების შემთხვევაში სპეცოპერაციის ოპერატიული კოორდინირება შეძლოს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს, ინფორმაციის ტოტალური ქურდობის საუკუნეში საზოგადოება ტელეფონთან ერთად ყველა ელექტროხელსაწყოსაც უნდა უფრთხილდეს. ფიზიკის კანონების თანახმად, კომპიუტერი, პრინტერი, ფაქსი და მრავალი, ერთი შეხედვით უწყინარი აპარატი ელექტრომაგნიტურ ველს წარმოქმნის და ე.წ. „პარაზიტული ინფორმაციული რყევების“ ეთერში გამშვებ პოტენციურ მოწყობილობას წარმოადგენს. შესაბამის სპეცაპარატურას რამდენიმე ათასი მეტრიდან შეუძლია დააფიქსიროს და გაძლიეროს ის უმნიშვნელო რყევები და იმპულსები, რომელთაც ეს აპარატები მუშაობის დროს წარმოქმნიან, ხოლო მიღებული ინფორმაცია სპეციალური დეკოდერის მეშვეობით გაშიფროს. რუსული სპეცსამსახურების მტკიცებით, უცხოეთში შეძენილი კომპიუტერების 10-15%-ში მოთავსებული იყო სპეცაპარატურა ან სპეცპროგრამა, რომლებიც კოსმოსური თანამგზავრიდან ან თუნდაც გვერდითა კორპუსიდან წამოსული კოდირებული ბრძანების მიღების შემდეგ ეთერში უშვებდნენ ყველა ინფორმაციას კომპიუტერის მეხსიერებიდან ან მთლიანად ანადგურებდნენ პროგრამებს.

განსაკუთრებით საშიში და „ჭორიკნები“ არიან ღილაკიანი ტელეფონები, სადაც, თუ ხაზზე ჩაერთვებით და „გახსნით“, დადებული ყურმილის პირობებშიც თავისუფლად შეიძლება ოთახში მიმდინარე საუბრის მოსმენა.

საპარლამენტო ოპოზიციის უმრავლესობა (ზურაბ ტყემალაძე, ლევან ბერძენიშვილი და სხვები) და თვით ექსპრეზიდენტიც ამტკიცებენ, რომ მათი ტელეფონები „ტოტალურად“ ისმინება. თუმცა იმის დადგენა, ისმინება თუ არა თქვენი საუბარი, შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე შეუძლებელია. მთავარია, ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებმა იცოდნენ კანონი და არ დაარღვიონ.

საზოგადოებამ კი, უნდა იცოდეს ყველაფერი, რაზეც ზემოთ იყო საუბარი. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკონომიკური დივერსიები და საბოტაჟი „კგბ"-ს არსენალში



სხვა ქვეყნების შიდაპოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში „ხელის ფათური" ყველა ქვეყნის სპეცსამსახურების ერთ-ერთი „სასიამოვნო მოვალეობაა". ამ კუთხით ყველაზე გამორჩეული ყოველთვის „კგბ" იყო. მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ალბათ ქვეყანა არ დარჩენილა, სადაც „კგბ"-ს და „გრუ"-ს რევოლუციის „ექსპორტი" და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა არ მოენდომებინათ. საბჭოთა სპეცსამსახურებს განსაკუთრებით „ძირმომპალი კაპიტალიზმის" ლიდერი ქვეყნების შიდა პოლიტიკური „სამზარეულო" აინტერესებდათ. ამ წერილში, ახალ საარქივო მასალებსა და მემუარულ ლიტერატურაზე დაყრდნობით მოგითხრობთ, თუ როგორ აფინანსებდა ათწლეულების მანძილზე საბჭოთა კავშირი ეკონომიკურ საბოტაჟსა და დივერსიებს დიდ ბრიტანეთში. დიდი ბრიტანეთის იმპერია, მიუხედავად მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ერთგვარი დაძაბუნებისა, მაინც ითვლებოდა მსოფლიო კაპიტალიზმის „ბურჯად" და აქედან გამომდინარე, მის წინააღმდეგ მოქმედება, იქ რევოლუციის „ექსპორტი" ან თუნდაც ეკონომიკური ზარალის მიყენება, საბჭოთა სპეცსამსახურების „დიადი მიზანი" და საპატიო ამოცანა იყო. „წითელი" რევოლუციის პირველივე დღიდან დიდი ბრიტანეთის იმპერიის შერყევის ამოცანა „ჩეკას" პირადად ლენინმა დაუსახა. 1920-1930 წლებში საბჭოთა სპეცსამსახურები და „კომინტერნი" ინგლისში ოპერატიული მუშაობის გასაშლელად, ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობისა და საელჩოს არქონის გამო, „კრიშად", ძირითადად, სავაჭრო წარმომადგენლობას, გაზეთებს, სამეცნიერო-სასწავლო და კულტურის ცენტრებს იყენებდნენ. ასე რომ, საბჭოთა სპეცსამსახურების ფარულ ბრძოლას დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ დიდი ხნის ისტორია აქვს. ამჟამად ჩვენ ამ ბრძოლის მხოლოდ ერთ პერიოდზე, კერძოდ, 1960-1980 წლებზე შევჩერდებით.

საბჭოთა სპეცსამსახურები მრავალჯერ აპრობირებული მეთოდებით მოქმედებდნენ – ბრიტანეთში პოლიტიკური არასტაბილურობის მისაღწევად ეკონომიკური საბოტაჟისა და დივერსიების ნაცად ხერხს მიმართავდნენ.

ამ პერიოდში დიდ ბრიტანეთში გაფიცვები არ ჩამცხრალა. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: მეთევზეთა გაფიცვა 1966 წელს; საზღვაო პორტების დოკერების გაფიცვა 1970 და 1972 წლებში; მაღაროელთა გაფიცვა 1974 წელს (რომელმაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ედვარდ ჰიტი „გადაიყოლა") და სხვა.

ამ პერიოდში გაფიცვებისა და ქუჩებში უწესრიგობების გამო სისტემატური ხასიათი ჰქონდა შეფერხებებს ენერგო და წყალმომარაგებაში. მთავრობა გაფიცვების გამო იძულებული იყო სამდღიანი(!) სამუშაო კვირა შემოეღო. მხოლოდ ამ ოთხმა გაფიცვამ დიდ ბრიტანეთს დაახლოებით 500 მლნ. ფუნტი სტერლინგის ზარალი მიაყენა. გავიდა წლები და გაირკვა, რომ ამ გაფიცვების სულისჩამდგმელი, მთავარი ორგანიზატორი და დამფინანსებელი საბჭოთა სპეცსამსახურები იყვნენ....გორდიევსკის, მიტროხინის და საბჭოთა სპეცსამსახურების სხვა ვეტერანების მოგონებებიდან დღეს უკვე ცნობილია იმ ბრიტანელი პოლიტიკოსების, პროფკავშირული ლიდერებისა და სხვა საზოგადო მოღვაწეების გვარები, რომლებიც საბჭოთა სპეცსამსახურების ინფორმატორები და აგენტები (მათ შორის ე. წ. „გავლენის აგენტები") იყვნენ და გაფიცვების პროცესებს ღიად თუ ფარულად ხელმძღვანელობდნენ.

დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ელიტაში ოპერატიული მუშაობა „კგბ"-მ და „გრუ"-მ განსაკუთრებით 1960-იანი წლების დასაწყისში გააქტიურეს. სტრატეგიული სქემა შემდეგნაირი იყო: საბჭოთა სპეცსამსახურების ხელმძღვანელები მოხსენებითი ბარათით მიმართავდნენ „ინსტანციას" (სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს) და რომელიმე ქვეყანაში ოპერატიული საქმიანობის გააქტიურების წინადადებებს წარუდგენდნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს წინადადებები პოლიტბიუროდან უკვე დავალებებისა და ნებართვის (სანქციის) სახით სპეცსამსახურებს უკან უბრუნდებოდათ... ფაქტობრივად, სპეცსამსახურები თავად ახდენდნენ კონკრეტულ ქვეყანაში კონკრეტული დავალების მიღების ინსპირირებას.

დიდ ბრიტანეთში უმთავრესი ამოცანა ინგლისის კომპარტიისა და სხვადასხვა დარგობრივი პროფკავშირების დაფინანსება და თანხის (როგორც წესი, ნაღდი კუპიურების) გადაცემა იყო. თანხის მოცულობის საკითხი უშუალოდ პოლიტბიუროს სხდომაზე წყდებოდა. იქვე იღებდნენ გადაწყვეტილებას, რომელი საბჭოთა სპეცსამსახური შეასრულებდა დავალებას. გარკვეული პრობლემა იყო ქვეყანაში თანხის შეუმჩნევლად შეტანა და პარტიული და პროფკავშირული ლიდერებისთვის გადაცემა. ეს პროცესი მაქსიმალურად კონსპირაციულად უნდა ჩატარებულიყო, რათა არ „გამსკდარიყო" მოსკოვის ზეაქტიური მონაწილეობა დიდი ბრიტანეთის საშინაო საქმეებში. დიდ ბრიტანეთში „აქტიური ღონისძიებების" – საბოტაჟისა და გაფიცვების სცენარები მოსკოვში იწერებოდა, „რეჟისორები"– „კგბ"-ს თანამშრომლები, ხოლო უშუალო შემსრულებლები – „კგბ"-ს ბრიტანელი აგენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტები იყვნენ. ამ საიდუმლო ოპერაციების ხელმძღვანელობა „კგბ“-ს ლონდონის რეზიდენტურას ევალებოდა. მათი ძირითადი საქონტაქტო პირი, ვისაც თანხებს ფარულად გადასცემდნენ, ათწლეულების მანძილზე იყო დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალური მდივნის თანაშემწე რუბენ ფალბერი. ის გამოცდილი ჯაშუშისათვის დამახასიათებელი კონსპირაციულობით გადიოდა საბჭოთა მზვერავებთან შეხვედრაზე და ნაღდი ფულის კუპიურები ჩანთით სახლში მიჰქონდა, სადაც სპეციალურად მოწყობილ სამალავში მალავდა. შემდეგ ამ თანხებით აფინანსებდნენ აგიტატორთა სპეციალურ ჯგუფებს, რომელთაც ახალ-ახალი გაფიცვების „აგორება“ ევალებოდათ.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ კონსერვატორული და ანტიკომუნისტური შეხედულებებით გამორჩეულ ინგლისში საბჭოთა სპეცსამსახურები დიდი წარმატებით „ავერბოვკებდნენ“ აგენტურას საზოგადოების ყველა ფენაში – თვით ყველაზე არისტოკრატიულშიც კი. თავად განსაჯეთ, 1970-იან წლებში ლონდონის რეზიდენტურის თანამშრომელ ვიქტორ კუბეიკინს ოპერატიულ კავშირზე ჰყავდა ინგლისის ლეიბორისტული პარტიის და პროფკავშირული მოძრაობის მრავალი თვალსაჩინო მოღვაწე. მათ შორის: მემანქანეთა პროფკავშირების გენმდივანი რეი ბექტონი (ოპერატიული ფსევდონიმი „ბარტოკი“) და რიჩარდ ბრიგინშოუ – ტიპოგრაფიულ მუშაკთა პროფკავშირების ლიდერი. ოლეგ გორდიევსკიმ 1980-იანი წლების დასაწყისში აღადგინა კონტაქტი „კგბ“-ს ინფორმატორთან, სატრანსპორტო მუშაკთა პროფკავშირების გენმდივანთან ჯეკ ჯონსთან, რომელიც რამდენიმე წლით ადრე გადმობირებული იყო მიხეილ ლუბიმოვის (წარსულში პოპულარული რუსული ტელეგადაცემის, „ვზგლიადის“ ცნობილი წამყვანის, ალექსანდრე ლუბიმოვის მამის) მიერ. „კგბ“-ს ერთ-ერთი ყველაზე „ძვირფასი“ აგენტი იყო პროფკავშირების ცნობილი მოღვაწე და შემდგომ ინგლისის პარლამენტის წევრი ბობ ედუარდსი, რომელიც 1977-1979 წლებში ევროპარლამენტის(!) წევრადაც იყო არჩეული. მისი აგენტურული წარმატებები სათანადოდ დააფასეს მოსკოვში და „ხალხთა მეგობრობის“ ორდენით დააჯილდოვეს. ბობ ედუარდსი გადმოიბირა და მისი უცვლელი კურატორი იყო მაიორი ლეონიდ ზაიცევი. წლების შემდეგ ის უკვე „კგბ“-ს „ტ“ სამმართველოს (სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვა) უფროსი და გენერალ-მაიორი გახდა, მაგრამ აგენტის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაინც პირადად გადიოდა კავშირზე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

ჯიმ სლეიტერის, მეზღვაურთა პროფკავშირების ერთ-ერთი ლიდერის გადმობირება მოხდა საბჭოთა კავშირში პროფკავშირული დელეგაციის მოგზაურობისას, „კგბ“-ს მიერ მრავალგზის აპრობირებული მეთოდით, რომელიც იმდენად ეფექტური იყო, რომ მასზე უფრო დაწვრილებით შეჩერება ნამდვილად ღირს.

უცხოეთის დელეგაციები საბჭოთა კავშირში ფეხის დადგმისთანავე სპეცსამსახურების მეთვალყურეობის მჭიდრო რკალში ექცეოდნენ. აბსოლუტურად ყველა, ვინც მათ ოფიციალურად ხვდებოდა (გიდები, თარჯიმნები, სასტუმროების პერსონალი, სამინისტროების პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა პროფკავშირების ფუნქციონერები და ა.შ.) ვალდებულები იყვნენ ერთის მხრივ აქტიური პროპაგანდა ეწარმოებინათ უცხოელთა შორის „საბჭოთა მიღწევების“ შესახებ და იმავდროულად ყურადღებით დაეფიქსირებინათ მათი რეაქცია, შენიშვნები, კომენტარები და ა.შ. ეს ინფორმაცია წერილობითი სახით უნდა წარედგინათ მეორე მთავარი სამმართველოს (კონტრდაზვერვა) მიერ დანიშნული კურატორისთვის. ისინი აანალიზებდნენ ამ ინფორმაციას და არჩევდნენ, როგორც გადმობირების კანდიდატებს, ასევე გადმობირების კონკრეტულ ხერხებს (შანტაჟი, მოსყიდვა, „იდეური სოლიდარობა“ და ა. შ.). ამავე დროს ხდებოდა შესაძლო აგენტების გამოვლენა. ვიზიტად მყოფი უცხოელი პროფკავშირების ლიდერების გადმობირებას წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა „კგბ-ს“ პოლკოვნიკი სტეფანე კორნეევი. ამავე დროს არც საბჭოთა საგარეო დაზვერვა კარგავდა დროს უქმად – ისინი დიდ ბრიტანეთშივე „ავერბოვკებდნენ“ აგენტურას. მათი ერთ-ერთ მნიშვნელოვანი აგენტი იყო დერეკ რობინსონი, ინგლისის კომპარტიის აქტივისტი, რომელიც 523 გაფიცვას ედგა სათავეში და მისი „წყალობით“ საავტომობილო მრეწველობამ 200 მლნ ფუნტი სტერლინგი იზარალა. ამ მაჩვენებლებით რობინსონს გინესის რეკორდების წიგნში პირველობას ნამდვილად ვერავინ შეეცილება.

„დიადი ქვეყნის“ ფარული მიზნების განხორციელებაში საკუთარი წვლილი შეჰქონდათ ქართული ეროვნების „ჩეკისტებსაც“. ფრედ ჰოლიდეის, მსოფლიო დონის მეცნიერ-არაბისტისა და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტის გადმობირება დიდი მონდომებისა და მრავალი მცდელობის შემდეგ მხოლოდ იური კობალაძემ, ჟურნალისტის საფარქვეშ მოქმედმა საბჭოთა მზვერავმა შეძლო. ამის შემდეგ ჰოლიდეის სტატიები აშკარად პროსაბჭოთა და ანტიამერიკული გახდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „კგბ“-ს აგენტები, სანდო პირები და ინფორმატორები იყვნენ: სოციალისტების ლიდერი მაიკლ ფუტი; ლეიბორისტების ლიდერი ფენერ ბროქუეი (კურატორი მიხეილ ბოგდანოვი). პარლამენტის წევრები ლეიბორისტული პარტიიდან: ფრენკ ელაუნი, ჯეიმს ლეიმონდი და რონ ბრაუნი (კურატორი ჯერ ლუბიმოვი, შემდეგ გორდიევსკი). გაზეთ „გარდიანის“ ჟურნალისტი რიჩარდ გოტი და მრავალი სხვა. დიდი ბრიტანეთის კომპარტიის და პროფკავშირების აქტივისტებს, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩნდნენ თავს, საბჭოთა სპეცსამსახურების დახმარებით „კვალიფიკაციის ასამაღლებლად“ კუბაზე გზავნიდნენ. ხოლო გაფიცვების ორგანიზატორებს – საბჭოთა კავშირის კურორტებზე, სადაც დიდ პატივში ჰყავდათ და მთელი „პროგრამით აგულავებდნენ“. მოსკოვი არც გაფიცულებს და მათი ოჯახის წევრებს ივიწყებდა. 1984 წელს ინგლისის მეშახტეთა ერთ-ერთი უდიდესი გაფიცვის დროს საბჭოთა კავშირმა დაახლოებით 1 მლნ ფუნტი სტერლინგი ნაღდი ფული ფარულად გადასცა გაფიცულებს, რათა მათ გაფიცვა გაეგრძელებინათ. და ეს მაშინ, როცა თავად საბჭოთა კავშირში იმდენად უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა იყო, რომ სასიცოცხლო საჭიროების საკვები პროდუქტი (შაქარი, კარაქი, ხორცი და ა.შ.) და ბენზინი მხოლოდ ტალონებით გაიცემოდა, ისიც დიდ რიგებში ღამისთევის შემდეგ. ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ ე. წ. „სოციალისტური“ სისტემა ადრე თუ გვიან დაინგრეოდა?

ეს ჭკუის სასწავლი ისტორია ჩვენთვისაც გასათვალისწინებელია. საზოგადოებრივი დაპირისპირების „კოცონი“ ყოველთვის სოციალური „ნაპერწკლიდან“ ინთება. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სოციალური პრობლემები სამკუთხედში – „სახელმწიფო-პროფკავშირები-ბიზნესი“ წყდება, სადაც გადამწყვეტი პროფკავშირების პოზიციაა. ამიტომაც, ვინც აკონტროლებს პროფკავშირებს, ის ფლობს ქვეყანაში ჯერ სოციალური, ხოლო შემდეგ პოლიტიკური მღელვარების „აგორების“ მძლავრ ბერკეტს.

ამჟამად საქართველოს პროფკავშირები ღრმა ტრანსში იმყოფება და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად მავანნი სკანდალს სკანდალზე აწყობენ. სწორედ ასეთ პირობებშია შესაძლებელი პროფკავშირების მართვის სხვადასხვა რგოლებში ისეთი ხალხის „ჩანერგვა“, რომლებიც შესაძლებელია შემდგომ ჩვენმა არაკეთილისმოსურნეებმა ქვეყნის შიგნით სიტუაციის დასაძაბავად გამოიყენონ.

**რუბრიკა მოამზადა**
**ბესიკ ალადაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პატივცემულო რედაქცია, ძალიან გთხოვთ, მოგვითხროთ, თუ რას წარმოადგენს საქართველოს ჯარის შეიარაღებაში არსებული C-125 საზენიტო-სარაკეტო სისტემა და რა შესაძლებლობები გააჩნია მას.**

# სტაციონარული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-125 „ნევა"



C-125 — მზადება 2004 წლის 26 მაისის აღლუმისთვის...

მართვადი საზენიტო რაკეტები ერთ-ერთ ყველაზე ურთულეს და ძვირად ღირებული იარაღის სახეობას განეკუთვნება. თავდაპირველად, ისევე, როგორც ბევრი სხვა სახეობის იარაღი, მართვადი რაკეტების შექმნის იდეა გერმანიაში, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში იშვა.

„ვასერფალი", „შმეტერლინგი" და „ტაიფუნი" იყო მესამე რაიხის ის პირველი მართვადი საზენიტო რაკეტები, რომელთა გამოცდაც გერმანელებმა 1945 წლის გაზაფხულისთვის თითქმის დაამთავრეს, მაგრამ ფიურერის „საიდუმლო იარაღს" მოკავშირეების თვითმფრინავების ჩამოგდება აღარ ეწერა – სტალინის ტანკები ჰიტლერის რაკეტებზე სწრაფი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, გერმანელების იმ დროისათვის უთანამედროვესი საზენიტო რაკეტები, იმ წელსვე საბჭოთა კავშირში კაპუსტინ იარის სარაკეტო პოლიგონზე მოხვდა.

სტალინი, რომელიც ვერ ივიწყებდა გერმანული „ლიუფტვაფეს" მიერ მოსკოვის დაბომბვებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დედაქალაქის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვას; მისი პირადი განკარგულებით, გერმანული საზენიტო რაკეტების ათვისებას და მისი საბჭოთა ანალოგების მასობრივი გამოშვების საქმეს თავად ლავრენტი ბერია კურირებდა. ბერია კი, რისი ბერია იქნებოდა!.. და 50-იანი წლების დასაწყისში მოსკოვის საჰაერო სივრცეს პირველი საბჭოთა სტაციონარული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები C-25 „ბერკუტები" იცავდნენ. მალე ამ სისტემამ საკმაო მოდერნიზაცია განიცადა და 60-იან წლებში საბჭოთა ПВО-ს შეიარაღებაში შედარებით სრულყოფილი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-75 მიიღეს.

სხვათა შორის, 1960 წლის პირველ მაისს სვერდლოვსკთან ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავის U-2-ის ჩამოგდება სწორედ ამ საზენიტო რაკეტის დამსახურებაა. მფრინავმა პაუერსმა, რომელიც სსრკ-ის ტერიტორიაზე ავღანეთიდან შემოფრინდა, იმ დროისათვის ძალზე გასაიდუმლოებული ბაიკონურის კოსმოდრომისთვის სადაზვერვო ფოტოსურათების გადაღება მოასწრო.

მოსკოვში პირველი მაისის საზეიმო მსვლელობაზე მყოფი ნიკიტა ხრუშჩოვი სულ ცოფებს ყრიდა, რადგან ვერც ერთი იმდროინდელი საბჭოთა გამანადგურებელი ვერ მისწვდა 20 კმ-ზე მაღლა მფრენ პაუერსის თვითმფრინავს. მოსკოვის პრესტიჟი საზენიტო რაკეტამ იხსნა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პარალელურად გაშვებულმა მეორე საზენიტო რაკეტამ პაუერსის მდევარი საბჭოთა გამანადგურებელი ჩამოაგდო.

C-75 კომპლექსმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ორ ომში – ვიეტნამსა და სუეცის არხის კონფლიქტში. საბჭოთა მეზენიტეები ამ რაკეტებით აგდებდნენ ამერიკულ B-52 ტიპის სტრატეგიულ ბომბდამშენებს ვიეტნამში და ისრაელის F-4 ტიპის „ფანტომებსა" და „მირაჟებს" ეგვიპტის ცაში.

თუმცა C-75-ის ნაკლოვანებებმა – მაღალტოქსიკურმა თხევადმა საწვავმა, დაბალ სიმაღლეზე მფრინავი საჰაერო მიზნის ძნელად ჩამოგდებამ და რაკეტის ტექნიკურ მომსახურებაში არსებულმა სირთულეებმა, აიძულა საბჭოთა კონსტრუქტორები, შეექმნათ ადვილად მოსავლელი, მყარსაწვავიანი და, რაც მთავარია, დაბალ სიმაღლეებზეც ეფექტურად მოქმედი ახალი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-125.

ამერიკელები და ებრაელები, რომლებმაც C-75-თვის თავის არიდება ისწავლეს, დაბალი სიმაღლეებიდან ახორციელებდნენ საბრძოლო შეტევებს, მაგრამ აქ მათ ახალი C-125 დაუპირისპირდა.

მანამდე კი, მარცხის საშიშროების წინაშე მდგარი ეგვიპტის პრეზიდენტი ნასერი, 1970 წლის იანვარში საიდუმლოდ ჩაფრინდა მოსკოვში და ბრეჟნევს შეეხვეწა, როგორმე ებრაელების „მირაჟებისა" და „ფანტომების" მოშორებაში დახმარებოდა.

უკვე მარტში, შავი ზღვის გავლით, სამოქალაქო გემებით, ძალზე საიდუმლოდ, ალექსანდრიის პორტში 1500 საბჭოთა სპეციალისტი და 200 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-125 გაიგზავნა. სანამ ისრაელი და აშშ „რუსების ახალ იარაღში" გაერკვეოდნენ, 10-მდე „ფანტომი" და „მირაჟი" უდაბნოს ქვიშაში ჩაიფერფლა.



C-125 — აღლუმი წითელ მოედანზე, 1970-იანი წლები

არსენალის ბიბლიოთეკა

თუმცა ბოლოს C-125-საც, რომელსაც ამერიკელებმა ნატოს კლასიფიკაციით SAM-3 უწოდეს, უპოვეს ნაკლოვანებები და მისგან თავის დაღწევაც ისწავლეს.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს შეიქმნა ბაქოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ოლქი. ПВО-ს ასეთი ოლქები ამიერკავკასიის გარდა, მხოლოდ მოსკოვსა და ლენინგრადს ჰქონდა.

საქართველოს მიმართულებაც, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობისა, გაჯერებული იყო მე-19 ცალკეული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის არმიის (მისი შტაბი თბილისში იყო) საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებითა და რადიოტექნიკურ დივიზიონებით.

საბჭოთა კავშირის დაშლის დროისთვის საქართველოში მე-19 არმიის შეიარაღებას გააჩნდა C-75 და C-125 სტაციონარული საზენიტო სარაკეტო კომპლექსები. მხოლოდ რუსთავის სიახლოვეს, იალღუჯის მთაზე ეყენა სტაციონარული C-200 ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის ორი დივიზიონი.

სხვათა შორის, მოსკოვს, იალღუჯასთან დაკავშირებით, ერთი „იალღიში“ მოუვიდა. თუ C-75-ის მოქმედების რადიუსი 40 კმ-მდე იყო, ხოლო C-125-ისა – 24 კმ-მდე, C-200-ის ფრენის რადიუსი 200 კმ-ს აღწევდა და თითქმის ნახევარი საქართველოს სივრცეს ფარავდა, მაგრამ იალღუჯაზე განლაგებისას, ნიადაგი არამყარი აღმოჩნდა და რელსებზე შემდგარ C-200-ის სარაკეტო დანადგარებს ხევში გადაჩეხა დაემუქრათ. საბჭოთა გენერლები იძულებული გახდნენ, მათი დემონტაჟი განეხორციელებინათ. 1993 წლისთვის დემონტირებული C-200-ის საზენიტო რაკეტები რუსებს ვაზიანის სამხედრო აეროდრომთან ჰქონდათ დასაწყობებული. მოგვიანებით ისინი საქართველოს მხარეს დარჩა, თუმცა ერთ დღეს კონტეინერებში ჩალაგებული რაკეტები ხანძარმა გაანადგურა...


საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი C-125 სასტარტო პოზიციაზე

აღმოსავლეთ საქართველოში მე-19 არმიის C-75 ტიპის საზენიტო-სარაკეტო დანადგარები განლაგებული იყო რუსთავთან ახლოს, სოფელ ჯორჯიაშვილთან, დიღომთან და მარტყოფთან. თითოეულ პოზიციაზე ერთი დივიზიონი იდგა, ხოლო ყოველ დივიზიონს ექვსი C-75 თხევადსაწვავიანი რაკეტა გააჩნდა. კიდევ 12 კი იქვე, პოზიციაზე ინახებოდა.

ვაზიანში, ამბაროვკაში, ჯვარზე, არახლოსთან და თბილისის ზღვის თავზე – სოფელ ლენინისთან მყარსაწვავიანი C-125 კომპლექსები იყო დაყენებული.

დასავლეთ საქართველოში ორივე სახეობის საზენიტო რაკეტა განლაგებული იყო კოპიტნართან, ბათუმთან, ფოთთან, ანაკლიასთან, სენაკთან, ოჩამჩირესთან, გუდაუთასა და სხვა ადგილებში.

პარალელურად, ზემოთ ჩამოთვლილ ადგილებსა და სხვა ტერიტორიებზეც განთავსებული იყო რადიოტექნიკური ბატალიონების რადიოლოკატორები და სხვა რადიოელექტრონული ხელსაწყოები. ისინი, თავიანთი რადიოტალღებით აღმოაჩენდნენ საზღვრის დამღვრევ საჰაერო სამიზნეს და მის კოორდინატებს საზენიტო რაკეტების მართვის ორგანოებს გადასცემდნენ.

ქართველი მკითხველისათვის უცნობი უნდა იყოს კიდევ ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტი – საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა




1999 წელს იუგოსლავიის ცაში ამერიკული „უხილავი“ F-117 (მარჯვნივ) სწორედ C-125 სისტემის საზენიტო რაკეტამ ჩამოაგდო



2003 წელი, ამერიკელებმა რამდენიმე ერაყული C-125 „დაატყვევეს“

სტაციონარული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების რაკეტების ნახევარი ბირთვული მუხტებით იყო აღჭურვილი.

ომის (თუნდაც არაბირთვულის) დაწყების შემთხვევაში, საქართველოს სივრცეში შემოფრენისას, თუკი NATO-ს საბრძოლო თვითმფრინავები მაღალ სიმაღლეზე მთელი ესკადრილიებით წამოვიდოდნენ, მათ, მოსკოვის ბრძანებით, ზემოხსენებული საზენიტო დივიზიონები ბირთვულქობინიან C-75-ს დაუშენდნენ. მართალია, ამ ბირთვული ქობინების ატომური ეკვივალენტი სიმძლავრით ვერ შეედრებოდა მოსკოვზე დამიზნებულ ამერიკული ბირთვული ბალისტიკური რაკეტების მეგატონიან დამანგრეველ ძალას (სხვათა შორის, ასეთივე რაკეტები დასავლეთს „ცივი ომის“ დროს თბილისზეც ჰქონდა დამიზნებული), მაგრამ მათი რამდენიმე კილოტონიანი ბირთვული მუხტი აფეთქებისას თავისი დამრტყმელი ტალღით, რადიაციული და ელექტრომაგნიტური გამოსხივებით NATO-ს თვითმფრინავების არმადიდან არაფერს არ დატოვებდა. თუმცა, ეს ყველაფერი, როგორც თვითმფრინავების ნამსხვრევები, ისე ბირთვული აფეთქების ნარჩენები, ისევ ქართულ ქალაქებსა და სოფლებს დააცვივდებოდა თავზე.



დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე C-125-ის პირველი გასროლა ფოთის დივიზიონიდან, 1997 წლის დეკემბერში განხორციელდა...

თუ ვიგულისხმებთ, რომ ზემოთ ნახსენებ პუნქტებში განლაგებული ყოველი 6 რაკეტიდან 3 ბირთვულმუხტიანი იყო, საერთო ციფრი საკმაოდ შთამბეჭდავი გამოდის — მარტო აღმოსავლეთ საქართველოში 12-ზე მეტი მზადმყოფი ბირთვულმუხტიანი რაკეტა იდგა.

სათადარიგო ბირთვული მუხტები ფონიჭალაში არსებულ საზენიტო რაკეტების ასაწყობ პოზიციაზე არსებულ ცალკე, კარგად დაცულ მიწისქვეშა სათავსში ინახებოდა. თავის დროზე, სტატიის ავტორს წილად ხვდა „ბედნიერება“, ეს მიწისქვეშა საცავი მოენახულებინა.

C-125 კომპლექსები, მიუხედავად იმისა, რომ ნათლობა 70-იანი წლების დასაწყისში მიიღო (იმ დროისათვის ერთი C-125 რაკეტა 16000 მანეთი ღირდა), ჯერ კიდევ არის რიგი ქვეყნების შეიარაღებაში — რუსეთში, ბელორუსიაში, უკრაინაში, სომხეთში, ვიეტნამში, კუბაში, ერაყში და სხვ. ამჟამად რუსეთში მიმდინარეობს მუშაობა C-125-ის ახალი მოდიფიკაციის შესაქმნელად.

*ირაკლი ალადაშვილი*



ამ რადიოლოკაციური სადგურის მეშვეობით ხორციელდება საზენიტო რაკეტების საჰაერო ობიექტებზე ზუსტი დამიზნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კვალიფიციური რჩევები

„არსენალი" აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება", რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80

**1. რა დანამატები ეძლევათ თავდაცვის სამინისტროში მომუშავე სამოქალაქო პირებს?**

სამოქალაქო პირებს ნამსახურები კალენდარული წლების მიხედვით ნამსახურობისათვის ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი (წელთა ნამსახურეობის) თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით:

ა) 5 წლამდე – 10%;
ბ) 5-დან 10 წლამდე – 20%;
გ) 10-დან 15 წლამდე – 25%;
დ) 15 წელი და მეტი – 30%.

სამოქალაქო პირებს საჯარო მოხელის საკლასო ჩინისათვის ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით:

ა) ნამდვილ სახელმწიფო მრჩეველს – 40%;
ბ) I კლასის სახელმწიფო მრჩეველს, I კლასის მრჩეველს – 35%;
გ) სახელმწიფო მრჩეველს, II კლასის მრჩეველს, საჯარო სამსახურის I კლასის მრჩეველს – 30%;
დ) III კლასის მრჩეველს, საჯარო სამსახურის II კლასის მრჩეველს, საჯარო სამსახურის I კლასის რეფერენტს – 25%;
ე) საჯარო სამსახურის III კლასის მრჩეველს, საჯარო სამსახურის II კლასის რეფერენტს – 20%;
ვ) საჯარო სამსახურის III კლასის რეფერენტს – 15%.

**2. რა დახმარება ეძლევათ თავდაცვის სამინისტროში მომუშავე სამოქალაქო პირებს, რომლებიც გათავისუფლებული არიან სამსახურიდან?**

სამოქალაქო პირებს, რომლებიც გათავისუფლებული არიან სამსახურიდან, ეძლევათ ერთჯერადი დახმარება თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით:

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ატესტაციის შედეგების გამო – 1 თვის;
ბ) შტატების შემცირების გამო – 2 თვის;
გ) ასაკის ან უწყების მიზეზით სამსახურში მისაღებად დადგენილ მოთხოვნათა დარღვევის გამო – 3 თვის. (შეჩერებულია 2006 წლის 1 იანვრამდე)

**3. რა დანამატები ეძლევათ სამხედრო მოსამსახურეებს სპეციალური მომზადებისა და სპეციალური დავალებების შესრულების დროს?**

სამხედრო მოსამსახურეებს პარაშუტით თითოეული გადმო ხტომისათვის ეძლევათ დანამატი თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით:

ა) 2-დან 10-მდე – 0.5%;
ბ) 10-დან 50-მდე – 1%;
გ) 50-დან 300-მდე – 1.5%;
დ) 300-დან 500-მდე – 2%;
ე) 500-დან 1000-მდე – 2.5%;
ვ) 1000 და მეტი – 3%.

ინსტრუქტორ-პარაშუტისტებს დანამატი ეძლევათ წელიწადში არაუმეტეს 100, ხოლო სხვა სამხედრო მოსამსახურეებს არაუმეტეს 50 ხტომაზე. ინსტრუქტორ-პარაშუტისტებს დანამატი ეძლევათ 300 ნახტომის შესრულების შემდეგ.

სამხედრო მოსამსახურეებს ყოველ 10 მეტრ სიღრმეზე ერთი საათის განმავლობაში წყალქვეშ შესრულებული სამუშაოებისათვის ეძლევათ დანამატი 45 ლარის ოდენობით.

სამხედრო მოსამსახურეებსა და სამოქალაქო პირებს დაშიფვრაზე უწყვეტი მუშაობისათვის ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით:

ა) 1-დან 3 წლამდე – 10%;
ბ) 3-დან 6 წლამდე – 15%;
გ) 6 წელი და მეტი – 20%.

საქართველოს პარლამე...
ეროვნული ბიბლიო...

# სამხედრო ლექსიკონი

მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი" აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.

Гофрированный – გოფრირებული
Грабеж – ძარცვა
Грабитель – მძარცველი
Гражданский – სამოქალაქო
Граната – ყუმბარა
Граната дистанционная – სადისტანციო ყუმბარა
Граната дымовая – საკვამლე ყუმბარა
Граната зажигательная – ცეცხლგამჩენი ყუმბარა
Граната осветительная – მანათობელი ყუმბარა
Граната ручная – ხელყუმბარა
Граната ручная яйцевидная – კვერცხისებრი ხელყუმბარა
Граната учебная – სასწავლო ყუმბარა
Граната химическая – ქიმიური ყუმბარა
Граната цветного дыма – ფერადკვამლიანი ყუმბარა
Граната ядовитого дыма – შხამკვამლიანი ყუმბარა
Гранатомет – ყუმბართმტყორცნი
Гранатоулавитель – ყუმბარასაჭერი
Граница – საზღვარი
Грейдер – გრეიდერი, მიწის მრანდავი
Громить – განადგურება
Груз – ტვირთი
Группа – ჯგუფი
Групповой – ჯგუფური
Гружевой – საჭაპანო
Гусеница – მუხლუხო
Гусеничный – მუხლუხა, მუხლუხიანი
Давление – წნევა
Дальнобойный – შორსსასროლი
Дальномер – მანძილმზომი
Дальномер лазерный – ლაზერული მანძილმზომი
Дальномер оптический – ოპტიკური მანძილმზომი
Дальномерщик – მანძილმზომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანამედროვე ჯავშანჟილეტები

ჩვენი დოსიე: ორიგინალური ქართული ტექნოლოგიით დამზადებული კერამიკული და მეტალოკერამიკული ჯავშანფილები აშშ სტანდარტის IV კლასს შეესაბამება. ისინი აკავებენ БЗ-32 (7,62X39) და Б-32 (7,62X54) ჯავშანგამტან-ცეცხლგამჩენ ტყვიებს, დიდი რესურსით.

## მიხეილ სააკაშვილს „შევარდნაძის ჩაი“ ქართულმა ჯავშანჟილეტმა მოანდომა

ბრძოლის ველზე, საარტილერიო ჭურვების, ნაღმების, ხელყუმბარების ნამსხვრევებისა და ცეცხლსასროლი იარაღიდან ნასროლი სხვადასხვა კალიბრის ტყვიების ცეცხლის სიმკვრივის სწრაფი მატება და ზოგადად, საბრძოლო ტექნოლოგიების სწრაფი ტექნიკური პროგრესი, მკვეთრად ზრდის ქვეითი მებრძოლების დაზიანების ალბათობას. შეტევითი იარაღის ეფექტურობის განუწყვეტელი ზრდის პირობებში ჯარისკაცის ბრძოლისუნარიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელია, ინდივიდუალური საჯავშნე საშუალებების გამოყენება. ერთ-ერთ ასეთ თავდაცვის საშუალებას ჯავშანჟილეტი წარმოადგენს.

დღეისათვის, ჯავშანჟილეტი, როგორც ინდივიდუალური თავდაცვის საშუალება, საზოგადოებაში სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს. ომისა და ექსტრემალური სიტუაციების გარდა, ჯავშანჟილეტებს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ატარებენ პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და ა.შ. დროთა განმავლობაში საბრძოლო ტექნოლოგიების პროგრესთან ერთად, უკვე ვხვდებით ულტრათანამედროვე და მაღალი დაცვის სისტემებით აღჭურვილ ჯავშანჟილეტებსაც, რომელთაც ჯავშანგამტანი ტყვიების შეკავებაც შეუძლიათ.

თემაზე, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე ჯავშანჟილეტი და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი, ვესაუბრებით ჯავშანჟილეტებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მწარმოებელი ქართული კომპანია „თორიტექსის“ მეცნიერ-ხელმძღვანელს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ბატონ გოგი თავაძეს.

— **ბატონო გოგი, გვიამბეთ ზოგადად რას წარმოადგენს ჯავშანჟილეტი?**

— როგორც მოგეხსენებათ, ჯავშანჟილეტი არის ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელიც გვიცავს სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღიდან ნასროლი ტყვიებისგან და ხელყუმბარების, ნაღმებისა



და ჭურვების აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ნამსხვრევებისაგან. ჯავშანჟილეტები იყოფა ორ კატეგორიად: არსებობს ე.წ. რბილი ჯავშანჟილეტი, რომელიც განკუთვნილია პისტოლეტისა და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებიდან ნასროლი ტყვიების შესაკავებლად და ჯავშანფილები, რომელიც განკუთვნილია ავტომატური იარაღიდან ნასროლი ჩვეულებრივი და ჯავშანგამტანი ტყვიებისაგან დასაცავად.

რბილი ჯავშანჟილეტის კონსტრუქციის მიხედვით, განსაზღვრავენ მის კლასიფიკაციასა და დანიშნულებას. არსებობს საარმიო, საპოლიციო და ა.შ. ჯავშანჟილეტები. ზოგადად კი, რბილი ჯავშანჟილეტები იყოფა 3 კლასად. მაგალითად, მე-3 კლასის ჯავშანჟილეტი მე-2 კლასთან შედარებით, გამოირჩევა უფრო მაღალი კლასის დაცვით და ა.შ. არსებობს ე.წ. „VIP“ კლასის ჯავშანჟილეტიც, რომელსაც ხშირად ატარებენ ბიზნესმენები და პოლიტიკოსები. ასეთი ჯავშანჟილეტი, სხვებთან შედარებით, მსუბუქი წონით გამოირჩევა, თუმცა, მისი დაცვისუნარიანობა ძალზე მაღალია და ჯავშანგამტან ტყვიებსაც უძლებს.

რაც შეეხება რბილი ჯავშანჟილეტის კონსტრუქციას, ზოგადად, იგი შედგება ბალისტიკური შიგთავსისა და გარეთა შალითისაგან. ე.წ. ბალისტიკური შიგთავსი წარმოადგენს სპეციალურ ტყვიაგაუმტარი ქსოვილის მრავალ ფენას, რომელიც თავსდება ჯერ წყალგაუმტარ, ხოლო შემდეგ გარეთა შალითაში. სწორედ ტყვიაგაუმტარი ქსოვილის ფენების რაოდენობა განსაზღვრავს ჯავშანჟილეტის დაცვისუნარიანობის ხარისხს. რაც უფრო მეტი იქნება საჯავშნე ქსოვილისაგან შემდგარი ფენა, მით უფრო მაღალი იქნება დაცვის კლასი. ჯავშანჟილეტის შალითა სხვადასხვა ფორმისაა. იგი იკერება საარმიო, საპოლიციო, „VIP“ და სხვა დანიშნულების ჯავშანჟილეტებისთვის. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ჯავშანჟილეტის შალითაც სპეციალური მტკიცე მასალისაგან უნდა იყოს შეკერილი, ადვილად და მოხერხებულად უნდა ერგებოდეს ტანს და ა.შ. ასე რომ, ჯავშანჟილეტის შალითა შეიძლება შევაკერინოთ ცნობილ დიზაინერსაც, მაგრამ როგორც ვთქვით, იგი უნდა შეესაბამებოდეს სპეციფიკურ მოთხოვნებს. აღნიშნული ჯავშანჟილეტის კონსტრუქცია წარმოადგენს ე.წ. რბილი ჯავშანჟილეტების ტიპს, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, განკუთვნილია მოკლელულიანი იარაღიდან ნასროლი ტყვიების შესაკავებლად. იმ შემთხვევაში, თუ პიროვნებას განსაკუთრებით მაღალი დონის დაცვა სჭირდება, ჯავშანჟილეტის შალითის სპეციალურ ჯიბეებში იდება (წინა და უკანა მხარეს) ჯავშანფილები, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტომატური იარაღის ჩვეულებრივი და ჯავშანგამტანი ტყვიებისაგან დაცვას. თითო ფილა 250X300 მმ ზომისაა და მზადდება სხვადასხვა მასალისაგან. არსებობს ფოლადის ფილები (3,8-4,2კგ), დენიმას ქსოვილის ფილები (1,6კგ), ტიტანის ფილები (2,6 კგ) და კერამიკისა და მეტალოკერამიკის ფილები (3,2-4კგ). აღნიშნული ფილები ერთმანეთისაგან თვისებებითაც და ფასითაც განსხვავდება. ფოლადის ფილები გაცილებით იაფია და ერთი ფილის ფასი 25-35$-ის ფარგლებში მერყეობს. დენიმას ქსოვილის ფილა 180-

ელექტრონული ბიბლიოთეკა



200$ ღირს, ტიტანის – 160-180$, ხოლო კერამიკის ფილების ფასი ხარისხისა და წონის მიხედვით განისაზღვრება – 75$-დან 750$-მდე.

თანამედროვე ლოკალურ ომებში მიღებული გამოცდილების ღრმა ანალიზის საფუძველზე კონსტრუირებული ჯავშანჟილეტების საუკეთესო მაგალითია ამერიკული არმიის ცნობილი ინდივიდუალური საჯავშნე საშუალება – PASGT-V (Personal Armour System for Ground U.S. Army), რომელიც მთლიანად ქსოვილოვანი ჯავშნისაგან არის შესრულებული. მისი ძირითადი ფართი იცავს ნამსხვრევებისაგან, ხოლო ამ ჯავშანჟილეტის დამატებითი კომპონენტის ISAPO კი ასევე ნამსხვრევებისაგან, ოღონდ ჭურვებისა და საავიაციო ბომბებში მოთავსებული შრაპნელის ტყვიებისა და ნებისმიერი დამაზიანებელი ელემენტისაგან. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ PASGT+ISAPO საერთო წონით 10-11 კგ პრაქტიკულად არ იცავს მებრძოლს ავტომატური იარაღიდან ნასროლი ტყვიებისაგან. ასე მაგალითად, ავტომატი AK-47 ამერიკულ ჯავშანჟილეტსა და მის დამატებით კომპონენტს 750 მ-დან ხვრეტს. მიუხედავად იმისა, რომ ავტომატური იარაღიდან ნასროლი ტყვიების 100% და ნამსხვრევების 20-30% ხვრეტს PSGT-V სისტემას, ეს უკანასკნელი საბრძოლო მოქმედების პირობებში დანაკარგებს დაახლოებით 18-50%-ით ამცირებს, რაც, თავისთავად, ნორმალურ შედეგად ითვლება.

ის ფაქტი, რომ ბრძოლის ველზე, ძირითადად, დამაზიანებელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ნაღმების, ჭურვებისა და ყუმბარების აფეთქების დროს წარმოქმნილი ნამსხვრევების ნაკადი, განსაზღვრავს PASGT-ს ანალოგიური საჯავშნე სისტემების შექმნას: ჯავშანჟილეტი RBR-300 (მწარმოებელი RBR-Armour, ინგლისი) და RAV-201 (ისრაელი), რუსული პერსპექტიული დამუშავება Пермячка და სხვ.

ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებთან ერთად თანამედროვე მსოფლიოს ცხელ წერტილებში ხშირად ხორციელდება ანტიტერორისტული და სამშვიდობო ოპერაციები. ამ შემთხვევაში მებრძოლის დაზიანების საშიშროების ბალანსი ნამსხვრევებსა და ტყვიებს შორის 50/50-ზეა. თუმცა ეს მონაცემი არამდგრადია, მაგალითად, ერაყის ომის საწყის ეტაპზე, ბალანსი 80/20-ზე იყო.

სამშვიდობო და ანტიტერორისტული ოპერაციების დროს გამოიყენება ისეთი ინდივიდუალური საჯავშნე საშუალებები, როგორიცაა Iterceptor (აშშ), Корсар-ი (უკრაინა) და Казак-ი, Визит-ი (რუსეთი) და სხვა. მათში გათვალისწინებულია ე.წ. ახლო ბრძოლის სპეციფიკა. საბაზო ე.წ. რბილი ჯავშანი იცავს მოკლელულიანი იარაღიდან ნასროლი ტყვიების დაახლოებით 50-80%-საგან, ხოლო ჯავშანფილები უზრუნველყოფენ ავტომატური იარაღიდან ნასროლი ტყვიებისაგან დაცვასაც.

ეს ჟილეტები არ არის გათვალისწინებული ჭურვის, ყუმბარისა და ა.შ. ნამსხვრევებისაგან დაცვაზე, რადგან მათ დაცვით სტრუქტურაში სპეციალური ნამსხვრევსაწინაალმდეგო ქსოვილის ნაცვლად ჩადებულია ტყვიაგაუმტარი საჯავშნე ქსოვილი. იგი დაახლოებით 20-25%-ით ამცირებს ჯავშანჟილეტის მდგრადობას ნამსხვრევების მიმართ, მაგრამ ძალზე ეფექტურია მოკლელულიანი იარაღიდან ნასროლი ტყვიების შესაკავებლად. ამ ტიპის ჟილეტების (ნამსხვრევებისა და ტყვიების საწინააღმდეგო) მწარმოებლები იძულებულნი არიან გაზარდონ ჟილეტის წონა, რაც ასევე ზრდის მის ფასსაც.

ორივე შემთხვევაში ავტომატური და სნაიპერული შაშხანის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისაგან დასაცავად გამოიყენება ფოლადის, ან სხვა კომპოზიტური





მასალისაგან დამზადებული ჯავშანფილები.

ჩვენს კომპანიას – „თორიტექსს“ (აბჯრის ხელოვნება) დიდი გამოცდილება აქვს ჯავშანჟილეტებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (სკაფანდრები და სხვ.) წარმოებაში. ჩვენმა მეცნიერებმა და კონსტრუქტორებმა ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეისწავლეს ჯავშანჟილეტების თანამედროვე მოდელები და შეიმუშავეს ახალი ტექნოლოგია. ჩვენი მიღწევა რბილი ჟილეტების კონსტრუირებაში გახლავთ ის, რომ შევამცირეთ ბალისტიკურ შიგთავსში ძვირად ღირებული ტყვიაგაუმტარი ქსოვილის (კევლარი, ტვარონი და სხვ.) ფენების რაოდენობა ისე, რომ ჯავშანჟილეტის დაცვისუნარიანობა არ შემცირებულა. მე-3ა კლასის ქართული ჯავშანჟილეტი უკან აგდებს „მაკაროვის“ ტყვიას და იჭერს TT-ს ვაზნიდან ნასროლ ფოლადისგულიან ე.წ. „პეპეშას“ ტყვიას, რომელსაც ტეფლონის ტყვიებთან ერთად ჯავშანჟილეტების რისხვას უწოდებენ. შემუშავებული ეფექტური კონსტრუქციის წყალობით, შესაძლებლობა მოგვეცა გვეწარმოებინა სხვადასხვა კლასის რბილი ჯავშანჟილეტები, რომლებიც ანალოგებზე ბევრად იაფი ღირს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმატება, ჯავშანფილების წარმოების ეფექტური ტექნოლოგიის შემუშავება გახლავთ, რომელსაც 1998 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

**— რაში მდგომარეობს ჯავშანფილების წარმოების ახალი ტექნოლოგია?**

– ჩვენ გადავწყვიტეთ, ჯავშანფილების წარმოებისას ფოლადის, ტიტანისა და სხვა მასალების ნაცვლად გამოგვეყენებინა კერამიკისა და მეტალოკერამიკის მასალები – შედეგად ძალზე ეფექტური მასალა მივიღეთ.

კერამიკისა და მეტალოკერამიკის ჯავშანფილების გარდა „თორიტექი“ აწარმოებს ტიტანის, ფოლადისა და დენიმას ქსოვილისაგან დამზადებულ ჯავშანფილებს. „თორიტექში“ შემუშავებული კერამიკული დამეტალოკერამიკული ჯავშანფილა 2,5 კგ-ს იწონის და განკუთვნილია ჯავშანგამტანი ტყვიებისაგან დასაცავად. ამასთან, ანალოგებისგან განსხვავებით აქვს ტყვიების დაჭერის მნიშვნელოვნად გაზრდილი რესურსი (რამდენჯერმე აღემატება საერთაშორისო სტანდარტს). განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენს მიერ დამზადებული „VIP“ კლასის ჯავშანჟილეტი, რომელიც მაღალი დაცვის სისტემებით გამოირჩევა და თანაც, ანალოგებთან შედარებით, მსუბუქია. სხვათა შორის, 2000 წელს, მიხეილ სააკაშვილს ჩვენმა კომპანიამ საჩუქრად გადასცა 2 ჯავშანჟილეტი. ეს ფაქტი, თავად სააკაშვილმაც აღნიშნა (რაც ჩვენ ძალიან გვეამაყება), ოღონდ უკვე პრეზიდენტობის პერიოდში და თან ისიც დაამატა: პარლამენტის შენობაში შევარდნაძის ჩაიც სწორედ იმიტომ დავლიე, რომ ჯავშანჟილეტი მეცვა, საშინლად მცხელოდა და მწყუროდაო!

— **ბ-ნო გოგი, დღეს ჩვენს ჯარისკაცებს უკრაინაში ნაყიდი ჯავშანჟილეტები აცვიათ. რატომ არ დაინტერესდა თავდაცვის სამინისტრო თქვენი პროდუქციით?**

— ლოგიკური კითხვაა! თავდაცვის სამინისტრო უკრაინაში 350$-ად ყიდულობს ფოლადისფილებიან ჯავშანჟილეტებს, რომელიც არცთუ მაღალი დაცვისუნარიანობით გამოირჩევა და თანაც ძალზე მძიმეა (11,5კგ). ვფიქრობ, ამ ჯავშანჟილეტების საქართველოში ჩამოტანაც ხომ დამატებით ხარჯებთან იქნება დაკავშირებული?! აღნიშნულ საკითხზე ჩვენთვის რომ მოემართათ, ზემოხსენებულ ფასად ჩვენი კომპანიაც დაუკომპლექტებდა უფრო მსუბუქ ჯავშაჟილეტებს, მაგრამ სამწუხაროდ, მომკითხავი არავინაა. ბარამიძის მინისტრობის პერიოდში ყურადღება მოგვაქციეს და მოლაპარაკების პროცესიც დაიწყო, თუმცა ბოლო პერიოდია ეს საქმე გაჩერდა. მე მაინც მგონია, რომ სამინისტროს ახლანდელ ხელმძღვანელობამდე ინფორმაცია სრულად არ მიდის, თორემ, ხომ არ შეიძლება ქვეყანაში გქონდეს ანალოგიური პროდუქცია და მას სხვა ქვეყნიდან ეზიდებოდე?! იმედი გვაქვს, რომ მოკლე პერიოდში ყველაფერი გაირკვევა. დღევანდელ ეტაპზე კი, შეიძლება ითქვას, რომ შეკვეთების მხრივ გაჩერებულები ვართ. ინდივიდუალური შეკვეთებიც იშვიათია და ჩვენც იძულებულები ვართ დავაპატენტოთ და გავყიდოთ ჩვენი ტექნოლოგია უცხოურ ფირმებზე. ვნახოთ, მომავალში რა იქნება!

*თემურ კაციაშვილი*



# თურმე ატომური ბომბებიც იკარგება

## როგორ მოუწყო ამერიკამ „ატომური დაბომბვა“ ესპანეთს

ეს საოცარი ისტორია 22 წლის წინ მოხდა, მაგრამ მიუხედავად დროის გავლისა, დღესაც თავზარს სცემს მსმენელს. ყველაფერი კი ჩვეულებრივად დაიწყო.

1966 წლის 17 იანვარს ხმელთაშუა ზღვის თავზე უზარმაზარ ამერიკულ სტრატეგიულ ბომბადამშენს B-52-ს საწვავი გამოელია და საჰაერო ტანკერ KC-135-დან მისი შევსება დაიწყო. ორიოდე თვითმფრინავი 600 კმ/სთ სიჩქარით თითქმის 10 კმ სიმაღლეზე მიფრინავდა, როდესაც B-52-ს მოულოდნელად 8 რეაქტიული ძრავიდან ერთ-ერთი აუფეთქდა. ცეცხლი ელვის უსწრაფესად მოედო მთელ ბომბდამშენს და საწვავის გამწყობი მილის საშუალებით მეორე თვითმფრინავს, — საჰაერო ტანკერსაც კი გადაედო. აფეთქება გარდაუვალი იყო.

თუმცა მსოფლიოს საშიშროება მარტო ორი, მართალია უზარმაზარი თვითმფრინავის აფეთქებით კი არ ემუქრებოდა, არამედ B-52-ის ნაკვეთურში განთავსებული საბრძოლო ტვირთით.

იმ დღეს ამერიკული სტრატეგიული ბომბდამშენი ჩვეულებრივი კი არა, წყალბადის ბომბებით იყო დატვირთული (არაა გამორიცხული, რომ ატომური ომის დაწყების შემთხვევისთვის ეს ბომბები სწორედ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ნაწილის, სამხრეთ კავკასიის, კერძოდ კი, საქართველოს დასაბომბად იყო განკუთვნილი).

თითოეულ ამ წყალბადის ბომბს 25 მეგატონის ტროტილის ექვივალენტის სიმძლავრე ჰქონდა, რაც 1,250-ჯერ აღემატებოდა ჰიროსიმაში ამერიკელების მიერ ჩაგდებულ ატომურ ბომბს. ერთი ასეთი წყალბადის ბომბის აფეთქების შემთხვევაშიც კი, 100 კმ რადიუსში ყველაფერი ცოცხალი მომენტალურად განადგურდებოდა. ათი ათასობით კვადრატული მეტრის ფართობი კი სამუდამოდ დარჩებოდა რადიაქტიურად დაბინძურებული.

არადა, ჰაერში აფეთქებამდე ამერიკული სტრატეგიული ბომბდამშენის ფიუზელაჟში ოთხი ასეთი წყალბადის ბომბი იყო მოთავსებული.

საბედნიეროდ, აფეთქებამდე რამდენიმე წამით ადრე ბომბდამშენის ეკიპაჟმა მოასწრო ოთხივე ბომბის ავარიული ჩამოყრა მიწაზე. წყალბადის ბომბები პარაშუტებით ეშვებოდა, როდესაც ჰაერში ორივე თვითმფრინავი ერთდროულად აფეთქდა. მფრინავებმა პარაშუტებით ისარგებლეს, თუმცა აფეთქებული თვითმფრინავების ალმოდებულ ნამსხვრევებში მოექცნენ და მათგან შვიდი კაცი დაიღუპა. თავად ნამსხვრევები ესპანეთის ერთ-ერთი სოფლის პალომარესის მიდამოებში 39 კვ.კმ-ის ფარგლებში გაიფანტა, მაგრამ რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, სოფლის 1200 მცხოვრებიდან არავინ დაშავებულა, არადა, აფეთქებული თვითმფრინავების ზოგიერთი ნამსხვრევი რამდენიმე ტონას იწონიდა.

თუმცა დავუბრუნდეთ მთავარ საშიშროებას – პარაშუტებით დაშვებულ ოთხ წყალბადის ბომბს. მართალია, მათი ამფეთქებლები დამცველებზე იყო დაყენებული, მაგრამ ბომბების აუფეთქებლობის სრული გარანტია არ არსებობს.

წყალბადის ბომბის აფეთქება, მარტივად რომ ვთქვათ, შემდეგნაირად ხორციელდება – ჯერ ფეთქდება ტროტილის ამფეთქი, რომელიც ინიცირებას უკეთებს ატომურ ამფეთქს, ეს უკანასკნელი კი უკვე წყალბადის ბომბს აფეთქებს.

საჰაერო კატასტროფიდან 18 საათის შემდეგ, ესპანური სოფლის სიახლოვეს, სამი წყალბადის ბომბი იპოვეს. მათგან მხოლოდ ერთი იყო უვნებლად გადარჩენილი, დანარჩენ ორს ტროტილის ამფეთქი აუფეთქდა, რომლებმაც საბედნიეროდ, ატომური ამფეთქების ინიცირება არ მოახდინა, თუმცა 100 ჰექტარის ფართობზე რადიაქტიური ურანი-235 და პლუტონი 239 გაფანტა. ამერიკელებმა თავის თავზე აიღეს დაზარალებული სოფლის გადარჩენა, მთელ ამ რადიაქტიურად დაბინძურებულ ტერიტორიაზე მოხსნეს ნიადაგის ზედა ფენა და აშშ-ის ტერიტორიაზე 5000 ორასლიტრიანი რკინის კასრით გაიტანეს დაბინძურებული მიწა, რომელიც ბირთვულ სამარხში მოათავსეს.

საშიშროება ამით არ დამთავრებულა, რადგან პარაშუტით მიწაზე მეოთხე წყალბადის ბომბი ჩამოეშვა, მაგრამ იგი ხმელეთზე ამერიკელებმა ვერსად იპოვეს. ძალაუნებურად რჩებოდა ერთადერთი ვარიანტი – წყალბადის ბომბი ზღვამ შთანთქა.

პენტაგონში გიჟებს დაემსგავსნენ. სამმეტრიანი ბომბის პოვნა ხმელთაშუა ზღვის სიღრმეში თითქმის შეუძლებელი იყო. ამერიკელები დიდი სიამოვნებით დამალავდნენ მეოთხე ბომბის არსებობას, მანამდე ხომ დიდხანს ამტკიცებდნენ, თითქოს ბომბდამშენზე მხოლოდ ერთი ბომბი იყოო, მაგრამ მსოფლიო საზოგადოებამ შეიტყო ოთხივე ბომბის არსებობა. ასე რომ, თვით ამერიკელებსაც არავინ აპატიებდა ხმელთაშუა ზღვაში დაკარგულ წყალბადის ბომბს.

დაიწყო ბომბის ზღვის ფსკერზე ძებნის გრანდიოზული ოპერაცია. განისაზღვრა მიახლოებითი ადგილი, სადაც შეიძლებოდა ბომბი ჩავარდნილიყო. ძებნის რაიონში თავი მოიყარა აშშ-ისა და NATO-ს სამხედრო ხომალდების მთელმა არმადამ. ასობით მყვინთავი იქნა მობილიზებული ბომბის საძებნელად. აშშ-დან სპეციალურად ჩამოიტანეს რამდენიმე ბატისკაფი და წყალქვეშა აპარატი. იმ დროისთვის ულტრათანამედროვე ჰიდროლოკატორებმა ძებნის რაიონში 150 წყალქვეშა ობიექტი დააფიქსირეს. დაიწყო მათი ამოღება. ეს ობიექტები, ძირითადად, თვითმფრინავების ნაწილები აღმოჩნდა. თავად წყალბადის ბომბი კი არსად ჩანდა. დროთა განმავლობაში შეიძლებოდა წყალბადის ბომბი აფეთქებულიყო წყალქვეშ, რაც ხმელთაშუა ზღვას ალბათ მკვდარ ზღვად აქცევდა.

მსოფლიო შიშმა მოიცვა.

არადა, უკვე მესამე თვე იყო, რაც ერთი ესპანელი მეზღვაური დაჟინებით ცდილობდა, შეხვედროდა ძებნის სამუშაოების ხელმძღვანელობას, მაგრამ მას აბეზარ მოხუცად თვლიდნენ და გენერლებთან ახლოს არ აკარებდნენ. ბოლოს და ბოლოს, მოუსმინეს და პირი დააღეს – თურმე, ამდენი ხანი სხვა ადგილას ეძებდნენ ბომბს! თვითმფრინავების კატასტროფის მომენტში ეს ესპანელი მეზღვაური ზღვაში ყოფილა სათევზაოდ და გრძელი რკინის სხეული პარაშუტით მის გვერდით ჩაშვებულა წყალში.

და აი, საოცრება, მეზღვაურის მიერ ნაჩვენებ ადგილზე 777 მ სიღრმეში სამხედროებმა მართლაც აღმოაჩინეს დაკარგული ბომბი.

დაიწყო მისი ამოღების პროცესი, რომელიც არანაკლებ დაძაბული აღმოჩნდა. ჯერ იყო და, რამდენიმე წყალქვეშა აპარატი ბომბის პარაშუტის თოკებში კინაღამ გაიხლართა. შემდეგ თითქმის უკვე ამოღებულ ბომბზე მოდებული გვარლი გაწყდა და წყალბადის ბომბი უკან, ზღვის სიღრმეში 870 მ-მდე შთაინთქა, მთელი ამ მანიპულაციების დროს შეიძლებოდა, ნებისმიერ მომენტში მომხდარიყო აფეთქება.

დაბოლოს, 1966 წლის 7 აპრილს ზღვაში 79 დღის ყოფნის შემდეგ დაკარგული წყალბადის ბომბი ამოიღეს და გააუვნებელყვეს. ეს სამთვიანი გრანდიოზული ოპერაცია, ხმელთაშუა ზღვის ბირთვული კატასტროფისგან გადასარჩენად 84 მლნ დოლარი დაჯდა.

ზოგიერთი ინფორმაციით, საბჭოთა სამხედრო ფლოტსაც 70-იან წლებში შავ ზღვაში ერთი ბირთვულქობინიანი რაკეტა ჩაუვარდა, რომელიც მოგვიანებით ამოიღეს. თუმცა საბჭოთა ბირთვული კატასტროფები ისე იყო გასაიდუმლოებული, მასზე ინფორმაცია მასმედიას კი არა, აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსაც კი არ გააჩნდა.



**ამერიკულ სტრატეგიულ ბომბდამშენზე შექმნილმა ექსტრემალურმა სიტუაციამ ევროპას კინაღამ პირინეის ნახევარკუნძული „ჩამოათალა"...**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯასტინ რენეტის

## მომაჯადოებელი სიძველე

პარიზის ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალზე, ელისეს მინდვრებისა და ფრანკლინ რუზველტის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარეობს Gasstinne-Renette-ს სავაჭრო სახლი. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ 1989 წელს, ეს ფირმა არანაკლებ სახელგანთქმულ საწარმო „პ.ჟ. გენე"-სთან გაერთიანდა. განახლებულ შენობაში ფირმის მეპატრონეებმა შეძლეს შეექმნათ „გარდასულ დღეთა მომხიბვლელი ფუფუნების ატმოსფერო". ახლა სავაჭრო სახლი მუზეუმს უფრო წააგავს, ვიდრე დაწესებულებას, სადაც მომხმარებელი უბრალოდ საყიდლებზე დადის, აქ მნახველს შეუძლია უძველესი ნივთების ხილვით დატკბეს. შენობაში გამოფენილია მაღალი ხარისხის ძველი იარაღი, რომელიც ჯასტინ-რენეტის სახელოსნოებში ორი ასეული წლის მანძილზე მზადდებოდა. რა თქმა უნდა, ამ იარაღის გვერდზე გამოფენილია ფირმის თანამედროვე მეიარაღე ოსტატების საუკეთესო ნაკეთობები. გარდა ამისა, ამ ფეშენებელურ მაღაზიაში სპორტული ტანსაცმლის უმდიდრეს ასორტიმენტს, ტყავისგან შეკერილ ტანსაცმელს, სანადირო ჩანთებს და სხვა აქსესუარებს შეხვდებით, რაც მთლიანად შეესატყვისება გამოფენილი იარაღის სტილსა და კლასს. ჯასტინ-რენეტის ყველა ნივთს საკუთარი დამღა, გადაჯვარედინებული სადუელო დამბაჩები და ფირმის დაარსების თარიღი — 1812 წელი არტყია. ფირმის ისტორია კი გაცილებით ადრე, საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციამდე დაიწყო.

ცნობილია, რომ მეიარაღე ოსტატი, რენეტი პაპენკურის ქუჩაზე საკუთარ სახელოსნოში საუკეთესო არკებუზებს აკეთებდა. თუმცა, წერილობითი დოკუმენტი ამის შესახებ არ შემონახულა. ერთადერთი ჩვენამდე მოღწეული მოწმობა, რომელიც ამ ოსტატის საქმიანობაზე მეტყველებს, არის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ანრი რენეტმა 1893 წლის 8 მაისს სესხი აიღო. ზუსტად ამ სესხმა მისცა საშუალება მეიარაღე ოსტატს საკუთარი საქმე წამოეწყო. 1809 წლისთვის რენეტი მოხსენიებულია ტრაქტატში ნადირობის შესახებ: მან დაამუშავა ლულების დამზადების იმ დროისთვის ყველაზე სრულყოფილი მეთოდი.

1812 წელს მისი შვილი ალბერტ რენეტი ელისეს მინდვრებზე გადავიდა და ლუი ჯასტინთან ერთად დააფუძნა მაღალი კლასის იარაღის სახელოსნო. მალე კომპანიონთა საქმიანი ურთიერთობა მათი შვილების ქორწინებამ დააგვირგვინა. ასე დაიწყო ცნობილი ფირმის Gasstine-Renette-ის ისტორია. 1857 წლის 8 აპრილის აქტით ცნობილი ხდება, რომ ჯასტინ-რენეტის ოჯახის სახელზე ირიცხება მიწის ნაკვეთი, რომელზეც განლაგებულია მათი საიარაღო სახელოსნო. ამ დროისათვის ელისეს მინდვრები პარიზის ყველაზე პრესტიჟულ უბნად იქცა, აშენდა ელისეს სასახლე, ინგლისის საელჩო და სხვა ცნობილი ნაგებობა, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანისთვის ელისეს მინდვრებისა და მდინარე სენის შუა მოქცეული რაიონი ჯერ კიდევ დაუსახლებელი იყო. აქ მრავალრიცხოვან ჭალებსა და მინდვრებზე მაშინდელი პარიზის რჩეული საზოგადოების სასეირნო და დასასვენებელი ადგილი იყო. აქვე იმართებოდა იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი მრავალრიცხოვანი დუელები, რომლებიც ერთობ უწყობდნენ ხელს ჯასტინ-რენეტის ფირმის აყვავებას. იმ დროისათვის, ლუი ჯასტინის ნახელავი, 300 ოქროს ფრანკის ღირებულების წყვილი სადუელო დამბაჩის ფლობა, საფრანგეთის მაღალი საზოგადოების წევრობის ნიშნად ითვლებოდა. ლუი ჯასტინის მუშტართა შორის ნაპოლეონ მესამეც კი აღმოჩნდა, მან ხუთი წყვილი დამბაჩა ცნობილი ფრანგული სამხედრო სასწავლებლის, სან-სიროს დიპლომანტების



ეროვნული ბიბლიოთეკა



დასაჯილდოებლად დასჭირდა. ამ ხელსაყრელი შეკვეთის შემდეგ, ელისეს სასახლიდან უწყვეტად წამოვიდა შეკვეთები. 1852 წელს ლუი ჯასტინი სამეფო კარის ოფიციალურ მეიარაღედ სცნეს. მიართვეს სასახლის საშვი, სადაც მას იარაღით შესვლის უფლება ჰქონდა, რაც საკმაოდ იშვიათი პრივილეგია იყო. გარდა ამისა, იგი მოვალე იყო იმპერატორს ნადირობისას თან ხლებოდა და მისი თოფიც პირადად დაეტენა.



1855 წელს პარიზში მოეწყო პირველი მსოფლიო გამოფენა. გასტინ-რენეტის ფირმის სტენდებზე გამოფენილი იყო ორლულიანი თოფები, კარაბინები, მსხვილკალიბრიანი სანადირო თოფები, სანადირო დანები, ხმლები, დაშნები და, რა თქმა უნდა, სადუელო დამბაჩები. აქვე იყო წარმოდგენილი როგორც უბრალო, ასევე ძვირფასი მორთულობის ნესესერები (საგზაო ფუტლიარი). სანადირო



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალისო სტატისტიკა

● 2 მილიარდიდან მხოლოდ ერთი ადამიანი ცოცხლობს 116 წლამდე.

● აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 1998 წელს გამოუშვეს 10.257.400.000 ცალი ერთცენტიანი; 2.335.300.000 ცალი ათცენტიანი; 1.867.400.000 ოცდახუთცენტიანი და 30.710.000 ორმოცდაათცენტიანი მონეტა

● გაეროს მონაცემებით, მსოფლიოში ყოველდღიურად 250 ათასი ახალშობილი იბადება – სამი ყოველ წამს.

● აშშ-ში ყოველ მოქალაქეზე საშუალოდ ორი საკრედიტო ბარათი და ამდენივე რადიომიმღები მოდის.

● მსოფლიოში ყოველდღიურად 4,5 მილიარდი (!) ლიტრი ბენზინი მოიხმარება.

● კომპიუტერზე ტექსტის აკრეფისას შესრულებული სამუშაოს 56%-ი მარცხენა ხელზე მოდის.

● ბრიტანეთში გამოკითხულ მდივანთა 92%-ი თანახმაა, რომანი გააბას უშუალო ხელმძღვანელთან.

● აზიური ქვეყანა ყატარი მსოფლიოს ლიდერია სიცოცხლისუნარიანობაში. აქ სიკვდილიანობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია – 1,6 კაცი ყოველ 1000 მოქალაქეზე.

● სხვადასხვა ქვეყნის მცხოვრებთა მიერ ტელევიზორის ეკრანთან გატარებული დრო: გერმანია – 182 წუთი დღეში; საფრანგეთი – 185; ბრიტანეთი – 212; დსთ – 224; აშშ – 238; იაპონია – 320(!).

● ჩინეთში 90 მილიონ კაცზე მეტი ატარებს გვარს – ლი.

● 100 წლამდე მიღწეული 5 ადამიანიდან 4 ქალია.

● დედამიწაზე ყოველ წუთს 200 -ზე მეტჯერ ელავს.

● საშუალო ამერიკელი შხაპის მიღებისას ხარჯავს 56 ლ. წყალს და ამ პროცედურას დაახლოებით 10 წუთს ანდომებს.

● ყოველ წელიწადს აშშ-ში მცხოვრებ დაახლოებით 250000 დაქორწინებულ მამაკაცს საკუთარი ცოლი სცემს.

● ყველაზე გრძელი შვებულება ევროკავშირში იტალიელებსა და ფინელებს აქვთ – 9 კვირა. გერმანელებს – 8 კვირა; ავსტრიელებს, ესპანელებსა და პორტუგალიელებს – 36 დღე; შვედებს, დანიელებს, ფრანგებსა და ინგლისელებს კი – 34 დღე; შედარებისთვის, აშშ-ში შვებულება 5 კვირას არ აღემატება.

თოფებს შორის გამოირჩეოდა პირადად იმპერატორისათვის დამზადებული ორლულიანი თოფი, რომლის კონდახიც ოქროთი და არაბესკებით (არაბული წარმოშობის რთული ორნამენტები) იყო მოვარაყებული; მეორე, ძვირფასი თვლებით ინკრუსტირებული იარაღი, ფაქიზი გემოვნებისა და ფუფუნების ურთიერთშერწყმის იშვიათი ნიმუში, ეგვიპტის პრინცისთვის გახლდათ განკუთვნილი. ამ თოფებში გამოყენებული იყო ლუი ჯასტინის ტექნიკური სიახლე, დატენვის ახალი მეთოდი.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრული დუელთა მოზღვავების დროა, 1885-1895 წლებში საფრანგეთში შედგა 150 გამორჩეული დუელი, მათ შორის, ალექსანდრე დიუმას, ჟორჟ კლემანსოსა და სხვა ცნობილ პიროვნებათა დუელები. ამ დროისათვის ფირმამ არა მარტო გაზარდა წარმოება, არამედ გახსნა გალერეა, სადაც შესაძლებელი იყო ადამიანების სილუეტების გამოსახულებაზე სროლაში ვარჯიში. ეს სილუეტები მსროლელისაკენ გვერდულად იდგნენ – ისე როგორც ნამდვილი დუელისას ხდება. გარდა ამისა, იქ მისულ მოვარჯიშეებს ასწავლიდნენ თავის ღირსეულად დაჭერას – „არ მოჰკლა და არ შეაკვდე“ (აქვე უნდა ითქვას, რომ სადუელო დამბაჩების სიძვირის გამო, უმრავლეს შემთხვევაში მათ ყიდვის ნაცვლად, უბრალოდ ქირაობდნენ). ფირმა ჯასტინ-რენეტის კონსულტანტთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მიერ მომზადებული დუელანტების უმრავლესობა ორთაბრძოლებს შერიგებითა და მეგობრული პურმარილით ამთავრებდა.

ფირმის სადუელო დამბაჩები საუკეთესო საბრძოლო თვისებებით გამოირჩეოდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გამოჩენილი ამერიკელი მსროლელი ეირ პენი ჯასტინ-რენეტის დამბაჩით ათი ტყვიიდან ათივეს 9 მილიმეტრიან წრეში ახვედრებდა. ასეთი ფანტასტიკური შედეგი, ლულის არხების განსაკუთრებულად წვრილი ხაზებით მიიღწეოდა. მართალია 2-3 ათასი გასროლის შემდეგ ხრახნხაზები ცვდებოდა და მიზანი უარესდებოდა, მაგრამ მათზე უკეთესი სადუელო იარაღი იმ დროისათვის არ არსებობდა.

ორ მსოფლიო ომს შორის, ეპოქაში, როცა ცნობილი მონადირეები მსხვილი ნადირის ძიებაში მთელ მსოფლიოს მოედვნენ, ჯასტინ-რენეტის ფირმამ სახელი თავისი სანადირო ხრახნიანი ორლულიანი თოფებითა და შტუცერებით გაითქვა. მეორე მსოფლიო ომის დროს ფირმა იარაღით ამარაგებდა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობას. საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდში ყოველგვარი ნადირობა აკრძალული იყო, რის გამოც ფირმა ველოსიპედების წარმოებაზე გადაერთო. 1945 წელს კი, როცა ფრანგმა მონადირეებმა, სანადირო სეზონში მხოლოდ 10 გასროლის უფლება მიიღეს, ჯასტინ-რენეტმა მხოლოდ 30 თოფი დაამზადა. 1950 წლისათვის მზა პროდუქციის რიცხვმა უკვე 200-ს გადააჭარბა და როგორც უკვე ვთქვით, 1989 წელს ფირმა 1907 წელს დაარსებულ საწარმო „გენეს“ შუერთდა.

დღეისათვის ჯასტინ-რენეტი არა მარტო სავაჭრო დაწესებულებაა, მის სახელოსნოებში აკეთებენ კლასიკური ტიპისა და პროპორციების ძვირფას სანადირო თოფებს. როგორც ასი წლის წინ, ეს იარაღი დღესაც გამორჩეულად დაფასებულია და საკმაოდ ძვირი ღირს. ორლულიანი თოფი გვერდითა დაფაზე განლაგებული საკეტებით, ინგლისური ტიპის კონდახითა და მსუბუქი ორნამენტების გრავირებით, 2000 წელს ორასი ათასი ფრანკი ღირდა. ისეთივე ორლულიანი თოფი, ოღონდ de luxe შესრულებით უკვე 320 ათასი ფრანკად გაიყიდა. ასეთივე ფასად იყიდებოდა ორლულიანი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ტიპის 12, 16 და 20-კალიბრიანი სანადირო თოფები; 220 ათასი ფრანკი ღირდა მსხვილი აფრიკული კალიბრის ვაზნებისათვის განკუთვნილი ორლულიანი შტუცერი, რომელიც სპილოზე, კამეჩსა და მარტორქაზეა გათვლილი. ოდნავ ნაკლები – 200 ათასი ფრანკი ღირდა. უნდა ითქვას, რომ ჯასტინ-რენეტის ფირმის იარაღის ფასის ჭერი უბრალოდ არ არსებობს. უფრო ადვილია დაასახელოთ შედარებით მცირე ფასის იარაღი, ვიდრე ყველაზე ძვირი.

თავისთავად ცხადია, რომ მყიდველების უმრავლესობა ფირმა ჯასტინ-რენეტის თოფებს არა სანადიროდ, არამედ კოლექციისთვის ყიდულობს. ძვირად ღირებულ ორიგინალურ იარაღს წვიმასა და თოვლში გარეთ არავინ გამოიტანს და არც გასაბერ ნავში ჩაჯდება საგანგებო შეკვეთით დამზადებული ხელოვნების ნიმუშით შეიარაღებული ჭკუათმყოფელი. დიახ, ფირმა ჯასტინ-რენეტის ნახელავით მხოლოდ კოლექციონერები არიან დაინტერესებული, მაგრამ პარიზელ მეიარაღეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი საკოლექციო იარაღის უმეტესობა საბრძოლო თვისებებით ხშირად საგანგებოდ ნადირობისათვის შექმნილ თოფებსაც კი აღემატება.

ივერიელი ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ყველაზე ძვირი, მაგრამ ყველაზე მაგარი

## ახალი ამერიკული F-22 Raptor-ი, დღესდღეობით მსოფლიოში საუკეთესო გამანადგურებელია

## მეხუთე თაობის გამანადგურებელი



**ჩვენი დოსიე:** F-22A Raptor-ის მაქსიმალური ასაფრენი მასა 27 ტონას აჭარბებს. მისი სიგრძე 19 მ-ია, ფრთაგაშლილობა 13,5მ, სიმაღლე 5მ. ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 2000 კმ/სთ აღწევს, კრეისერული სიჩქარე 1600 კმ/სთ. ფრენის მაქსიმალური „ჭერი" — 18 კმ. ფრენის სიშორე 3000 კმ. შეიარაღება შედგება ერთი 20მმ კალიბრიანი ავტომატური ქვემეხისგან „ვულკანი" (480 ჭურვის მარაგი) და 8 ცალი „ჰაერი-ჰაერი" კლასის რაკეტისგან, მათ შორის, 6 შორი მოქმედების AIM-120C AMRAAM-ის ტიპისაა, ორი კი ახლო მოქმედების AIM-9 Sidewinder-ია.

საბრძოლო თვითმფრინავი, რომლის ესკიზის შექმნა ჯერ კიდევ 20 წლის წინ დაიწყო, ხოლო პირველი საცდელი გაფრენა 15 წლის წინ განხორციელდა, წესით არ უნდა ითვლებოდეს ულტრათანამედროვედ. თუმცა, თანამედროვე საბრძოლო საფრენი აპარატების შექმნა ისეთი რთული, შრომატევადი და ძვირად ღირებული პროცესია, რომ მათ „ჭკუაზე მოსაყვანად" ორი ათეული წლის დახარჯვა, დღეს ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება.

F-22 პროექტის განხორციელებას ძალიან ბევრი სიძნელე ახლდა. ამას დაემატა კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც ასევე შეანელა „რაპტორის" აფრენა. ეს იყო საბჭოთა კავშირის იმპერიის დაშლა...

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ცნობილმა ამერიკულმა საავიაციო ფირმებმა Lockheed Martin-მა და Boeing-მა „რაპტორის" შექმნა იმის გამო დაიწყეს, რომ საბჭოთა კავშირში გამოჩნდა მეოთხე თაობის გამანადგურებლები – МиГ-29 და Су-27.

იმ დროისათვის სუპერგამანადგურებლებად აღიარებულ ამერიკულ F-15-ებსა და F-16 უკვე გაუჭირდებოდათ ბრძოლა საბჭოთა МиГ-29 და Су-27-თან. არმიის სტრატეგია კი, პირველ რიგში, მოითხოვს სრული საჰაერო ბატონობის მოპოვებას საბრძოლო მოქმედებების საჰაერო სივრცეში, რასაც მართლაც საუკეთესო გამანადგურებლები სჭირდება.

F-22 „რაპტორი" სწორედ ამ კრიტერიუმებით შეიქმნა და იგი გახდა მეხუთე თაობის ის პირველი გამანადგურებელი თვითმფრინავი, რომელშიც გაერთიანდა მეოთხე თაობის გამანადგურებლების ყველა დადებითი ნიშანი და ამას დაემატა განსხვავებული საბრძოლო შესაძლებლობები.

თავისი მახასიათებლებით, F-22 უიშვიათესი გამანადგურებელია, მისი კრეისერული სიჩქარე (1600 კმ/სთ-მდე) ზებგერითს აღემატება. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მესამე თაობის გამანადგურებლები (F-104 და МиГ-21) ითვლებოდნენ ზებგერითებად. მათ ბგერაზე სწრაფად ფრენა მხოლოდ რამდენიმე წუთით თუ შეეძლოთ, რადგან ხანგრძლივი ზებგერითი სიჩქარით ფრენისთვის არც საწვავი ეყოფოდათ და ვერც მათი კონსტრუქცია გაუძლებდა დიდი სიჩქარით ფრენისას წარმოქმნილ



გარეგნულად F-22-ი ფანტასტიკური ფილმიდან გადმოსულ საფრენ აპარატს მოგვაგონებს



„რაპტორების" კაბინაში მხოლოდ გამოცდილი პილოტები სხდებიან



ჩვენი დოსიე: მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ავიაციაში რეაქტიული ერის დამწყები გახდნენ პირველი თაობის რეაქტიული გამანადგურებლები — გერმანული Me-262, ბრიტანული „მეტეორი", ამერიკული F-84, საბჭოთა МиГ-9 და Як-15. მეორე თაობის გამანადგურებლები კორეის ომის პერიოდში გამოჩნდნენ ამერიკული F-86-ისა და საბჭოთა МиГ-15-ის სახით. მესამე თაობას განეკუთვნებიან ფრანგული Mirage-III-ი, ამერიკული F-104 „სტარფაიტერი" და საბჭოთა МиГ-21. მეოთხე თაობის რეაქტიული გამანადგურებლები 70-იან წლების ბოლოს გამოჩნდნენ — ამერიკული F-15 და F-16, ფრანგული Mirage-2000 და საბჭოთა МиГ-29 და Су-27.

მაღალ ტემპერატურას (ატმოსფეროში ბგერის გავრცელების სიჩქარე დამოკიდებულია სიმაღლეზე, ატმოსფერულ წნევაზე, ტემპერატურაზე. მისი დაახლოებით მაჩვენებელი უტოლდება 1180 კმ/სთ-ს).

ითვლება, რომ F-22-ს, რომლის მაქსიმალური სიჩქარეც 2000 კმ/სთ-ს აღწევს, შეუძლია მოწინააღმდეგის საჰაერო სივრცეში კრეისერული სიჩქარით (1600 კმ/სთ) დიდხანს იფრინოს.

F-22-ი „სტელსის" ტექნოლოგიითაა დამზადებული და მოწინააღმდეგის რადიოლოკაციურ სადგურებს უჭირთ მისი შორ მანძილზე აღმოჩენა. თანაც „რაპტორი" ზებგერითი სიჩქარით დაფრინავს, რაც ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საზენიტო რაკეტებს მხოლოდ წამებს უტოვებს რეაგირებისთვის. ამასთან, „რაპტორს" ორივე რეაქტიული ძრავის უკან მართკუთხედის ფორმის მოძრავი საქშენი უყენია. მისი ამოძრავებისას შესაბამისად გადაიხრება ძრავებიდან დიდი სისწრაფით გამომავალი რეაქტიული ნაკადიც, რაც ამერიკულ გამანადგურებელს მანევრირების დამატებით უნარს ანიჭებს.

„სტელსის" ტექნოლოგია, ფაზირებული ტიპის საბორტე რადიოლოკატორი, ფრენის დიდი სიშორე (3000 კმ), მოძრავი საქშენები და ზებგერითი კრეისერული სიჩქარე F-22-ს ყველა დღემდე არსებულ გამანადგურებელზე ერთი თავით მაღლა აყენებს და მას ნამდვილ საჰაერო მონადირედ აქცევს. თუმცა, ამასთან, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა კონსტრუქციული თავისებურებები F-22-ს მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებულ გამანადგურებლად აქცევს.

პირველადი პროექტის მიხედვით დაგეგმილი იყო 648 ერთეული F-22-ის წარმოება, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ფაქტობრივად თანაბარძალიანი მოწინააღმდეგის დაკარგვის გამო, ეს რიცხვი კონგრესმა 438-მდე შეამცირა, ახლა კი საერთოდ 300-ზე დაიყვანა.

მოგეხსენებათ, რომ რაც უფრო პატარა სერიით აწარმოებენ თვითმფრინავს, მით უფრო იზრდება თითოეული ეგზემპლარის ღირებულება. სწორედ ამიტომაც, დღევანდელ სიტუაციაში ერთი F-22-ის ფასმა 94 მლნ(!)



„რაპტორის" ჰაერში საწვავით გაწყობა საჰაერო ტანკერიდან



F-22-ის ასტრონომიული ღირებულების უდიდეს ნაწილს სწორედ კაბინაში დამონტაჟებული ულტრათანამედროვე რადიოელექტრონული მოწყობილობები შეადგენს





„რაპტორი“ შორი მოქმედების „ჰაერი-ჰაერი“ კლასის AMRAAM-ის ტიპის მართვად რაკეტას უშვებს




„რაპტორს“ ორივე რეაქტიული ძრავის უკან მართკუთხედის ფორმის მოძრავი საქშენი უყენია, რაც ამერიკულ გამანადგურებელს მანევრირების დამატებით უნარს ანიჭებს

დოლარს მიაღწია, რაც თვით ზესახელმწიფოსთვისაც კი ძნელად მისაღებია. ამიტომ ამერიკელი კონსტრუქტორები ცდილობენ „რაპტორს“, გამანადგურებლის თვისებების გარდა, მრავალფუნქციური დანიშნულებაც მიანიჭონ, ანუ მას უნდა შეეძლოს არა მარტო საჰაერო ბრძოლებში სხვა თვითმფრინავების ჩამოგდება, არამედ სახმელეთო სამიზნეების უზუსტესი დაბომბვაც. აქ კი ამერიკელები წინააღმდეგობას აწყდებიან — „რაპტორმა“ რომ „სტელსის“ თვისებები შეინარჩუნოს, მისი „ჰაერი-ჰაერი“ ტიპის რაკეტები (6 შორი და 2 ახლო რადიუსის მოქმედების) სამ სპეციალურ ნიშაში ინახება. გასროლის წინ ამ ნიშების სახურავები იხსნება და რაკეტები მხოლოდ ამის შემდეგ იღებენ სტარტს. თვით ყველაზე დიდი, ცენტრალური ნიშაც არ არის იმ მოცულობის, რომ მასში მსხვილგაბარიტიანი მართვადი ბომბი მოთავსდეს. ასეთი ბომბების ჩამოკიდება „რაპტორის“ ფრთებზეც შეიძლება, მაგრამ მაშინ „უხილავი“ თვითმფრინავი კარგავს „სტელსის“ თვისებებს. კონსტრუქტორები ცდილობენ შექმნან მცირეგაბარიტიანი, მაგრამ ამასთანავე ძლიერი მართვადი ბომბებიც, რომლებიც „რაპტორის“ ნიშაში ჩაეტევიან.

ამერიკული F-22 Raptor-ი თავისი საბრძოლო შესაძლებლობებით ნამდვილად აღემატება არა მარტო ამერიკულ F-15-ს და რუსულ Су-27-ს (და მის თანამედროვე მოდიფიკაციას Су-37-ს), არამედ მეხუთე თაობის გამანადგურებლებად მიჩნეულ ფრანგულ „რაფალსაც“ და ევროპულ „ევროფაიტერსაც“.

მართალია რუსული მასმედია ამერიკულ „რაპტორის“ ღირსეულ მეტოქეებად რუსულ ექსპერიმენტულ გამანადგურებლებს, მიქოიანის „პროექტ 1.42“-სა და სუხოის Су-47-ს მიიჩნევს, მაგრამ „რაპტორების“ გამოშვება უკვე სერიულად მიმდინარეობს, ხოლო რუსული ექსპერიმენტული გამანადგურებლებიდან რა გამოვა, ჯერ არავინ იცის.

*ირაკლი ალადაშვილი*



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლაბრადორი



ლაბრადორი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჯიშის ძაღლია. ის გადასარევად გრძნობს თავს როგორც მეფეებისა და პრეზიდენტების რეზიდენციებში, ისე უბრალო ადამიანების სახლებში. მისი ზუსტი წარმომავლობა დღემდე დაუდგენელია და ამის გარშემო კამათი ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ლაბრადორის წარმომავლობის შესახებ ბევრი ვერსია არსებობს. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მისი წინაპრები იყვნენ ჩრდილო-ამერიკელი ინდიელების ძაღლები, რომლებიც წყალში კარგად ყვინთავდნენ და ცურავდნენ. ამ დროს მათი ძირითადი დანიშნულება მეთევზეებისთვის წყლიდან ბადის ამოღების დროს დახმარება იყო. უცნობი ჯიშის ძაღლები ბრიტანელებს პირველად მე-19 საუკუნის დასაწყისში, კუნძულ ლაბრადორზე შეუნიშნავთ. ეს ძაღლები შეუცვლელი დამხმარენი იყვნენ. მათ შტორმის დროს არაერთი ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენიათ. ამასთან, სპეციალური ურიკებით გადაჰქონდათ მძიმე ტვირთი, წყლიდან ამოჰქონდათ ნანადირევი და ა.შ. მოგვიანებით, 1830 წელს ეს ძაღლები ბრიტანეთში გადაიყვანეს, სადაც მათ სახელი გაითქვეს როგორც მონადირე ძაღლებმა.

შემდგომში, როცა მიმდინარეობდა ამ ძაღლების ერთ ჯიშად ჩამოყალიბება, მათ გასაკეთილშობილებლად იყენებდნენ პოინტერებსა და რამდენიმე სხვა ჯიშის მონადირე ძაღლებსაც. ხოლო 1870 წელს გამოიყვანეს დამოუკიდებელი ჯიშის ძაღლი – ლაბრადორ რეტრივერი. 1903 წელს კი ძაღლთსაშენების ინგლისურმა კლუბმა დამოუკიდებელი ჯიშის ძაღლად სცნო.

ლაბრადორის პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის ვინმე გრაფინია ჰაუს. ეს ქალბატონი უკიდურესად დაუინტერესებია საოცარი უნარჩევვების ძაღლის ჯიშს და იგი მალე გახდა წამყვანი ფიგურა „ლაბრადორების სამყაროში“. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ლაბრადორებს შეეხებოდა, მის თვალთახედვას არ გამორჩენია.

ლაბრადორი ძალიან მეგობრული და სიცოცხლისმოყვარე ძაღლია. ეს ძაღლები სამონადირე ჯიშად ითვლებიან. მათზე უკე-






არსენალი
ლაბრადორი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თესი მონადირე ძაღლები ალბათ არც არსებობენ. XIX საუკუნის დასასრულს ლაბრადორის რიცხვი გაიზარდა და ერთიორად იმატა მათმა პოპულარობამაც. ამ ძაღლის დიდმა შესაძლებლობებმა, დამჯერობამ, არაჩვეულებრივმა ყნოსვამ და ჯანმრთელმა აზროვნებამ ისინი შეუცვლელ მონადირე ძაღლებად აქცია. მონადირეებმა ყველაზე უკეთ იციან ამ უნივერსალური ძაღლის ფასი. ლაბრადორებს კარგი ტემპერამენტი აქვთ, ოჯახისთვის თავდადებულნი არიან. ისინი წვრთნას ადვილად ემორჩილებიან. მათი გამოყენების სფერო ძალიან დიდია — ელემენტარული დავალებების შესრულებით დაწყებული (მაგ: პატრონისთვის გაზეთისა და ფლოსტების მიტანა) — ნარკოტიკებისა და ასაფეთქებელი ნივთიერების ძებნით დამთავრებული. გამოიყენებიან მაშველებად როგორც ხმელეთზე, ისე — წყალზე. მათ ასევე იყენებენ ბრმა ადამიანების წინამძღოლადაც. ყველაფერი ეს კი განაპირობა მათმა მტკიცე და ძლიერმა ხასიათმა, არაჩვეულებრივმა ყნოსვამ, ჭკუამ, რაც მას საკვირველ ნატურად ქმნის.

ლაბრადორებს მოკლე და სქელი ორმაგი ბალანი აქვთ, რის გამოც მალე და ადვილად შრებიან. საერთო შეხედულებით ეს ძაღლები ძლიერი აღნაგობისანი, ენერგიულები და ძალზედ აქტიურები არიან. სხვა თვისებებთან ერთად, ეს ძაღლი ძალიან დამჯერი და ჭკვიანია, ამიტომ სასიამოვნო და ამასთან, საიმედო კომპანიონია. ლაბრადორებს ძალიან უყვართ წყალი, ადვილად ეგუებიან გარემოს. ხვადის სიმაღლე 45-57 სმ-ია. ძუსი — 54-56. ხვადის წონა 57-62 კგ-ია, ძუსი — 55-59. სახე საშუალო სიგრძისა აქვს, ძლიერი, მაგრამ არა უხეში. აქვს ფართო დრუნჩი, კარგად განვითარებული ნესტოებით, მსხვილი თეთრი კბილები, რომელთა ნაკბენი თავისებურია. აქვს საშუალო სიდიდის ყავისფერი ან თხილისფერი თვალები, ჭკვიანური და კეთილმოსურნე გამოხედვით. არცთუ ისე დიდი ყურები, რომლებიც ჩამოყრილი და ოდნავ გადაწეულია. კისერი ძლიერი, მკერდი კი ღრმა და განიერი აქვს. კუდი მისი სხვა ჯიშებისგან განმასხვავებელი ნიშანია. დასაწყისში მსხვილია და თანდათან ვიწროვდება. დაფარულია მოკლე ბალნით. აქვს მრგვალი, კომპაქტური თათები, თათებს შორის არეებით. რაც შეეხება მის შეფერილობას, გვხვდება როგორც ღია-კრემისფერი, ყავისფერი ე.წ. ყვითელი და მუქი წითელი, ასევე შავი. დასაშვებია მკერდზე თეთრი ლაქები.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ლაბრადორები ინტელიგენტურობითა და მრავალფეროვანი დადებითი თვისებებით გამოირჩევიან. მათ სამომსახურებო ძაღლადაც იყენებენ. ლაბრადორთან ურთიერთობა ნებისმიერ ადამიანს უდიდეს სიამოვნებას მიანიჭებს. დაბოლოს, ლაბრადორთან თავისუფლად და რაც მთავარია, უშიშრად შეგიძლიათ დატოვოთ ბავშვები. ძიძობა მისი თვისების კიდევ ერთი გამოვლინებაა.

*ჩვენი ჟურნალის სტუმარია კინოლოგი თემურ ბროიანი, რომელმაც ბევრი რამ გვიამბო ლაბრადორების შესახებ.*

— ლაბრადორები საქართველოში დაახლოებით 10-15 წლის წინ გავრცელდა. მანამდე თითო-ოროლას თუ შეხვდებოდით. ეს ჯიში, ძირითადად, რუსეთიდან შემოვიდა საქართველოში.

— **რამდენად მალე გაითქვეს მათ სახელი ჩვენს ქვეყანაში?**

— სხვათა შორის, ძალიან მცირე დროში გახდნენ პოპულარულები და ეს პოპულარობა სტაბილურად შეინარჩუნეს. მათზე დღემდე დიდი მოთხოვნაა.

— **რა არის მისი ძირითადი დანიშნულება?**

— მისი ძირითადი დანიშნულება ნადირობაა, მაგრამ სხვა ბევრი რამეც შეუძლია. ამ ძაღლს უნივერსალურს უწოდებენ, მუშა ძაღლია და არაფერზე იხევს უკან, თან ძალიან ადვილად იწვრთნებიან. ერთ წლამდე ცელქობენ და თამაში უყვართ. ერთი წლის მერე კი სერიოზულები და მუშა ძაღლები დგებიან. ჩვენი სამართალდამცავები ხშირად იყენებენ ლაბრადორებს და საკმაოდ ბევრი ჰყავთ. ერთია, რომ ლაბრადორს, რომელსაც ნარკოტიკის მოძებნას ასწავლი, ნაღმზე უკვე ვეღარ დაგეშავ. ამიტომ ჰყავთ ცალკე ნარკოტიკების მაძებარი და ცალკე ნაღმსა თუ ადამიანის ძებნაზე დაგეშილი.

— **როგორი ხასიათი აქვთ?**

— ძალიან ერთგულები არიან. არასოდეს გაიწევენ ბავშვებზე. სწორედ ამიტომ გახდა ასეთი პოპულარული ჩვენთან ლაბრადორი. საერთოდ, ბუნებით აგრესიული ჯიში არ არის, მაგრამ თუკი პატრონი ასწავლის — არც აგრესიულობაა პრობლემა. ზოგი ამ ძაღლს დაცვისთვის იყენებს, თუმცა, სადარაჯოდ ეს ძაღლი ცოდოა. თუკი ასწავლი, დაიყეფებს კიდეც და ადამიანზეც გაიწევს, მაგრამ ეს მის ხასიათში არ ზის. სხვათა შორის, ლაბრადორები ბრმების წინამძღოლებიც არიან, იმდენად უყვართ და სიამოვნებთ ადამიანის დახმარება. მათი უარყოფითი ჩვევებიდან პირველ ადგილზეა სიზარმაცე. ვითომ პრინციპულებიც არიან, მაგრამ ეს ასე არ არის. შეიძლება ერთხელ უბრძანო და არ გააკეთოს... ბუტიებიც გვხვდებიან. თუკი რამე აწყენინე, მტრისას, მთელი დღე კუთხეში იჯდება და ხმას არ გაგცემს. თანაც, სანამ გაბუტულია, ლუკმას არ გაიკარებს. ცოტა ხნის მერე კი, როცა მოესიყვარულები, წყენა ავიწყდება და თვითონაც გიწყებს ფერებას.

— **როგორ უნდა შევარჩიოთ ლაბრადორის ლეკვი?**

— ამაში აუცილებლად პროფესიონალის დახმარება დაგჭირდებათ. ამბობენ ხოლმე, რომ თუკი ლეკვი დედის ძუძუსთან პირველი მიირბენს, ის ყველაზე კარგიაო, მაგრამ ეს სისულელეა. უპირველესად იცოდეთ, რომ ლეკვი დედას 8 კვირის განმავლობაში არ უნდა მოშორდეს. თუკი ამ ასაკზე პატარაა, არ უნდა იყიდოთ. საერთოდ, ლეკვს შეიძლება უამრავი ნაკლი აღმოუჩინო, მაგ: თვალებში კარგად ვერ იხედებოდეს ან სმენა ჰქონდეს დაქვეითებული, ან კიდევ იმდენად მშიშარა იყოს, რომ ვერაფერში გამოიყენო. ასე რომ, პროფესიონალის გარეშე ნუ წახვალთ ლაბრადორის ლეკვის შესარჩევად. მით უმეტეს, რომ საკმაოდ ძვირი ძაღლია.

— **რამდენად ჯანმრთელები არიან?**

– ჯანმრთელები კი არიან, მაგრამ თუკი გასუქდა და ბევრს არბენინებთ, ან მაღალ სართულზე ცხოვრობთ და ფეხით აიყვანთ, შეიძლება ინფარქტი მიიღოს.

— **როგორ უნდა ვკვებოთ და მოვუაროთ ლაბრადორს?**

– ეს პატრონზეა დამოკიდებული. თუ ხორცით დაიწყებთ მის კვებას, ბოლომდე გარკვეული დოზით სჭირდება ხორცი. ისე კი, მისი კვება სპეციალური ფაფებითაც შეიძლება.

რაც შეეხება მის მოვლას, რომ არ გასუქდეს, უნდა ავარჯიშოთ და დასაბანი საშუალებებით წელიწადში 2-ჯერ უნდა დაბანოთ. თუ ხშირად დაბანთ, ბეწვი გასცვივდება. გაწმენდით კი ყოველდღე შეგიძლიათ გაწმინდოთ და დავარცხნოთ. ისე, მდინარისა და ტბის ნაპირზე მოხვედრისას თქვენ არც შეგეკითხებათ, თვითონ გადაეშვება ტალღებში...



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლაბრადორები, საქართველოს სამართალდამცავ სტრუქტურებშიც ჰყავთ — ისინი ძირითადად, ნარკოტიკებისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების პოვნაზე მუშაობენ. თურმე, თუ იტყვით და, ამ უნივერსალურ ჯიშშიც მოიძებნებიან მშიშარა ძაღლები. როგორც ჩვენი რესპონდენტი გვიამბობს, ლაბრადორები ჰყოლია შევარდნაძის დაცვასაც. ერთხელ, საბაჟოს თანამშრომლებს პრეზიდენტის დაცვაში „მომსახურე“ ლაბრადორის ლეკვი წაუყვანიათ, აქაოდა, მშობლის თვისებები აღმოაჩნდებაო, თუმცა ლაბრადორმა თავი შეირცხვინა და ძალზედ მშიშარა გამოდგა. „სროლის ხმაზე რომ ძაღლი გაიქცევა, აქ სხვა რამეზე ზედმეტია საუბარი“. ლაბრადორი ჰყავს ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტის მამასაც. ჩვენი რესპონდენტიც ლაბრადორების მფლობელთა რიცხვს მიეკუთვნება. დინა ანთელავას ლაბრადორი „ბუში“ 3 წლისაა. სახელი აშშ-ის პრეზიდენტის პატივსაცემად დაარქვეს და ისიც ცდილობს, არ შეარცხვინოს ცნობილი სეხნიის სახელი. ის დინჯი, ხასიათდამჯდარი და ჭკვიანი ძაღლია, თუმცა „ახალგაზრდობაში“ არც ცელქობას იკლებდა და ცოტა მშიშარაც იყო. ერთხელ, თბილისის მიწისძვრის დროს ისეთი სისწრაფით გაიქცა სახლიდან, რომ პატრონმა თვალის შევლებაც ვერ მოასწრო. თუმცა სწორედ ამ სისწრაფის წყალობით იპოვა, იმიტომ რომ ქუჩაში ვისთვისაც უნდა გეკითხათ, — ძაღლს ხომ არ გაურბენიაო, — ყველა ერთხმად იხსენებდა მეტეორივით გაქროლებულ თეთრ მოჩვენებას... როგორც ვთქვით, ბუში დამჯერი და ჭკვიანია, მისი სიკეთის ამბავი მეზობლებმაც იციან და ხშირად ეალერსებიან კიდეც. ამის გამო ერთ-ერთს სრულიად უწყინარი ეგონა და როდესაც მისი პატრონის აივანზე სარეცხის მოსაპარად გადაძვრა, იმედი ჰქონდა, რომ ბუში ამას მოითმენდა. შედეგად, შარვალგამოხეული ახალგაზრდა დიდხანს მირბოდა სოლოლაკის ქუჩებში და საკუთარი წინდაუხედაობის გამო მთელი უბნის დასაცინი გახდა.

# ლაბრადორი ჯორჯ სოროსს გააკოტრებს?



მართალია ლაბრადორები ადამიანისთის საშიშროებას არ წარმოადგენენ, მაგრამ წვრთნას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამის ნათელი მაგალითია ის შემთხვევა, რომელიც მილიარდერი ჯორჯ სოროსის შვილს შეემთხვა და რისთვისაც მას შეიძლება 6 მილიონი დოლარი გადაახდევინონ(?!).

ინციდენტი ჯორჯ სოროსის სამფლობელოში — ვინჩესტერის საგრაფოში მოხდა, სადაც გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად ხალიჩების დამგები ფირმის თანამშრომელი იმყოფებოდა. როდესაც ბრაიან მაკკინმა კარმიდამოს ზღურბლს გადააბიჯა, მას თავს სოროსის ძაღლები დაესხნენ. ერთ-ერთმა მათგანმა — ლაბრადორმა „ნაომიმ“ (ჯორჯ სოროსის შვილის, გრეგორის საკუთრება) მაკკინს ფეხზე უკბინა და დაზარალებულს ორი მძიმე ჭრილობა მიაყენა. გრეგორი სოროსმა თავი დამნაშავედ სცნო იმაში, რომ მან ადგილობრივი ხელისუფლების წესები დაარღვია და სახელმწიფო ჯარიმა 250 გირვანქა სტერლინგი გადაიხადა. თან პირობაც დადო, რომ ძაღლს ჩაკეტილ სისტემაში იყოლიებდა. თითქოს ყველაფერი ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მაკკინის ადვოკატმა სასამართლოს მიმართა იმ მოტივით, რომ თითქოს მამაშვილმა სოროსებმა კარგად იცოდნენ, რომ მათი ძაღლები საშიშროებას წარმოადგენდნენ ადამიანებისთვის. სოროსმა იმისათვის, რომ საქმე სასამართლომდე არ მისულიყო, დაზარალებულს 5 ათასი დოლარი შესთავაზა. თუმცა, შეთანხმება არ შედგა, ამიტომ დაზარალებულის მხარემ კვლავ მიმართა სასამართლოს და საკომპენსაციოდ 6 მილიონი დოლარი მოითხოვა. რითი შეიძლება დასრულდეს ეს ისტორია, ძნელი წარმოსადგენია. თუმცა, ერთი რამ ნათელია — თუკი ბედისწერა ძაღლის კბენას გიმზადებს, უმჯობესია, ეს ძაღლი მილიონერის საკუთრება იყოს...

*მაკა ქობალია*
*სალომე გოგოხია*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაშველები

## კატასტროფის უნივერსალები

სხვებისთვის თავგანწირვა ისეთი ადვილი საქმე არ არის, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ. ამისთვის მხოლოდ გაუაზრებელი გაბედულება საკმარისი როდია. მაშველი შეიძლება გახდეს მხოლოდ ის, ვისაც თავად შეუძლია გაძლოს ექსტრემალურ სიტუაციაში. აქ მთავარი პროფესიონალიზმია. გმირობა კი, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია საჭირო. თუმცა ასეთი შემთხვევები, მაშველების ცხოვრებაში საკმარისზე მეტია.



### 911 და 112 სამსახურები

ინფორმაცია ამერიკისა და კანადის სამაშველო სამსახურის შესახებ ჩვენთვის ტელესერიალებიდან და „რეალითიშოუდან“ არის ცნობილი. ამერიკაში სამაშველო სამსახური ერთიან საინფორმაციო-დისპეტჩერულ პუნქტს წარმოადგენს, სადაც თავს იყრის ყველა ცნობა, რომლის მიღებაც კავშირის ნებისმიერი არხითაა შესაძლებელი. ცენტრის სპეციალისტები აფიქსირებენ ნებისმიერ შეტყობინებას საგანგებო მდგომარეობის შესახებ, უბედურ შემთხვევებს, ავარიებს, კატასტროფებს და ა.შ. ისინი აანალიზებენ ამ ინფორმაციას, ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას უწევენ დაზარალებულებს, აძლევენ რჩევებს, უფრო ხშირად კი კარნახობენ, როგორ უნდა მოიქცნენ მოქალაქეები მაშველების მისვლამდე. ისინი შემთხვევის ადგილებზე აგზავნიან მეხანძრეებს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფებს, პოლიციას და სხვა აუცილებელი სამსახურის თანამშრომლებს. ამასთან ერთად, კოორდინაციას უწევენ მათ მოქმედებებს.

რა თქმა უნდა, სხვა ქვეყნებსაც გააჩნია საკუთარი საინფორმაციო-სამაშველო სისტემები. ევროპაში მოქმედებს ამერიკულის ანალოგიური ერთიანი საინფორმაციო სამსახური, სადაც საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე 112. გარდა ერთიანი სადისპეტჩერო სამსახურისა, ბევრ ქვეყანაში არსებობს ადგილობრივი, მუნიციპალური სამაშველო ქვედანაყოფები. ზოგჯერ ისინი საქალაქო სამსახურის რამდენიმე ფუნქციას ითავსებენ. მაგალითად, საფრანგეთში მაშველები ერთდროულად მეხანძრეებიც არიან. მაშველთა სამსახური მრავალ ქვეყანაში უფასოა, ისინი გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე ფინანსდებიან. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ ხანს, ზოგ ქვეყანაში წამოაყენეს აზრი, რომ მაშველების მიერ გაწეული ზოგიერთი სამსახური ფასიანი გახადონ.

სამაშველო სამსახურები მსოფლიოში აპრობირებული მეთოდებით მოქმედებს და, ძირითადად, სამი ქვედანაყოფისგან შედგება. პირველია საინფორმაციო ცენტრი, რომელიც საქალაქო სატელეფონო ქსელთანაა მიერთებული, არსებობს აგრეთვე მობილური სატელეფონო ქსელები, სხვადასხვა დიაპაზონის რადიოსადგურები და კავშირგაბმულობის სხვა არხები. მეორე – ოპერატიული რეაგირების ჯგუფები, რომლებიც საგანგებოდ აღჭურვილი ჯიპებითა და სპეცმანქანებით მოძრაობენ. მესამე – მოხალისეები.



სამაშველო სამსახურის საინფორმაციო ცენტრში ნებიმიერ ადამიანს ქალის სასიამოვნო, მშვიდი და თავდაჯერებული ხმა პასუხობს.

საინფორმაციო ცენტრი შიგნიდან, კოსმოსური რაკეტების ფრენის ცენტრის შემცირებულ ვარიანტს მოგაგონებთ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ეკრანზე გალაქტიკის ნაცვლად ქალაქის ან რეგიონის უზარმაზარი რუკა მოჩანს, რომელზეც მოციმციმე წერტილები მოძრაობენ – ეს მორიგეობაზე მყოფი მაშველთა ეკიპაჟებია. დიდ ქალაქებში განლაგებული ცენტრების ოპერატორები კოლოსალური ფსიქოლოგიური დატვირთვის ქვეშ იმყოფებიან. მათ დღეღამეში 10-15 ათას ზარზე უწევთ პასუხის გაცემა და ყოველ მათგანზე გადაწყვეტილების მიღება. ისინი სიტუაციას ოპერატიულად აფასებენ და საქმეში შესაბამის საავარიო ჯგუფებს რთავენ, სხვა სპეცსამსახურებს კი სასწრაფო ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა უხდებათ. ზემოთ ნახსენები ათასობით საგანგაშო ზარის მხოლოდ ერთი პროცენტი მოითხოვს სამაშველო სამსახურის ჯგუფების საქმეში ჩართვას. ასეთი ჯგუფების პროფესიონალები მზად არიან, დახმარება გაუწიონ მოქალაქეებს ნებისმიერ დროს. ისინი ატარებენ სამაშველო ოპერაციებს,








**ისინი მუდმივად ხვეწენ საკუთარ ცოდნას და ეცნობიან კოლეგების გამოცდილებას. გამუდმებული ვარჯიშების გარეშე მათი საქმიანობა შეუდარებლად ნაკლებეფექტური იქნებოდა...**

ადგილზევე ეხმარებიან საგანგებო შემთხვევებში დაზარალებულებს, დახმარებას უწევენ მეხანძრეებს, პოლიციასა და ქალაქის სხვა სამსახურებს.

ოპერატიული ჯგუფების თითოეული სპეცმანქანა აღჭურვილია ნავიგაციის თანამგზავრული სისტემის, კავშირგაბმულობის ყველანაირი სისტემით. მობილურ ჯგუფებს აქვთ სასწრაფო სამედიცინო დახმარების საშუალებები და სხვადასხვა საავარიო საგანგებო მოწყობილობანი: საკვეთი ჰიდრავლიკა, მყვინთავებისა და ალპინისტების აღჭურვილობანი. თვითონ ოპერატიული რეაგირების ჯგუფი კი შედგება ეკიპაჟის მეთაურის, პროფესიონალი მძღოლის (რომელსაც შეუძლია ქალაქის ნებისმიერ წერტილში 15-20 წუთში მიიყვანოს ჯგუფი), ექიმისა (რომელსაც სასწრაფო დახმარებაში ან რეანიმაციულ განყოფილებაში მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი აქვს) და უნივერსალი მაშველისგან. ამ ოთხს შორის ფუნქციები მკაცრად არის განაწილებული, თუმცა ეს ხელს არ უშლით, რომ უმტკივნეულოდ შეცვალონ ერთმანეთი. თითოეული მაშველი ათობით სამოქალაქო პროფესიას ფლობს: მძღოლის, მეკავშირის, შემდუღებლის, ინჟინრის, მყვინთავის, მეხანძრის, ალპინისტის, კინოლოგის, სპელეოლოგის და ნაწილობრივ, ფსიქოლოგის პროფესიებს.

მაშველებს ყველაზე ხშირად პანიკის ჩაწყნარება, ხალხის დამშვიდება, თვითმკვლელის სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე „შეჩერება" უწევთ. ჩვეულებრივ, ასეთი ჯგუფები ერთად წლების განმავლობაში მუშაობენ. პროფესიონალიზმი საშუალებას იძლევა, სამაშველო სამსახურის ჯგუფები, სხვა სამსახურებზე ადრე აღმოჩნდნენ უბედურების ადგილზე. დღე-ღამის განმავლობაში ასეთ ჯგუფებს რამდენიმე ათეულჯერ უწევთ საგანგებო შემთხვევის ადგილზე მისვლა, მაგრამ თითოეული გასვლა, იქნება ეს ავტოკატასტროფა თუ კანალიზაციაში გაჭედილი კატის გამოყვანა, ყოველთვის განსაკუთრებულია.

სამსახურში მიღებამდე მომავალ მაშველებს გამოსაცდელ ვადას უწესებენ, ყველა მათგანი მოვალეა, გაიაროს ალპინიზმის, საბრძოლო, მყვინთავის, კინოლოგის, სამედიცინო, ხანძარსაწინააღმდეგო კურსები. აქვე ასწავლიან სანავიგაციო და კავშირგაბმულობის ანბანს. ასწავლიან, როგორ გამოიყენონ სამაშველო საშუალებები.

ახალბედები, რომლებმაც სპეცმომზადება კარგად გაიარეს, თავიდან გამოსაცდელი პერიოდით ირიცხებიან და მხოლოდ გარკვეული ვადის შემდეგ, როცა რეალური საქმით გამოცდას წარმატებით გაივლიან, სრულფასოვანი მაშველები ხდებიან.

გვიშველეეეეთ!..

მაინც რა პრობლემებით მიმართავენ მაშველებს. რა თქმა უნდა, ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში საკუთარი „საყვარელი" მიზეზები აქვთ. თუმცა, როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ერთნაირი პრობლემები ხშირად მეორდება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ ქვეყნებში.

სამაშველო სამსახურებში შველას გაქცეული ნიანგებისა და დაკარგული მახრჩობელა პითონის პატრონები ითხოვენ. ხშირია ზარები მეზობლების მიერ შეწუხებული





ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეებისგან; საკუთარი, წყნარი ძაღლისგან დაკბენილი პატრონებისგან. ბაბუაბებიებისგან, რომელთა შვილიშვილებსაც თავი ქოთანში ან ქვაბში გაეჭედათ. მაშველები ოპერატიულად რეაგირებენ სტიქიურ უბედურებებზე, შენობების ნგრევის შემთხვევებზე, აფეთქებებზე, ქარიშხლებისა და კოკისპირული წვიმების შედეგებზე, ტერორისტულ აქტებზე, მძევლების აყვანაზე, დიდ ხანძრებზე და ა.შ.

მაშველებს ხშირად ურეკავენ მცირეწლოვანი ბავშვები, სამაშველო სამსახური ხომ ყველა შეტყობინებას, მათ შორის, ბავშვებისასაც, სერიოზულად ეკიდება. არადა, ბავშვების მიერ შეტყობინებული შემთხვევების 70% ცრუგამოძახებაა ხოლმე. თუმცა მაშველები ამბობენ, რომ მაინც არ შეუძლიათ ასეთი გამოძახებების უგულებელყოფა, დარჩენილი 30% ხომ ნამდვილად საჭიროებს დახმარებას...

დღესდღეობით, გამოძახების ლომის წილი ყველა ქვეყანაში (განვითარებულშიც და განუვითარებელშიც) საგზაო სატრანსპორტო შემთხვევებზე მოდის. ოპერატიულ გასვლათა ნახევარზე მეტი სწორედ ავტოკატასტროფებს უკავშირდება.

მეორე ადგილი საკმაოდ სადავო გამოდგა. დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში შინაურ ცხოველებთან დაკავშირებული პრობლემები მძლავრობს. აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ის ზოგიერთ ქვეყანაში კი, რაც უნდა საკვირველი იყოს, გამოძახებათა რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზე ჩაკეტილი კარის შესახებ გაკეთებული შეტყობინებებია.

მაშველებს ზოგჯერ მოქალაქეთა პირადი პრობლემების გადაჭრაც უწევთ და ანეკდოტურ სიტუაციებშიც ხშირად ხვდებიან. ყოფილა შემთხვევა, როდესაც პიროვნება, რომელიც ჩაკეტილ კარს ვერ აღებდა და შინ ვერ შედიოდა, მისი თქმით, გულით ავადმყოფ ცოლზე ნერვიულობდა და მაშველებს კარის გატეხვას სთხოვდა. ჯგუფის წევრი ალპინისტური მოწყობილობის დახმარებით ბინაში სარკმლიდან შევიდა და მზრუნველი მამაკაცის, ვითომცდა ავადმყოფი მეუღლე საყვარლის მკლავებში მონებივრე იხილა... ოჯახური დრამის თავიდან ასაცილებლად მაშველმა ნახევრად შიშველი საყვარელი 37-ე სართულის ფანჯრიდან გააპარა.

ნიუ-იორკში, 11 სექტემბერს მომხდარი უბედურების შემდეგ მაშველებმა და კერძოდ, მეხანძრეებმა იმდენად დიდი პოპულარობა და სიყვარული მოიპოვეს, რომ მათი რიგები დღითი დღე იზრდება. ბავშვები მაშველობაზე ოცნებობენ, რიგით მოქალაქეებს კი ისინი ყოვლისშემძლენი ჰგონიათ. აკი დაურეკა კიდეც ერთმა ქალბატონმა 911-ს და გაშორებულ ქმართან შერიგება და მისი ოჯახში დაბრუნება სთხოვა...

# როგორ მოვხიბლოთ სუსტი სქესი

კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოხიბლო სასურველი მანდილოსანი, ყველა მამაკაცი გიპასუხებთ, რომ ამაზე იოლი არაფერია. თუმცა, სტატისტიკური მონაცემები საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს ხოლმე. ძლიერი სქესის წარმომადგენლები ამ საკითხში კრახს ხშირად განიცდიან, რის მიზეზებზეც ახლა არ ვისაუბრებთ, უბრალოდ ვიტყვით: იმისათვის რომ ქალი მოხიბლო, პირველ რიგში უნდა გაარკვიო თუ რა ტიპის მანდილოსნებს მიეკუთვნება იგი. მეორე – მიჰყევი ინტუიციას. მესამე – თუ ეს უკანასკნელი არ გაგაჩნია, შეეცადე გაითვალისწინო ქვემოთ მოყვანილი რჩევები.



## ვხიბლავთ უმანკო გოგონას

*თავმოყვარე მამაკაცი ასეთ საქციელზე აუცილებლად უარს იტყვის. არა იმიტომ, რომ სუსტი, მიამიტი და საყვარელი გოგონები არ ხიბლავს, უბრალოდ, ეს მისთვის მეტისმეტად იოლი და ამავდროულად მეტისმეტად რთულია. სამაგიეროდ, ასეთი გოგონების შეცდენის სურვილი გამოუცდელ, „დამწყებ“ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცებს უჩნდებათ. გამოდის, შემდეგი რჩევები სწორედ მათთვის არის განკუთვნილი (ამიტომ გამოცდილმა ვაჟკაცებმა მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად გადაავლეთ თვალი).*

იმისათვის, რომ ახალგაზრდა გოგონა მოხიბლოთ, დიდი ჯაფა სულაც არ არის საჭირო. პირველ რიგში, მთავარია ბევრი იცრუოთ და შეეცადოთ თავი შეაბრალოთ. მოუყევით თქვენს იმედგაცრუებულ სიყვარულზე (იმ შემთხვევაში, თუკი იგი არასოდეს გამოგიცდიათ, ფანტაზიას მოუხმეთ), იმის შესახებ, რომ მარტოსული ბრძანდებით და თუ ერთხელ მაინც აატირეთ თქვენი ტრაგიკული ისტორიით, ჩათვალეთ, რომ პირველი და უმთავრესი ნაბიჯი წარმატებულად გადაგიდგამთ. ამის შემდეგ მეორე ეტაპი იწყება, როდესაც თქვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოთ მის მიმართ. არ დაივიწყოთ ჯენტლმენური თვისებები, ხოლო თუ ისინი არასოდეს გქონიათ, გირჩევთ შეიძინოთ (ან „ითხოვოთ“ მაინც), რადგანაც არ არსებობს ქალი, რომელიც „მითიურ“ პიროვნებაზე არ ოცნებობდეს. ყვავილები, საჩუქრები და ქათინაურები ამ ეტაპის აუცილებელი ატრიბუტია, ოღონდ ნუ გადაამლაშებთ. დაპატიჟეთ სასეირნოდ, კინოში, დისკოთეკაზე, აგარაკზე. შესთავაზეთ ჭიქა ჩაი ან ყავა, შამპანური, აპერიტივი ან ლიქიორი. რაც შეიძლება მეტად გამოამჟღავნეთ თქვენი ხელგაშლილობა, თუნდაც უკიდურესი „კრიჟანი“ იყოთ. მანდილოსნებს არ უყვართ წუწურაქი კაცები, მეტსაც გეტყვით – ეზიზღებათ! თუ ვინმემ აწყენინა, არაფრის დიდებით არ დატოვოთ ეს ფაქტი უყურადღებოდ, თუნდაც მუშტი-კრივის გამართვა გახდეს საჭირო. პირიქით, შეეცადეთ ასეთი „სანახაობა“ ხშირ-ხშირად მოუწყოთ, თქვენ ხომ ნამდვილი მამაკაცი ბრძანდებით.

იმ შემთხვევაში თუკი შეძლებული ხართ, შეეცადეთ რჩეულს თავი ისე მოაჩვენოთ, თითქოსდა, ის ფული, რასაც მასზე ხარჯავთ, დიდი შრომის ფასად მოიპოვეთ. შეგიძლიათ იცრუოთ, რომ არაფერი გაგაჩნიათ და ხშირად შიმშილობთ კიდეც. ასეთი ტყუილი მოსწონთ ქალებს და რაც მთავარია, მათ ილუზიების შექმნის საშუალებას არ აძლევს.

არაფრის დიდებით არ დაჰპირდეთ, რომ ცოლად შეირთავთ. ამ ტყუილს უკვე დანაშაულის სუნი ასდის და ამიტომ მეტისმეტია. ასეთ თემებზე ქალთან ხუმრობა სისულელეა. თანაც გახსოვდეთ, რომ მცირეწლოვანთა შეცდენისათვის სასჯელი ჯერ არავის გაუუქმებია და სანამ გამოუსწორებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქციელს ჩაიდენდეთ, ურიგო არ იქნებოდა შესაბამის იურიდიულ ლიტერატურასაც გასცნობოდით. დაიზღვიეთ თავი და დარწმუნდით, რომ ახალგაზრდა საქალბატონე თქვენსავით არასერიოზულად უდგება ამ საკითხს. თუ ეს ასეა, ყოველგვარი პასუხისმგებლობა გეხსნებათ და ხელს არაფერი შეგიშლით. წინააღმდეგ შემთხვევაში კი გირჩევთ, თქვენი დები, ქალიშვილები ან შვილიშვილები გაიხსენოთ და წარმოიდგინოთ, რომ შესაძლოა არსებობენ ადამიანები, რომლებიც თქვენსავით გასაქანს არ აძლევენ უმანკო არსებებს. უარი თქვით ასეთ ურთიერთობაზე, ბოლოს და ბოლოს, კიდევ ერთ დიდ ცოდვას ნუ დაუმატებთ თქვენს ისედაც დამძიმებულ სულს.

მიზნის მიღწევისთანავე ნუ გაწყვეტთ ურთიერთობას. იმ შემთხვევაში კი, თუ ეს გარდაუვალია, სანამ „მოჰკურცხლავდეთ", გაიხსენეთ, რომ მოტყუებული ქალი შხამიან გველზე უარესია. დრო გავა და იგი აუცილებლად იძიებს შურს, თუ თქვენზე არა, რომელიმე „სრულიად უდანაშაულო" თქვენივე „კოლეგაზე". ამიტომ შეეცადეთ, რაც შეიძლება მეტი დიპლომატიურობა და დაფიქრება გამოიჩინოთ ტყუილის თქმისას. მოიფიქრეთ რაიმე ამდაგვარი: დაარეკინეთ მეგობარს და ათქმევინეთ, თითქოს უსიამოვნებაში გაეხვიეთ და იმალებით; რომ არ გსურთ მასაც გაუფუჭოთ ცხოვრება და უმჯობესი იქნება, თუ დაშორდებით...

იმ შემთხვევაში, თუკი საქმე გართულდა და აბორტის გაკეთების საკითხი დადგა, იცოდეთ, რომ პასუხისმგებლობა თქვენც გეკისრებათ და ეს ურთიერთობის დაწყებამდე უნდა გაითვალისწინოთ.

არის შემთხვევები, როდესაც არცთუ ისე ახალგაზრდა ქალიშვილს წლების მატებასთან ერთად, საკუთარი მდგომარეობა ტვირთად აწევს. ამ დროს თქვენი დახმარება სწორედ რომ დროულია და დაუყოვნებლივ



უნდა იმოქმედოთ. ასეთმა მანდილოსანმა შესაძლოა თქვენგან შვილიც კი მოისურვოს ისე, რომ არავითარი პასუხისმგებლობა არ დაგაკისროთ. გახსოვდეთ, საქართველოში ცხოვრობთ და ასეთი რამ ყოველთვის კარგად არ მთავრდება, ისე კი, თქვენი საქმისა თქვენ უკეთ იცით.

ბოლოს კი გირჩევთ: თუ თქვენ სერიოზული ურთიერთობები არ გსურთ, ვნებების დასაკმაყოფილებლად უმჯობესი იქნება პროფესიონალი „მასაჟისტი" მონახოთ, ახალგაზრდა ყმაწვილკაცებმა კი გამოცდილ დეიდებს მიაკითხონ.

სულ სხვა საქმეა გამოცდილი ქალბატონის მოხიბვლა. ასეთი შემთხვევები ნამდვილი მამაკაცის საასპარეზო მოედანია, რადგანაც ბრძოლა სუსტ და უსუსურ არსებასთან კი არა, კარგად გამობრძმედილ და ძლიერ მოწინააღმდეგესთან უწევს. გახსოვდეთ, რაც უფრო გამოცდილია მანდილოსანი, მით უფრო დახვეწილი უნდა იყოს თქვენი ტყუილიც. იმდენად დახვეწილი, რომ სიმართლეს კი არ ჰგავდეს, არამედ უტოლდებოდეს. ნუ შეიქმნით ილუზიებს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შემთხვევების 95%-ში ქალბატონი გირჩევთ თქვენ და არა თქვენ ქალბატონს. იმ პერიოდის მანძილზე, რომელსაც თითქოსდა მისი გულის დაპყრობას ანდომებთ, იგი მშვიდად აგებს ურთიერთობის კონფიგურაციას და იმ მიმართულებით მიჰყავხართ, რომელიც თავად აწყობს. მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენ სრულიად დარწმუნებული იქნებით, რომ ძალზედ წარმატებულად ასწრებთ „დამატებითი კონტრაქტების გაფორმებას". სინამდვილეში კი ეს თქვენი მოხერხებულობისა და ჭკუის კი არა, მხოლოდ იმის შედეგია, რომ ქალბატონმა ამის ნება დაგრთოთ.

ამის გამო გული არ დაგწყდეთ, ჩვენ ხომ ქალბატონთა კიდევ 5% დაგვრჩა. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ აქაც ვხვდებით გარკვეულ სირთულეებს. ასეთ მანდილოსნებს ვერც თქვენი დისერტაციებით, ფულით, ბანკებით, დაცვით, ავტომობილებით, მიღწევებითა და ღირსებებით მოხიბლავთ, მოკლედ რომ ვთქვათ — ფეხებზე ჰკიდიხართ. თქვენ კი, ბედის ირონიით, სწორედ ასეთი ქალბატონი გიზიდავთ.

პირველ რიგში უნდა გაარკვიოთ მისი სუსტი წერტილები. ასეთ ქალბატონებს უყვართ:

1. საკუთარი თავი. მაგრამ იგი ხომ შენც გიყვარს? გამოდის, რომ ამ საკითხში ერთსულოვანნი ბრძანდებით.

2. ძვირფასეულობა. მაგალითად: ბრილიანტები. ნუ იჩქარებთ საჩუქრების შეძენას. ასეთ შემთხვევაში დიდია ალბათობა, რომ მხოლოდ სპონსორის სტატუსი შეგრჩეთ.



ამით იმას მიაღწევთ, რომ თქვენით ისარგებლებენ, სანაცვლოდ კი მხოლოდ ლოყაზე კოცნას მიიღებთ. ეს რომ თავიდან აიცილოთ, საჭიროა აგრძნობინოთ, რომ მიზნის მიღწევაში ბარიერი უშლის ხელს. საკმარისია მოაჩვენოთ, რომ მის მიმართ გულგრილი ბრძანდებით და ისიც მყისვე დაიწყებს მოქმედებას, თქვენ კი სიტუაციის სრული ბატონ-პატრონი შეიქმნებით. თუ მოითმენთ, მალე მიხვდებით, რომ შეგიყვარეს, ამის მიზეზი კი, უნდა ვაღიაროთ, მხოლოდ თქვენი ბრილიანტებთან ასოციაციაა. რაც მთავარია, არ იჩქაროთ, დატკბით იმ პერიოდით, სანამ ის თქვენს მოხიბვლას ცდილობს და მაშინ, როცა უკვე თითქმის შეგაცდინათ, უნებურად დაჰყევით მის სურვილებს. ბოლოს, როცა უკვე მიზანი მიღწეულია, მრავალკარატიანი სამკაული უსახსოვრეთ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ის სამუდამოდ თქვენი იქნება.

ზემოთ იმაზე ვისაუბრეთ, რა არის საჭირო ქალის მოსახიბლად. თუმცა ხშირია შემთხვევა, როდესაც „სანადიროდ" გამოსულ „მტაცებელს" გადაეყრებით ხოლმე. ამ შემთხვევაშიც უნდა იცოდეთ საკუთარი ქმედებების მიმდევრობა:

1. მთავარია, გაარკვიოთ ქალის მიზნები და მათ შესაბამისად იმოქმედოთ.

2. თუ თქვენს მოხიბვლას მამაკაცი ცდილობს(?!) და ეს მამაკაცი თქვენი უფროსი ან მაღალი თანამდებობის პირია, შეეცადეთ დარბაისლურად მიახვედროთ, რომ თქვენ გამოუსწორებელი მექალთანე და ნატურალი ხართ. მთავარია, მეტისმეტად არ იუზრდელოთ და ყველა კბილი არ ჩამოამტვრიოთ, ბოლოს და ბოლოს, იმ ადამიანს მოსწონხართ... ამაში კი დამნაშავე მხოლოდ ის არ არის...

3. თუკი თქვენ მამაკაცის ყურადღება არ გაწუხებთ, პირიქით, გსიამოვნებთ კიდეც, ჩვენ ვერაფრით დაგეხმარებით. უბრალოდ ერთი თხოვნა გვაქვს, ჟურნალ „არსენალს" ამიერიდან აღარ გაეკაროთ, იმიტომ, რომ ჩვენ მას ნამდვილი მამაკაცებისთვის ვაკეთებთ. თქვენ კი „კოსმოპოლიტენი" და „ვოგი" უფრო მოგიხდებათ...

**1960 წელს, როცა ცენტრალური აფრიკის სამიათასიანი არმიის გენერალურ შტაბს ჩაუდგა სათავეში, ჟან ბედელ ბოკასას მხოლოდ ფრანგული არმიის გადამდგარი კაპიტნის პენსია ჰქონდა ჯიბეში. 19 წლის შემდეგ მისი ქონება, ერთობ მოკრძალებული დაანგარიშებით, დაახლოებით მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენდა, ოჯახში კი 17 ცოლი და 55 ბავშვი ჰყავდა. გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობის საიმპერატორო გვირგვინით შეცვლას კი ბევრად ნაკლები დრო მოანდომა...**



იმპერატორი ბოკასა საზეიმო ვახშმის მენიუს ადგენს...

# კანიბალი იმპერატორი

### ჩემი უნივერსიტეტები...

ისევე როგორც ყველა „დიდ ბელადს“, ჟან ბედელ ბოკასასაც გაუხარელი ბავშვობა ჰქონდა. საფრანგეთის ეკვატორული აფრიკის ტერიტორიაზე მდებარე მბაკას ხალხის ლატაკ სოფელს მომხიბლავ საბინადრო ადგილად ნამდვილად ვერ მიიჩნევდი. სწორედ იქ დაიბადა „პაწაწინა ჟანი“ 1921 წლის 22 თებერვალს. მის გარდა ოჯახში თერთმეტი ბავშვი იყო, ასე რომ, ისინიც სხვებივით ღარიბ-ლატაკები იყვნენ. ექვსი წლის ასაკში დაობლებული მომავალი იმპერატორის ყოფნა-არყოფნის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშაც კი დადგა...

როგორც უნდა ყოფილიყო, პატარა ჟანი შავი კონტინენტის სივრცეებში არ ჩაკარგულა. თანატოლებისგან განსხვავებით, მას წილად ხვდა ბედნიერება და მოხვდა სკოლაში, სადაც ფრანგმა მისიონერებმა ფრანგული ენა და წერა-კითხვა შეასწავლეს. ასე რომ, როცა ყმაწვილს 19 წელი შეუსრულდა, მან არცთუ იოლი, მაგრამ იმ დროისთვის მისთვის ერთადერთი შესაძლო რამ აირჩია — ფრანგული კოლონიური ჯარების დროშის ქვეშ დადგა და ბედის ცდა ბრძოლებში გადაწყვიტა.

20 წელიწადს ატარა ბედმა ბოკასა ლაშქრობებში. კარიერისა და ჯილდოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მამაცი ჯარისკაცი ყოფილა. მეორე მსოფლიო ომი უნტერ-ოფიცრის ჩინით დაასრულა, 1949 წელს ოფიცრობა მიიღო და საიგონში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ჯუნგლებში საფრანგეთის რესპუბლიკის ინტერესების დასაცავად გაემგზავრა. და თუმცა იმ ომში საფრანგეთის არმიას დაფნის გვირგვინი არ მოუპოვებია, მომავალმა იმპერატორმა თავი მაინც გამოიჩინა. დაუმორჩილებელი ვიეტნამელების მოთვინიერებაში მას კაპიტნობა, საპატიო ლეგიონის ორდენი და კიდევ რამდენიმე ჯილდო უბოძეს, მაგრამ რაც მთავარია — ჟან ბედელ ბოკასამ საფრანგეთის მოქალაქეობა და სამუდამო პენსია მიიღო.

### ნათელი გზა

წარსული გმირობანი და უზრუნველყოფილი სიბერე მომავალში — სხვა კიდევ რა უნდა უნდოდეს კაცს? შესანიშნავი საბაბია სადმე მეტროპოლიაში მშვიდად საცხოვრებლად. შვილები, შვილიშვილები, მემუარები... მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, 39 წლის გადამდგარი კაპიტანი სწორედ ახლა იწყებდა ცხოვრებას.

1960 წლის 13 აგვისტოს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა მიიღო. ქვეყნის პრეზიდენტი ბოკასას ბიძაშვილი — დავიდ დაკო გახდა. თავისდა საუბედუროდ, კაბინეტის ფორმირებისას პრეზიდენტ დაკოს გმირი კუზენი გაახსენდა და დაუყოვნებლივ შესთავაზა რესპუბლიკის არმიის შტაბის უფროსის თანამდებობა. გამოცდილი სამხედრო პირი და ამასთან, ახლო ნათესავი, — სახელმწიფოს მეთაურის არჩევანი სავსებით გასაგები იყო. მხოლოდ ერთი გარემოება დარჩა გაუთვალისწინებელი — შტაბის ახალგამომცხვარი უფროსის ძალაუფლებისადმი განუზომელი სიყვარული... მანაც არ დაახანა თავისი კეთილისმყოფელისთვის ფეხის დადება.

1966 წლის 1-ელ იანვარს, უკვე გაპოლკოვნიკებულმა სამიათასიანი არმიის მხარდაჭერით გულმოცემულმა ჟან ბედელ ბოკასამ, „დაჟინებით სთხოვა“ ბიძაშვილ დავიდს პოსტიდან გადადგომა. ყველაფერი წარმატებით წარიმართა — გადაყენებული სახელმწიფო მეთაური გისოსებმიღმა მიაბრძანეს ხანგრძლივი 13 წლით, პრეზიდენტად გამოცხადებული ბოკასა კი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საკუთარი ხალხის გაბედნიერებას.

სხვათა შორის, ბოკასამ, იმ დროის ყველა დიქტატორივით, საკუთარი ქვეყნისთვის თავდაპირველად ბევრი პროგრესული რამ გააკეთა. პირველივე ბრძანებულებით ხელფასები გაუზარდა საბიუჯეტო ორგანიზაციებს, დაახლოებით ათჯერ მაინც! დაიწყო გზების, სტადიონების, საავადმყოფოების, სკოლებისა და მისთანათა სასარგებლო ნაგე-

**ფრანგი ჟურნალისტები, რომლებსაც თავი მოეყარათ პრეზიდენტის გადადგომის გამო მოწვეულ პრესკონფერენციაზე, იმ დროისათვისაც კი ერთობ სახალისო სანახაობას შეესწრნენ. როცა თავი პრეზიდენტად გამოაცხადა, სიტყვის დასასრულ ბოკასამ განაცხადა: „ჩემი წინამორბედი არც ეწეოდა და არც სვამდა, მე კი ერთსაც გავაკეთებ და მეორესაც, ამასთან, გაორმაგებულად“. ეს რომ თქვა, სახელმწიფოს ახალგამომცხვარმა მეთაურმა, თავშეყრილი პუბლიკის გასახარად, შოტლანდიური ვისკით სავსე ჭიქა გამოსცალა.**

ბობების მშენებლობა. წერა-კითხვის უცოდინარი ბავშვები სკოლებში წავიდნენ, მათმა მშობლებმა კი მუშაობა დაიწყეს. ქვეყანაში ყველაფერი დუღდა და გადმოდუღდა, ვითარდებოდა და იზრდებოდა. როგორ არ ირწმუნებ ნათელ მომავალს?

საკუთარი მოქალაქეების გაბედნიერების პროცესმა, ეტყობა, ისე გაიტაცა ბოკასა, რომ მალე არა მარტო პრეზიდენტი, არამედ მთავრობის თავმჯდომარე, ნაციონალური თავდაცვისა და ინფორმაციის მინისტრი, მაშინ ერთადერთი პარტიის, „შავი აფრიკის რევოლუციური განვითარების მოძრაობის" თავმჯდომარე გახდა და მისავე შექმნილ ახალგაზრდულ და ქალთა ორგანიზაციებს ჩაუდგა სათავეში. მოკლედ, როცა 1972 წელს თავი „ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სამუდამო პრეზიდენტად" გამოაცხადა, ეს აღარავის გაჰკვირვებია.

მოგვიანებით, როცა ჟისკარ დ'ესტენმა საპრეზიდენტო არჩევნები წააგო, ფრანგულ პრესაში გამოჩნდა მასალები, რომლებშიც მინიშნებული იყო, რომ „მეგობარი ვალერი" მხარს უჭერდა „მეგობარ ჟანს", თანაც არცთუ მთლად უანგარო მოსაზრებებით, რაც ერთობ შორს იყო დიდი პოლიტიკისგან. ბევრს წერდნენ საჩუქრებზეც, რომლებსაც თითქოს ბოკასა ფრანგ მაღალჩინოსნებს



როგორც ამბობენ, ამ ოქროს არწივით არაერთი თავი გაუხეთქია „შავ ნაპოლეონს"



უძღვნიდა. კერძოდ, იხსენიებდნენ საარაკო სიდიდის ალმასებს, რომლებიც დიქტატორმა პრეზიდენტის ძმასა და ჟისკარ დ'ესტენის სხვა ნათესავებს მიართვა. თუმცა ჟურნალისტებმა ამ ფაქტების დამტკიცება ვერ შეძლეს — ბოკასას „გადაგდების" შემდეგ მისი არქივი ფრანგმა სამხედროებმა გაიტანეს და მასალებს დღის სინათლე აღარ უხილავს.

## ვივა იმპერატორს!

თუ თავს ნაპოლეონად წარმოიდგენთ, ახლობლებს თქვენი აბაზანაში ჩაკეტვა და ფსიქიატრის გამოძახება მოუწევთ, შემდეგ კი, ალბათ, „კავკაზსკაია პლენიცაში" მოხსენიებული „პროკურორის" პალატაში გიკრავენ თავს... მაგრამ თუ ნაპოლეონად წარმოიდგენს თავს კაცი, რომელიც ხელისუფლების სათავეშია, მაშინ ვაი მის ქვეშევრდომებს. ბოკასას თერთმეტწლიანი მმართველობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სამუდამო პრეზიდენტს მოსვენებას არ აძლევდა ნაპოლეონის სახელ-დიდება. მადლობა ღმერთს, სამიათასიანი არმიით ბოკასა მსოფლიოს დაპყრობას ვერ გაბედავდა, მაგრამ უამისოდაც არცთუ სახუმარო პრეტენზიები ჰქონდა. რაკი გადაწყვიტა დიდი ფრანგის ტოლ-სწორი გამხდარიყო, თავდაპირველად თავი იმპერატორად გამოაცხადა, რესპუბლიკა კი იმპერიად აქცია. ამასთან, ისეთი კორონაცია გამართა, რომ ბევრ მის ქვეშევრდომს თაროებზე კბილების შემოდება მოუხდა. ამასთან, ბევრს პირდაპირი მნიშვნელობით.

1977 წლის 4 დეკემბერს პრეზიდენტმა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მარშალმა სალაჰ ედ-დინ აჰმეტ ბოკასამ (იმ დროისათვის მან ისლამი მიიღო და სახელიც შეიცვალა) თავი იმპერატორად, ბოკასა I-ად გამოაცხადა. მთელი მსოფლიოდან თავმოყრილი სტუმრები მოწმე შეიქნენ იმისა, როგორ დაიდგა თავზე ნაპოლეონის მიბაძვით გვირგვინი თავად დიქტატორმა.

კორონაცია, რომლის რეჟისორი ცნობილი დეკორატორი ჟან-პიერ დიუპონი იყო, ხაზინას საარაკო თანხა — 20 მლნ დოლარი დაუჯდა! ფეიერვერკი, ფრანგული სამხედრო ორკესტრი, სადღესასწაულო სადილი 450 კაცზე, ცნობილი სამოდელო სახლების სამოსი, აუარება ყვავილი და უზღვავი სასმელ-საჭმელი — ყველაფერი ეს, როგორც იცით, არც ისე იაფია. საგანგებოდ კორონაციისთვის გაკეთდა ორტონიანი ოქროს ტახტი. საიმპერატორო გვირგვინი, რომელიც 138-კარატიანი ბრილიანტით იყო დამშვენებული, იმპერატრიცას გვირგვინთან ერთად თითქმის 15 მლნ დოლარი დაჯდა! იმპერატორის ოქროს საწოლი — 13 მლნ! ამ წარმოუდგენელი ცერემონიის ხარჯების საერთო ჯამმა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარზე მეტი შეადგინა!

საერთოდ, ხაზინის ქურდობაში ბოკასამ თავის კოლეგა დიქტატორებს ბევრად გადააჭარბა. თავისი მმართველობის პერიოდში მან სახელმწიფოს ეკონომიკის წამყვანი დარგები დაისაკუთრა — ალმასის მოპოვება, ხე-ტყის დამუშავება და ყავის ექსპორტი. მსოფლიოს უმსხვილესმა კორპორაციებმა, რა თქმა უნდა, არა უანგაროდ, იმპერატორისაგან ურანის საბადოების დამუშავების უფლება მიიღეს.

უცხოური დახმარებები, რომლებიც ინტენსიურად შედიოდა ქვეყანაში, თვალის დახამხამებაში ქრებოდა, ეს ყველაფერი თავად ბოკასას აქტიური მონაწილეობით ხდებოდა. მაგალითად, ქვეყნის გარეთ გაიყიდა სადამ ჰუსეინის ნაჩუქარი 200000 ტონა ნავთობი. წარმოუდგენელი სისწრაფით აორთქლდა მსოფლიო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი კრედიტი — 700 მლნ დოლარი.

ფუფუნებისა და ხელგაშლილობის სიყვარულის მიუხედავად, ბოკასა გასაოცრად პრაქტიკული კაცი აღმოჩნდა. შორსმჭვრეტელი გამოდგა და ფულს მსოფლიო მოწინავე კომპანიების ფასიან ქაღალდებში აბან-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოკასამ ძალაუფლებასთან ერთად ქვეშევრდომებსაც გაუგო გემო...

1970 წლის ივლისში, როცა სამუდამო კი არა, უბრალო პრეზიდენტი იყო, ბოკასა საბჭოთა კავშირში ჩავიდა. „ძვირფას ლეონიდ ილიჩთან" დამეგობრებას, სოციალიზმის აშენებას აპირებდა თუ „მოშიმშილე აფრიკისთვის" ფულის გამოძალვა სურდა, არავინ იცის. როგორც უნდა იყოს, ვიზიტი უშედეგოდ დასრულდა. საბჭოთა პრესამ ცოტა ხანს ილაპარაკა „ჩაგრული ხალხის დიდ მეგობარსა" და „ურთიერთობათა განვითარების დიდ ეტაპზე", ბოკასა კი მერე დიდხანს ნანობდა, ჰარამხანაში საბჭოელი ცოლი რომ არ ჰყავდა.

დებდა, მთელ მსოფლიოში ყიდულობდა უძრავ ქონებას, უპირველესად კი, შვეიცარიაში, საფრანგეთსა და ბელგიაში.

## ცირკის პრინცესა

შავმა ნაპოლეონმა თავის კორსიკელ კერპს ერთ რამეში მაინც აჯობა და გადააჭარბა კიდეც — ეს ცოლების რაოდენობაა. საერთო ჯამში 17 ცოლი ჰყავდა. ამასთან, სულ სიყვარულით ქორწინდებოდა, სიყვარული კი ძალზე ხშირად სტუმრობდა ამ მხრივ სუსტნებისყოფიან დიქტატორს.

აი, დაუოკებელი ჟანის ერთი სასიყვარულო ისტორია — ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბოკასა უბრალო ,,სამუდამო პრეზიდენტი" იყო, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში (არავინ იცის რა ქარმა გადმოაგდო) რუმინული ცირკი ჩავიდა. დიქტატორმა პატივი დასდო, წარმოდგენას დაესწრო და ერთი შეხედვისთანავე შეუყვარდა დასის ქერათმიანი წევრი — ვინმე გაბრიელა. ცნობილი არ არის, რა სერენადებს უმღერდა აფრიკელი დონ ხუანი რუმინელ დონა ანას, მაგრამ ჩანს, სულ ბულბულივით გალობდა, რადგან გოგო ქორწინებაზე მალევე დაითანხმა. ბოკასამ ძალ-ღონე არ დაიშურა, რომ ქორწილი დაეჩქარებინა — სასწრაფოდ დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა რუმინეთთან და ქორწინებაზე თანხმობა ლამის ნიკოლაუ ჩაუშესკუს გამოსთხოვა.

თუმცა ამჯერად კონკიას ზღაპარი არ შედგა. სიმდიდრით მოხიბლულ გაბრიელას, ეტყობა, ქმარი გულზე დიდად არ ეხატებოდა, რადგან სულ მალე დაადგა რქები, თანაც როგორი! რუმინელმა იმპერატრიცამ საყვარელიც მონახა და თავის მოახლესა და ოთხ მცველთან ერთად ყირაზეც გადადიოდა! თუმცა, ეს ჯგუფური ადიულტერი საიდუმლოდ დიდხანს არ დარჩენილა — ერთ-ერთ მცველს ჩხრეკისას ორი ქალის მეტად პიკანტური ფოტო აღმოუჩინეს და მხიარული კომპანიის ბედიც გადაწყდა. სამმა მცველმა და მოახლემ სიცოცხლით აგეს პასუხი გაბრიელას სასიყვარულო გართობებზე. მეოთხე მცველს, რომელმაც მოასწრო და დანარჩენები დაასმინა, ციხეში უკრეს თავი. გაბრიელა კი მალე დაიღუპა და მისი სიკვდილის გარემოებები უცნობი დარჩა.

## მაცალეთ, ბოლოს და ბოლოს, ადამიანურად ჭამა!

ჯერ კიდევ ბოკასას მმართველობის პერიოდში ჟურნალისტების წყალობით გახმაურდა დიქტატორის უჩვეულო კულინარიული მიდრეკილებების ამბავი. სააგენტო ,,ფრანსპრესმა" აშკარად დასდო მას ბრალი კანიბალიზმში. სააგენტომ მთელ მსოფლიოს მოსდო, როგორ გაუმასპინძლდა აფრიკელი ნაპოლეონი თავის 12 მინისტრს მათივე მეცამეტე კოლეგისგან დამზადებული ვახშმით. რა ცოდვებისთვის აქციეს ის საბრალო ბრინჯისგარნირიან შემწვარ ხორცად, უცნობია, როგორც ის, რა რეაქცია ჰქონდათ ნავახშმევს მინისტრებს, როცა აცნობეს, თუ რით მოუწიათ პირის ჩაგემრიელება. სხვათა შორის, ბევრი ჟურნალისტის, რბილად რომ ვთქვათ, გაზვიადებისკენ მიდრეკილების მიუხედავად, ბოკასას კანიბალობა დადასტურებული ფაქტია. 1986 წელს, სასამართლო პროცესზე, ბოლოს და ბოლოს, საბრალდებო სკამზე დასმულ დიქტატორს დაუმტკიცდა, რომ მმართველობის პერიოდში მან მინიმუმ 10 კაცი მაინც შეახრამუნა. არაოფიციალური მონაცემებით კი ეს ციფრი ათჯერ მეტია.

ამასთან, როცა ადამიანის ხორცს მიირთმევდა, კანიბალი იმპერატორი სასიამოვნოს სასარგებლოსაც უთავსებდა. იმპერატორის მზარეულის, ფილიპ ლენგისის თქმით (საიმპერატორო სამზარეულში ნანახ-განცდილისაგან მზარეული დადამბლავდა), ბოკასა სიამოვნებით მიირთმევდა თავისი პოლიტიკური ოპონენტების ხორცს. კანიბალების მსგავსად, მასაც მიაჩნდა, რომ მტრის შეჭმით მისგან სიმამაცეს, ძალას, ჭკუასა და სხვა ,,ვიტამინებს" იღებდა. თუ მონარქი პირის ჩაგემრიელებას მოისურვებდა, უპირატესობას თეთრ ადამიანს ანიჭებდა, მისი ხორცი უფრო მოსწონდა. როგორც ამბობენ, ცენტრალური აფრიკის ბელადს ბავშვებიც ძალიან უყვარდა... რა თქმა უნდა, მშვენივრად ამზადებდა კიდეც...

ბოკასას სასახლის სამზარეულოში მაცივარში ყოველთვის ინახებოდა ადამიანის ხორცი იმ შემთხვევისთვის, თუ მბრძანებელი დანაყრებას მოინდომებდა. ამბობენ, ხანმოკლე საზღვარგარეთული ვოიაჟების დროსაც თან მიჰქონდაო საყვარელი საკვები. ასეთი შემთხვევებისთვის საგანგებოდ უმზადებდნენ კონსერვებსა და ძეხვეულობას, რომელსაც ,,ხუმარა" კანიბალი იმპერატორი ,,სარდინებს" ეძახდა. სხვათა შორის, ის მეცამეტე მინისტრის შემთხვევა ერთადერთი არ ყოფილა, როცა ბოკასა სტუმრებს ადამიანის ხორცისგან დამზადებული კერძებით უმასპინძლდებოდა. ეს მისი საყვარელი ხუმრობა იყო, მაგრამ ამას სტუმრებს ალბათ არც ატყობინებდნენ.

## მხოლოდ ბედის ცდა როდი შეიძლება

თვითაღიარებული იმპერატორი თავის თანამემამულეებს ქურდებად და ამიტომაც სასტიკი მოპყრობის ღირსად მიიჩნევდა. ეს მას არაერთხელ განუცხადებია საჯაროდ და სიტყვას საქმედაც აქცევდა. ცნობილია, რომ ბანგის სასახლის სარდაფი საწამებელი ხელსაწყოებითა და დანადგარებით იყო აღჭურვილი. თვითმპყრობელი ხშირად პირადად აწამებდა პატიმრებს, საარაკო სადიზმს

ერთიანი ბიბლიოთეკა

იჩენდა და ამით უდიდეს სიამოვნებას იღებდა. დადასტურებულია, რომ ბოკასა პატიმრებს ლომებიან გალიაში ან ნიანგებიან აუზში აგდებდა და მათ საშინელ სიკვდილს თვალმოუშორებლად შესცქეროდა. საიმპერატორო მიწისქვეშეთში რამდენი კაცი დაიღუპა, არავინ იცის. მასობრივი მხეცობის ამბები კი მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ფრანგი ჟურნალისტის, ბერნარ ლუბას წყალობით გახდა ცნობილი. 1979 წლის იანვარში ქვეყანაში არეულობა დაიწო – მოსწავლეები და მშობლები სასკოლო ფორმის, რომელიც საარაკოდ ძვირი ღირდა და ბევრი ოჯახისთვის ხელმისაწვდომი არ იყო, გაუქმებას მოითხოვდნენ (სხვათა შორის, მათ ბოკასას ერთ-ერთი ცოლის კუთვნილ საწარმოში კერავდნენ). „წესრიგის დამყარებას“ 13 ბავშვი ემსხვერპლა, ასეულობით კი ციხეში აღმოჩნდა. ტირანი პირადად მივიდა ციხე ნგარაგბეში და ნამდვილი სასაკლაო მოაწყო. ბავშვებს ფეხებით თელავდნენ, რკინის ჯოხებით სცემდნენ, ხვრეტდნენ, მერე კი გვამებს იქვე, მდინარეში ყრიდნენ. მოგვიანებით, ვისკით გალეშილმა მბრძანებელმა სხვა გართობა მოინდომა – ბავშვები ციხის შიდა ეზოში, მიწაზე დაყარეს. ბოკასა სამხედრო სატვირთო მანქანის საჭეს მიუჯდა და პატიმარი ბავშვების სხეულებზე გაიარ-გამოიარა, თან ხარხარებდა. როგორც მოგვიანებით დადგინდა, იმ დღეებში ასეულობით ბავშვი დაიღუპა, 17 უშუალოდ იმპერატორის ხელით.

როცა ამ მხეცობის ამბავი მსოფლიოში გახმაურდა, დიქტატორი იძულებული შეიქნა, ქვეყანაში საერთაშორისო დამკვირვებლები შეეშვა და მათაც, მათივე სამარცხვინოდ, მოვლენების განვითარებაზე ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინეს. გადაყენებამდე რამდენიმე ხნით ადრე კი, როცა ქვეყანაში ისევ არეულობა დაიწყო, ურჩხულმა იმპერატორმა ღარიბთა რაიონების გადაწვა ბრძანა. აქ მღელვარება განსაკუთრებით მძაფრი იყო. საბედნიეროდ, ბრძანების შესრულება ვერ მოასწრეს.

## გოუ ჰოუმ, მუსიე ბოკასა!

როგორც ისტორია ცხადყოფს, ექსპერიმენტები ადამიანებზე რომელიმე ცალკეულ ქვეყანაში შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს. ბოკასას ქვეშევრდომებს ამ საქმეში, შეიძლება ითქვას, მეტად გაუმართლა – კოშმარი „მხოლოდ“ 13 წელიწადს გრძელდებოდა. იმპერატორის მმართველობას ბოლო მოუღეს საფრანგეთის მე-11 საპარაშუტო-სადესანტო დივიზიის მედესანტეებმა, რომლებიც 1979 წლის 20-21 სექტემბერს გადასხეს ქვეყანაში. მედესანტეებმა აეროპორტი და ბოკასას რეზიდენცია აიღეს. თავად დიქტატორი იმ დროს ლიბიაში იყო, ამიტომაც მისი ჩამოგდება, არსებითად, საჭირო არც შეიქნა. სამხედროებმა იმპერატორის არქივი წაიღეს და დისლოკაციის ადგილს სწრაფად დაუბრუნდნენ. ბოკასას ადგილზე კი სწორედ ის დავიდ დაკო დასვეს, რომელიც შერისხულმა იმპერატორმა 1966 წელს პოსტიდან გადააყენა და რომელიც არავინ იცის, როგორ გადარჩა ციხე ნგარაგბეში, სადაც ათასობით იღუპებოდნენ ის მოქალაქეები, რომლებმაც თავის დროზე დაკო აირჩიეს.

ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ბოკასას წინასწარ აცნობეს მოსალოდნელი აქციის შესახებ. საფრანგეთის ხელისუფლებამ, ალბათ, დესანტის გადასხმაც იმპერატორის ლიბიაში ყოფნას მიუსადაგა. „გადაგდებულმა“ იმპერატორმა მალე გეზი პირდაპირ საფრანგეთისკენ აიღო.

თუმცა, ქვეყანაში არ შეუშვეს – ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა საფრანგეთის ხელისუფლება, ბოკასა რომ ქვეყნის სამფეროვანი დროშის წინ გამოჭიმულიყო და „მარსელიეზაც“ დაეგუგუნებინა. ამიტომაც „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა“ რიგიან-პირიანად კოტ დ'ივუარში, საფრანგეთის სხვა აფრიკულ კოლონიაში გაისტუმრეს. იქ „წმინდა სისხლის ფრანგი“ ქარიშხლის ჩადგომას დაელოდა და მერე უჩუმრად გადავიდა საფრანგეთში, სადაც პარიზის ახლოს, ადრევე ნაყიდ ციხესიმაგრე არდიკურში დაბინავდა. იქ იგი 1986 წლამდე მშვიდად ცხოვრობდა...



საფრანგეთის პრეზიდენტები, თავდაპირველად შარლ დე გოლი (მას, როგორც ამბობენ, ბოკასა „მამას“ეძახდა), მერე კი ვალერი ჟისკარ დ,ესტენი ყოველმხრივ მხარს უჭერდნენ ახალგაზრდა პოლკოვნიკს. არცაა გასაკვირი, ყოფილი კოლონიის სათავეში ხომ არა უბრალოდ საფრანგეთის არმიის გადამდგარი კაპიტანი, არამედ საფრანგეთის მოქალაქე იდგა. ჟან ბედელ ბოკასა არასოდეს გამხდარა იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც თითქმის 25 წელზე მეტხანს მართავდა! მეტიც – ბოკასამ ოფიციალური დოკუმენტიც მოიმარაგა, რომლის მიხედვითაც იგი „წმინდა სისხლის ფრანგი“ გამოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სიცოცხლის ბოლოს, ბოკასას დაავიწყდა, რომ მუსლიმანი იყო და თავი მეცამეტე მოციქულად წარმოიდგინა...**



**დიქტატორს 17 ცოლი და 55 შვილი ჰყავდა. ერთ-ერთი ცოლის დაღუპვა საიდუმლოებითაა მოცული, ვარაუდობენ, რომ იმპერატორის სუფრაზე მოხვდა... ბოკასას განსაკუთრებულად უყვარდა ბავშვები... თან, თურმე, გემრიელადაც ამზადებდა...**

სანამ ეშმაკი კვლავ არ შეუჩნდა.

როგორც ხვდებით, არდიკურში გადამდგარი კაპიტანი ღარიბულად არ ცხოვრობდა. ცოლ-შვილით გარშემორტყმული (უკანასკნელი, 55-ე მემკვიდრე საფრანგეთში დაიბადა) უზრუნველად იყო, არაფერი აკლდა, ერთი ეს იყო, — ციხესიმაგრიდან და, ბუნებრივია, საფრანგეთიდან გასვლა ეკრძალებოდა. დევნილის მოუსვენარი ხასიათის ამბავი რომ იცოდნენ, მას დღედაღამ უთვალთვალებდნენ. ამიტომაც, როცა ბოკასამ მემუარების საწერად ლიტერატურული მდივანი დაიქირავა, ეს უმალ შეიტყვეს სპეცსამსახურებმა.

ამ უკანასკნელთა რეაქციის გამოცნობა ძნელი არ არის — ახალგამომცხვარი მემუარისტის ოპუსს შესაძლოა დიდი არეულობა შეეტანა ფრანგული პოლიტიკური ელიტის მწყობრ რიგებში, ამიტომ მემუარების გამომზეურება ყოვლად დაუშვებელი იყო. მოხუცს თავდაპირველად თავაზიანად სთხოვეს მწერლობისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ გაჯიუტდა. ამიტომ საქმეს ოფიციალური მსვლელობა მისცეს — ვალერი ჟისკარ დ'ესტენმა ბოკასას წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და ხელნაწერის გამოქვეყნების აკრძალვა მოითხოვა. საფრანგეთის პრეზიდენტის (იმ დროისათვის უკვე ყოფილის) ადვოკატმა ეს იმით ახსნა, რომ მისი კლიენტი წიგნში მეტად ნეგატიურად იყო წარმოდგენილი, თითქოს ეს ქვეყნის ინტერესებს დააზარალებდა და მოქალაქეთა ხელისუფლებისადმი ნდობას შელახავდა. სასამართლოს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და ხელნაწერიც სასამართლოს განჩინებით ცეცხლს მისცეს.

## ბოკასას მეორედ მოსვლა

დაუდეგარი პენსიონერის შინაპატიმრობიდან გაქცევაში გაურკვეველი დარჩა ორი მომენტი. პირველი — როგორ დააღწია თავი შეუმჩნევლად მოთვალთვალეებს და მეორე — რა ეშმაკად გაემგზავრა ქვეყანაში, სადაც უკვე დაუსწრებლად ჰქონდა მისჯილი სიკვდილი? მიუხედავად ამისა, ფაქტი ფაქტად რჩება — 1986 წლის 23 ოქტომბერს „საყვარელი ცოლისა“ და ხუთი შვილის თანხლებით, სხვისი პასპორტით აღჭურვილმა შვიდი წლის წინ ჩამოგდებულმა პრეზიდენტმა კვლავ დაადგა ფეხი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მიწას, სადაც როგორც მოსალოდნელი იყო, „მადლიერმა ქვეშევრდომებმა“ დაუყოვნებლივ დააპატიმრეს.

არსებობს ვერსია, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის ხელისუფლებამ უბრალოდ გადასცა კანიბალი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას, რათა ორი კურდღელი დაეჭირა: არასასურველი მოწმე მოეშორებინათ და ყოფილი კოლონიის ხელმძღვანელობისთვისაც თავი მოექონათ. მეორე ვერსიით, „კეთილისმყოფელებით“ წაქეზებული ექსიმპერატორი სამშობლოში მონარქიის რესტავრაციისა და აღფრთოვანებული ქვეშევრდომების ხმაურიანი დახვედრის იმედით გაემგზავრა.

ვისაც უნდა ედირიჟორა ამ სპექტაკლისათვის, თავად ბოკასას თუ მის ყოფილ მფარველებს, უნდა ითქვას, რომ ის „წარმატებით“ ჩატარდა. მოზეიმე ბრბოს ნაცვლად დიქტატორს აეროპორტში ბადრაგი დახვდა (ის ჯერ კიდევ თვითმფრინავში ამოიცნეს), ასე რომ, ტახტზე ასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. თუმცა, არც კუნძზე თავის დადება ელოდა. სასიკვდილო განაჩენი ჯერ სამუდამო პატიმრობით შეუცვალეს, მერე კი კანიბალი ბაბუა სულაც შინ გაუშვეს. ეტყობა, მის ჭაღარას სცეს პატივი.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ბოკასას ქვეყანა არ დაუტოვებია. ერთ-ერთ სასახლეში დასახლდა და რელიგიამ გაიტაცა. მალე ქვეყნის მოსახლეობის გასაკვირად ყოფილი მბრძანებელი ტელეეკრანებზეც გამოჩნდა. თეთრანაფორიანი და ფეხშიშველი ახალგამომცხვარი მესია, თავს, არც მეტი, არც ნაკლები, იესო ქრისტესა და მეცამეტე მოციქულს (ეტყობა, უკვე დავიწყებოდა, რომ მაჰმადიანი იყო) უწოდებდა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, შერეკილ მოხუცს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ბოკასამ ხელისუფლებას ამნისტიის თხოვნით მიმართა. ამბობენ, ეს იმიტომ გააკეთა, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებდა მონაწილეობასო. თუმცა ვერ მოესწრო — 1996 წლის 28 ოქტომბერს ჟან ბედელ ბოკასა გარდაიცვალა — იმპერატორყოფილს აღარ დასცალდა თავისი პატივმოყვარული და არცთუ არარეალური ჩანაფიქრის ხორცშესხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალები

თურქეთის საზღვაო ძალების ისტორია XI საუკუნის ბოლოდან, თურქ-სელჩუკთა ანატოლიაში შეჭრიდან იწყება. სელჩუკთა მიზანი ბიზანტიის დასუსტება, ახალი მიწების დაპყრობა, ზღვის გაკონტროლება და საზღვაო კავშირებით ქვეყნის ეკონომიკური მომძლავრება იყო.

მალასკერტის ბრძოლიდან ათი წლის შემდეგ 1081 წელს, სელჩუკებმა ეგეოსის ზღვაზე იზმირი დაიკავეს. მოკლე დროში იზმირისა და ეფესოს გემთსაშენებში 50 ხომალდი აიგო. ზღვაზე პირველ გამარჯვებებს პირველმა თურქმა ადმირალმა ჩაკა ბეიმ მიაღწია. ჩაკა ბეის სარდლობით სელჩუკებმა 1089 წელს კუნძული მიტილინი (ლესბოსი) დაიპყრეს, ხოლო 1090 წლის 19 მაისს კუნძულ საკიზთან (ხიოსი) ბიზანტიელთა ძლიერი ფლოტი დაამარცხეს.

XIII საუკუნის მიწურულს სულთანმა ბაიზიდ ილდირიმმა ფლოტის გასაძლიერებელი რეფორმები გაატარა. იმ დროს დაწინაურდა სარუჯა ბეი, რომლის მონდომებითაც ფლოტი სახელმწიფო მნიშვნელობის სამხედრო ძალად გადაიქცა. შემოვიდა წოდება „კაპტან-დერია“ (საზღვაო ძალების მეთაური), რომელსაც სახელმწიფო იერარქიაში შესაბამისი ადგილი მიუჩინეს.

მეჰმედ II ფათიჰის დროს „კაპტან-დერია“ კაპუდან ფაშით შეიცვალა და ეს ტიტული ვეზირებს ენიჭებოდა. 1453 წელს კონსტანტინოპოლის საზღვაო ბლოკადაში თურქებმა 300-ზე მეტი ხომალდი გამოიყენეს, ხოლო გადამწყვეტი შეტევის წინ რამდენიმე მათგანი ხმელეთზე გადაათრიეს და ოქროს რქის უბეში ჩაუშვეს. კონსტანტინოპოლზე ხომალდების დახმარებით განხორციელებული იერიში წარმატებული გამოდგა და ბიზანტიის დედაქალაქი დაეცა...

XVI საუკუნის დასაწყისიდან ფლოტის აღმავლობის პერიოდი იწყება. მძიმე ომების შემდეგ ოსმალეთმა მიიერთა სირია, პალესტინა, ეგვიპტე. იმ საკმაოდ რთულ ხანაში, როცა შეკობრეობა, ომები, პოლიტიკური ინტრიგები, ღალატი ერთმანეთში იყო გადახლართული, ჰაირედინ ბარბაროსას სახელი ამობრწყინდა. 1534 წელს სულთანმა სულეიმან II-მ ბარბაროსა „კაპუდან ფაშად“ ანუ ფლოტის მთავარსარდლად დანიშნა. ფლოტი ორგანიზაციულად კიდევ უფრო დაიხვეწა, გაუმჯობესდა მეზღვაურთა მომზადება. 1538 წლის 27 სექტემბერს პრევეზესთან თურქეთის ფლოტმა (120 ხომალდი) ბარბაროსას სარდლობით გაბედული მოქმედებებით ანდრეა დორიას ქრისტიანული ქვეყნების ფლოტი (140 ხომალდი) დაამარცხა და ხმელთაშუა ზღვა ოსმალთა სრული ჰეგემონიის ქვეშ მოაქცია.

1571 წელს ოსმალებმა კუნძული კვიპროსი დაიპყრეს. ქრისტიანულმა ქვეყნებმა კვიპროსის დაკარგვა ოსმალთა გამოწვევად მიიღეს და გადამწყვეტი ბრძოლისათვის მოემზადნენ. 1571 წლის 7 ოქტომბერს ქალაქ ლეპანტოსთან ნიჩბიანი ფლოტების ხანის უკანასკნელ, უდიდეს საზღვაო ბრძოლაში თურქეთის ფლოტს (210 გალერა, 66 გალიოტი, 25 ათასი ჯარისკაცი) „წმინდა ლიგის“ ვენეცია, ესპანეთი, ვატიკანი, მალტა, სიცილია, გენუა და სხვა იტალიური ქალაქების გაერთიანებული ფლოტი (207 გალერა, 10 გალეასი, 25 ათასი ჯარისკაცი) დაუპირისპირდა. თურქებმა 205 ხომალდი დაკარგეს და მარცხთან ერთად ხმელთაშუა ზღვიდან გაძევების სირცხვილიც იწვნიეს.

შავ ზღვაში ოსმალთა იმპერია ბევრად მშვიდად გრძნობდა თავს. 1475 წელს ყირიმის ნახევარკუნძულის დაპყრობიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, რუსული ხომალდების გამოჩენამდე, შავი ზღვა „შიდა ტბად“ ითვლებოდა. რუსეთ-თურქეთის ხანგრძლივ დაპირისპირებაში გარდამტეხი სინოპის ბრძოლა გამოდგა. 1853 წლის 18 ნოემბერს სინოპის უბეში რუსულმა ესკადრამ (8 ხომალდი) თურქული ესკადრა (16 ხომალდი) თითქმის მთლიანად გაანადგურა. გადარჩა მხოლოდ ერთი ხომალდი. სინოპის შემდეგ თურქეთი შავ ზღვაში ფლოტის გარეშე დარჩა.

თურქი მეზღვაურები ზღვაზე ომებს საზღვაო საქმის განვითარებასაც უთავსებდნენ და ზღვაოსნობის ისტორიაში შესამჩნევი კვალი დატოვეს. ფლოტის სარდალმა, გეოგრაფმა, კარტოგრაფმა პირი რეისმა 1513 წელს 14 სხვადასხვა რუკაზე დაყრდნობით შექმნა მსოფლიოს ახალი რუკა, ხოლო 1523 წელს ხმელთაშუა ზღვის ატლასი და ლოცია გამოსცა. ეს ცნობარი 210 რუკისგან შედგებოდა და შეიცავდა მონაცემებს სანაპირო ზოლზე, დინებებზე, სადგომებზე, ყურეებზე, წყალთხელებზე და ა.შ.

1773 წლის 18 ნოემბერს ადმირალ გაზი ჰასან-ფაშას მეურვეობით გაიხსნა „იმპერიის საზღვაო საინჟინრო სკოლა“, სადაც ევროპიდან მოწვეული პედაგოგები ასწავლიდნენ. საინჟინრო სკოლის საფუძველზე შემდგომში საზღვაო აკადემია ჩამოყალიბდა. ჰასან-ფაშას სახელს უკავშირდება გემთმშენებლობის განვითარება, მეზღვაურების ევროპული მეთოდებ-



სარაკეტო ფრეგატი „გირესუნი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ით მომზადება და სხვა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ხის კორპუსიანი ხომალდების ერა დასრულდა და ევროპის ქვეყნები ჯავშნიანი გემების მშენებლობაზე გადავიდნენ. თურქეთის სუსტ მრეწველობას ამის საშუალება არ ჰქონდა. 1861 წელს ტახტზე სულთანი აბდულ აზიზი ავიდა. ახალმა სულთანმა ენერგიულად მოკიდა ხელი ჯავშნიანი ფლოტის შექმნას და ხომალდები ინგლისს, საფრანგეთსა და იტალიას შეუკვეთა, ხოლო საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ბრიტანელი ოფიცრები მიიწვია.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის წინ თურქეთს შავ ზღვაში საკმაოდ ძლიერი ფლოტი ჰყავდა, რომელიც 22 ჯავშნიან და 82 ხის კორპუსიან ხომალდს ითვლიდა. ხომალდებზე სხვადასხვა კალიბრის 763 ქვემეხი იდგა და 15 ათასი კაცი მსახურობდა.

საომარმა მოქმედებებმა შავი ზღვა და მდინარე დუნაის ნაწილი მოიცვა. თურქული ესკადრა ადლერ-ოჩამჩირის მონაკვეთზე კრეისერობდა და აფხაზეთის სანაპიროსთან რამდენიმე ოპერაცია განახორციელა. 1877 წლის 29 აპრილს გუდაუთასთან ათასკაციანი კარგად შეიარაღებული მთიელი გადასხა, 5 მაისს სოხუმი დაბომბა, რასაც ქალაქიდან რუსის ჯარის გასვლა მოჰყვა და სხვ...

ცალკეული წარმატებების მიუხედავად, ომი თურქეთის დამარცხებით დასრულდა და შავ ზღვაში თურქული სამხედრო ხომალდები I ბალკანურ ომამდე აღარ გამოჩენილან. შემცირდა სამხედრო-საზღვაო ბიუჯეტი, შეჩერდა ფლოტის განვითარება, მაგრამ მოიმატა ოფიცრებისა და ადმირალების რაოდენობამ.

XX საუკუნის დასაწყისში ფლოტი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაშინდელი პრესა წერდა: კრეისერ „გამიდიეს“ გარდა ხომალდები საზღვაო სამინისტროს ფანჯრებთან ლპება. ადმინისტრაციის უშფოთველობა, პირადი შემადგენლობის უდისციპლინობა და უმეცრება, პორტების გავერანება ყოველგვარ საზღვარს სცილდება. დამხმარე ხომალდებს ადმირალები მეთაურობენ, ხოლო ეკიპაჟები იმდენად გაბერილია, რომ სახაზო ხომალდებისათვისაც მეტისმეტი იქნებოდა.

რეფორმა 1909 წელს, ადმირალ გემბლის ბრიტანული მისიის ხელმძღვანელობით დაიწყო. რეორგანიზაციის შემდეგ ოფიცრებმა და მეზღვაურებმა ევროპული ფორმა მიიღეს, მემანქანეებისა და იუნგების მოსამზადებლად თეორიული და პრაქტიკული კურსები შემოვიდა, შეიცვალა ოფიცერთა მომზადების პროცესი, მოიმატა ვარჯიშებმა სანაღმო-საარტილერიო სროლებში, შეირჩა ინგლისში სასწავლებლად გასაგზავნი 50 ოფიცერი, დამუშავდა ფლოტის ზრდის პერსპექტიული ათწლიანი პროგრამა და ა.შ.

ინგლისელი გემბლის ნაბიჯებს პროგერმანული სამხედრო მინისტრის, ენვერ-ფაშას წინააღმდეგობა ხვდებოდა, რაც, საბოლოოდ, 1913 წელს თურქეთიდან ბრიტანელების წასვლით დასრულდა.



მტრალავი „ედრიმიტი“

რეფორმირების პროცესი გააგრძელა ხელისუფლებაში 1913 წლის იანვარში მოსულმა მაჰმუდ შევქეთ-ფაშამ. მან „ხელში ახალი ცოცხი დაიჭირა“ და ერთი მოსმით ფლოტიდან 780 ოფიცერი მ.შ. 112 ადმირალი გაუშვა. ყველა სახელმწიფო მოხელე ვალდებული გახდა, ხელფასის 1/6 ფლოტის გაძლიერებისათვის გაეღო. ხომალდების შესაძენი თანხები მოსახლეობაში „ნებაყოფლობითი“ შემოწირულობების სახით გროვდებოდა. შევქეთ-ფაშა მალე მოკლეს და მისი საქმე შედარებით ნაკლები მონდომებით ჯემალ ფაშამ გააგრძელა.

I მსოფლიო ომის წინ თურქეთის სამხედრო ფლოტში 2 ძველი სახაზო ხომალდი, 1 ძველი ჯავშნოსანი, 2 კრეისერი, 6 საესკადრო ნაღმოსანი, 13 ნაღმოსანი, 23 საკანონერო ნავი, 7 ნაღმგადამღობი, 19 კატარღა და 50-მდე მობილიზებული სამოქალაქო გემი ირიცხებოდა. ფლოტის საბრძოლო ძალას გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიასა და აშშ-ში აგებული ხომალდები წარმოადგენდა. ეს მცურავი საშუალებები არასაკმარისი იყო და ბერლინმა მოკავშირის შესაძლებლობების გასაზრდელად სახაზო კრეისერი „გებენი“ და მსუბუქი კრეისერი „ბრესლაუ“ გადაულოცა. ომის მსვლელობისას თურქეთის ფლოტს რამდენიმე გერმანული წყალქვეშა ნავი შეემატა.

თურქეთის სამხედრო ფლოტის სარდლად გერმანელი ადმირალი სუშონი დაინიშნა. პირადი შემადგენლობის მომზადების დაბალი დონის გამო სუშონის ბრძანებით თურქულ სახაზო ხომალდებზე მეორე მეთაურად გერმანელი ოფიცრები დაემატა. დანარჩენ სამხედრო ხომალდებს კი მხოლოდ გერმანელები მეთაურობდნენ.

ფლოტმა დარდანელისათვის ბრძოლებში სერიოზული როლი ითამაშა. თურქული ხომალდების მიერ დაყენებულ ნაღმებზე 2 ინგლისური და 1 ფრანგული სახაზო ხომალდი აფეთქდა და ჩაიძირა, 3 კი მძიმედ დაზიანდა. კიდევ ერთი ბრიტანული სახაზო ხომალდი ნაღმოსანმა ტორპედოებით ჩაძირა. მძიმე დანაკარგების გამო ინგლის-საფრანგეთს დარდანელიდან დესანტის ევაკუირება მოუწია.

I მსოფლიო ომმა თურქულ ფლოტს სხვადასხვა ვითარებაში 2 სახაზო ხომალდი, 1 კრეისერი, 3 საესკადრო ნაღმოსანი, 5 ნაღმოსანი, 4 საკანონერო ნავი და 2 ნაღმგადამღობი გამოაკლო.

1920 წლის სევრის საზავო ხელშეკრულებამ თურქეთს 7 პატარა საკანონერო ნავი და 6 ნაღმოსანი დაუტოვა. დანარჩენი ხომალდები ინგლისელთა ხელში გადავიდა. ერთადერთი საზღვაო ბაზა — კონსტანტინეპოლი განიარაღების ზონაში მოხვდა და მისი სამხედრო დანიშნულებით გამოყენება აიკრძალა.

ლოზანის 1923 წლის კონფერენციამ სევრის ხელშეკრულება გააუქმა. დაიწყო თურქული ფლოტის აღორძინება, ძველი ხომალდების რემონტი და მწყობრში შეყვანა, პირადი შემადგენლობის მომზადება. 1924 წელს ცალკე საზღვაო სამინისტრო შეიქმნა. იზმირში საფუძველი ჩაეყარა ახალ საზღვაო ბაზას. გაკეთდა შეკვეთა 2 წყალქვეშა ნავზე ჰოლანდიაში. საზღვაო ავიაციის 4 ჰიდროთვითმფრინავმა „სავოია“ C-16-მა სმირნადან კონსტანტინოპოლში საჩვენებელი გადაფრენა შეასრულა.

1925-1927 წლებში რემონტის შემდეგ ცურვა დაიწყო კრეისერმა „ჰამიდიემ“, ორმა საესკადრო ნაღმოსანმა და სამმა ნაღმოსანმა. შეიქმნა პრაქტიკული რაზმი, სადაც მომავალი ეკიპაჟები გადიოდნენ მომზადებას.

II მსოფლიო ომში თურქეთი არ მონაწილეობდა და ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა. მშვიდობიანი პერიოდი ფლოტის გაძლიერებისათვის იქნა გამოყენებული. 1946 წელს თურქეთს 1 სახაზო კრეისერი, 2 მსუბუქი კრეისერი, 8 საესკადრო ნაღმოსანი, 2 სადარაჯო ხომალდი, 10 წყალქვეშა ნავი, 12 მტრალავი, 16 სადარაჯო და 9 სატორპედო კატარღა ჰყავდა.

1952 წლიდან თურქეთი NATO-ს წევრია და მისი საზღვაო ძალების განვითარება ჩრდილოატლანტიკური კავშირის გეგმების შესაბამისად მიმდინარეობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასული საუკუნის სამოციანი წლების ბოლოდან ფლოტის შეტევითი შესაძლებლობების ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა. 1967 წლიდან მწყობრში შევიდა ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტებით აღჭურვილი გერმანული „იაგუარის“ ტიპის სარაკეტო კატარღები, რომლის ნაწილი თურქეთის ვერფებზე აიგო. 1974 წელს კვიპროსზე დესანტის გადასხმას აშშ-ის მხრიდან იარაღის იმპორტზე ემბარგო მოჰყვა. 1978 წელს ემბარგო მოიხსნა და ფლოტის შემადგენლობაში მთავარი ადგილი ნელ-ნელა თანამედროვე სარაკეტო სისტემებით აღჭურვილმა ხომალდებმა და კატარღებმა დაიკავეს.

სარაკეტო ხომალდებისა და კატარღების ერთი ნაწილი სხვა ქვეყნებიდან არის შემოყვანილი, მეორე კი – საკუთარ ვერფებზეა აგებული. გერმანიის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით თურქეთმა თანამედროვე გემთმშენებელი წარმოება შექმნა, სადაც იგება უახლესი წყალქვეშა ნავები, ფრეგატები, სარაკეტო კატარღები, დამხმარე გემები და სხვ.

უბედურმა შემთხვევებმა ფლოტს 2 ხომალდი გამოაკლო. 1953 წლის 4 აპრილს დარდანელის სრუტეში შვედურ ტანკერ „ნაბოლანდთან“ დაჯახებას წყალქვეშა ნავ „დუმლუპინარის“ დაღუპვა მოჰყვა. წყნარი ამინდის მიუხედავად, 86 კაციანი ეკიპაჟიდან მხოლოდ 5 მეზღვაურის გადარჩენა მოხერხდა. 1985 წლის 24 სექტემბერს საბჭოთა სასწავლო ხომალდი „ხასანი“ ბოსფორის სრუტეში გავლისას სარაკეტო კატარღა „მელთემს“ (P-325) დაეჯახა. 7260 ტონა წყალწყვის „ხასანმა“ 190 ტონიანი „მელთემი“ შუაზე გადაჭრა და ეს უკანასკნელი რამდენიმე წამში ჩაიძირა. კატარღის 40 კაციანი ეკიპაჟიდან რამდენიმე წევრი გადარჩა.

თანამედროვე თურქეთის სანაპირო ზოლის სიგრძე 8276 კმ-ია, რაც სამხედრო-საზღვაო ძალებს სათანადო მოთხოვნებს უყენებს. ტრადიციულ საბრძოლო ამოცანებთან ერთად აქტუალურია ზღვაზე ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, სამშვიდობო-ჰუმანიტარულ და საავარიო-სამაშველო ოპერაციებში მონაწილეობა და სხვა.

თურქეთი საქართველოს მეგობარი სახელმწიფოა და ჩვენს ქვეყანას დიდ დახმარებას უწევს. ქართველი კურსანტები და ოფიცრები თურქულ საზღვაო სასწავლებლებს ამთავრებენ, თურქეთის სამხედრო ხომალდები მეგობრული ვიზიტებით ბათუმსა და ფოთში ხშირად შემოდიან, ტარდება ერთობლივი სწავლებები, თურქეთში რემონტდება ქართული მცურავი საშუალებები და სხვა. 1998 წლის 1 დეკემბერს საქართველოს საზღვაო ძალებმა მეგობარი ქვეყნიდან „თიურქის“ სერიის კატარღა P 130 მიიღო, რომელიც ჩვენი ფლოტის რიგებში „ქუთაისის“ სახელით დაცურავს.

ანკარა დახმარებას სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებსაც უწევს. სხვადასხვა წლებში ყაზახეთს 2 საპატრულო კატარღა, P132 და P126, ხოლო აზერბაიჯანს P134 გადაეცა.

თურქეთის ინიციატივითა და აქტიურობით შესაძლებელი გახდა შავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ჯგუფის BLACKSEAFOR-ის შექმნა და მის ფარგლებში სწავლებებისათვის რეგულარული ხასიათის მიცემა.

სამხედრო-საზღვაო ძალები თურქეთის შეიარაღებული ძალების დამოუკიდებელი სახეობაა, რომელიც აერთიანებს სამხედრო-საზღვაო ფლოტს, საზღვაო ავიაციას, საზღვაო-ქვეით ნაწილებს. ომის შემთხვევაში საზღვაო ძალების დაქვემდებარებაში გადადის სანაპირო დაცვის სარდლობა. საზღვაო ძალებში 55000 კაცი, მათ შორის, 6000 სამოქალაქო პირი მსახურობს.

სამხედრო-საზღვაო ძალები 4 სარდლობისგან შედგება: სამხედრო-საზღვაო ფლოტი მთავარი ბაზით გიოლჯუქში; ჩრდილოეთის სამხედრო-საზღვაო ზონა (მისი პასუხისმგებლობის ქვეშ არის შავიზღვისპირა რაიონები) ბაზით სტამბოლში; სამხრეთის სამხედრო-საზღვაო ზონა სამხედრო-საზღვაო ბაზით იზმირში; სასწავლო-საწვრთნელი ძალების სარდლობა შტაბით ქარამიურსელში.

საზღვაო ავიაციაში 900 ადამიანი მსახურობს. აღჭურვილია CASA-ს წარმოების 6 CN-235 D/K საპატრულო თვითმფრინავით, „აუგუსტო ბელის“ წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო 1 ერთ. AB-204B და 12 ერთ. AB-212 შვეულმფრენებით, ასევე 7 ერთ. S-70B „სი ჰოუკით“. გარდა ამისა, ხომალდებზე განლაგებულია SH-2 „სი სპრაიტის“ ტიპის 12 შვეულმფრენი. საზღვაო ავიაციის ბაზა ტოპელში.

საზღვაო ქვეითი ბრიგადა 4000 მოსამსახურეს ითვლის. მასში შედის საშტაბო ასეული, საზღვაო ქვეითთა 3 ბატალიონი და ერთი საარტილერიო დივიზიონი, უზრუნველყოფის ქვედანაყოფები.

მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა გიოლჯუქი 1999 წლის აგვისტოს მიწისძვრამ თითქმის მთლიანად გაანადგურა. დაიღუპა რამდენიმე ასეული სამხედრო მოსამსახურე. ამჟამად ბაზა აღდგენილია.

ფლოტის სამხედრო-საზღვაო ბაზებია: ერეგლიში, სტამბოლში, იზმირში, ისქენდერუნში. ბაზირების პუნქტებია: უმურერში, აქსაზქარაგიიჩში, ბართინში, ჩანაქალეში, მერსინში, ზონგულდაქში.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახომალდო შემადგენლობა:

13 წყალქვეშა ნავი: 5 „პრევეზე“ (3 მშენებლობის სტადიაშია), 6 „ატილაი“, 2 „ტენგი“ (აგებულია 1951-1952 წლებში აშშ-ში);

20 სარაკეტო ფრეგატი: 4 „ბარბაროსა“ (MEKO 200TN), 4 „იავუზი“ (MEKO 200), 8 „გაზიანტეპე“ (ამერიკული „ოლივერ პერი“. მიღებულია 1998-2003 წლებში), 4 „ტეპე“ (ამერიკული „ნოქსი“, მიღებულია 1993-1994 წლებში); ფრეგატები აღჭურვილია „ჰარპუნისა“ და „სტანდარტის“ რაკეტებით, შვეულმფრენებით.

6 სარაკეტო კორვეტი „ბარაკი“ (ფრანგული „D'ESTEN D'ORVI“, მიღებულია 2001-2002 წლებში); აღჭურვილია „ეკზოსეტის“ ტიპის რაკეტებით.

14 სარაკეტო კატარღა: 4 „კილიჩი“ (2 მშენებლობის სტადიაშია), 8 „დოღანი“, 2 „ილდიზი“. კატარღები „ჰარპუნებით“ არის აღჭურვილი. შედარებით მოძველებულია „ქართალის“ ტიპის 8 კატარღა, რომელზეც ნორვეგიული „პინგვინების“ ტიპის რაკეტები დგას;

30 სადესანტო ხომალდი: 2 „ერთუღლი“, 1 „ოსმან გაზი“, 2 „სარუჯაბეი“, 1 C-107; 24 C-130. ერთ ჯერზე ამფიბიური ხომალდები 3000 კაცს, 31 ტანკსა და 2200 ტონა ტვირთს იღებს.

18 სადესანტო კატარღა LCM 8.

26 მტრალავი: 5 „ედინჯიკი“, 2 „აიდინი“, 6 „კარამიურსელი“ (ფრანგული „მერკური“), 9 „სამსუნი“ (ამერიკული „ადიუტანტი“), 4 „ფოჩა“ (ამერიკული „კოუვი“).

13 საპატრულო კატარღა: 2 „ხისარი“, 2 „ტრაბზონი“, 7 „თიურქი“, 4 PGM71.

დამხმარე ფლოტი 130-მდე გემსა და კატარღას ითვლის. მათ შორის არის ტანკერები, წყალმზიდები, მშრალტვირთმზიდები, ბუქსირები, ჰიდროგრაფიული და საავარიო-სამაშველო სამსახურის მცურავი საშუალებები.

სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი ადმირალი ოზდენ ორნეკია. ადმირალი ორნეკი საქართველოში რამდენჯერმე არის ნამყოფი. თურქი სამხედრო მეზღვაურები პროფესიულ დღესასწაულს 27 სექტემბერს აღნიშნავენ.



სადესანტო ხომალდები სწავლების დროს

**თემურ ჩაჩანიძე**

# ტრაგედია საზღვაო სწავლებებზე

*როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, სამხედრო სწავლებების დროს უბედური შემთხვევები იშვიათი არ არის. მეტიც, მავანთა უყურადღებობასა და არაპროფესიონალიზმს შეიძლება არა მხოლოდ ერთეული მსხვერპლი, არამედ საზღვაო და საჰაერო ხომალდების ეკიპაჟების დაღუპვაც მოჰყვეს. ამის ნათელი მაგალითია ის შემთხვევები, რომელთა შესახებაც ქვემოთ მოგითხრობთ.*



სწორედ ამ სარაკეტო კატარღიდან გაშვებულმა სასწავლო რაკეტამ იმსხვერპლა ორმოცამდე მეზღვაური...

1983 წლის 23 მარტს სსრკ ჩრდილოეთის ფლოტის 205-ე პროექტის 3 სარაკეტო კატარღა: П-49, П-9 და З-82 საზღვაო სამიზნეებზე რაკეტებით სროლების შესასრულებლად ზღვაში გავიდა. მანევრირებას კატარღები ყოველგვარი გათვლების გარეშე ასრულებდნენ. საფლაგმანო П-49-ის რადიოსანავიგაციო აპარატურა ინფორმაციას დიდი ცდომილებით იძლეოდა. პელენგატორი და ექოლოტი გაუმართავი იყო, ხოლო სანავიგაციო რადიოლოკატორი საერთოდ არ მუშაობდა. არ ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა.

16.35-ზე П-82-მა საჰაერო დამკვირვებლის მოვალეობის შესასრულებლად პოზიცია მარჯვნივ დაიკავა, ხოლო ორი კატარღა მარცხნივ, მოცემულ რაიონში სროლისათვის საჭირო პოზიციებზე გავიდა. 18.17-ზე კატარღებმა П-15 „ტერმიტის" ტიპის 2 რაკეტა გაისროლეს. Р-9-დან გაშვებულმა „ტერმიტმა" სამიზნედ Р-82 „ამოირჩია“ და ერთი წუთის შემდეგ მოხვდა კიდეც. კატარღას ცეცხლი გაუჩნდა, რასაც აფეთქება და მისი ჩაძირვა მოჰყვა.

მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა, თუმცა არის მონაცემები, რომ ეკიპაჟის (29 კაცი) მესამედი დაიღუპა. კატარღა 123 მეტრ სიღრმეზე ჩაიძირა. ფლოტის საავარიო-სამაშველო სამსახურმა იმავე წელს ამოიღო, მაგრამ აღარ აღუდგენიათ და ჩამოწერეს. ასეთი კატარღები საბჭოთა ფლოტს ასზე მეტი ჰყავდა და ერთის გამოკლება საბჭოთა საზღვაო პოტენციალს ბევრს არაფერს დააკლებდა.

თითქოს ეს შემთხვევა სამაგალითო უნდა ყოფილიყო, მაგრამ... 1987 წლის 16 აპრილს ვლადივოსტოკთან პეტრე დიდის ყურეში კუნძულ ასკოლდიდან 33 მილში მსგავსი ტრაგედია დატრიალდა. სარაკეტო ხომალდებს „მუსონსა" და „ვიხრს", „კორვეტ-МРК117“ სარაკეტო კატარღიდან გაშვებული რაკეტების მოგერიების ამოცანა უნდა დაემუშავებინათ.

სამიზნის როლს 1234-ე პროექტის „მუსონი“ ასრულებდა. მოხვედრის ალბათობის გასაზრდელად და კარგი შედეგების საჩვენებლად სროლის მანძილი 21 კმ-ით განისაზღვრა. „მუსონი“ დაბალი სიჩქარით – 9 კვანძით მიცურავდა.

18.35-ზე „მუსონის“ მიმართულებით სასწავლო რაკეტა ისროლეს. ეკიპაჟმა ხომალდისაკენ წასულ რაკეტას „ოსას“ ტიპის 2 საზენიტო რაკეტა ესროლა. დაზიანების მიუხედავად სასწავლო რაკეტა არ ჩამოვარდა, ტრაექტორია შეიცვალა და „მუსონზე“ პიკირება მოახდინა. ეკიპაჟმა 57 მმ-იანი ქვემეხიდან გასროლა მოასწრო, მაგრამ რაკეტა 18.36-ზე კატარღას ზედნაშენში მოხვდა.

რაკეტის კორპუსში დარჩენილი 150 ლიტრი საწვავი და 500 ლიტრი მჟანგავი გემბანზე დაიღვარა, გაჩნდა ხანძარი და „მუსონს“ ცეცხლი მოედო. იაფი ალუმინმაგნიუმის შენადნობისაგან დამზადებული ზედნაშენი სწრაფად გაცხელდა და ადვილად იწვოდა. სამართავ ბოგურაში მყოფი ხომალდის მეთაური და სწავლების ხელმძღვანელები რაკეტის მოხვედრისთანავე დაიღუპნენ. მეზღვაურთა ერთმა ჯგუფმა ხომალდის შიდა ნაკვეთურიდან გამოღწევა ვერ შეძლო. საშიშროებას ქმნიდა ხომალდის საცავებში დაცული 20 საზენიტო რაკეტა და 1000 ერთეული 57 მმ-იანი ჭურვი. ხანძრის ჩაქრობა კი ვერ ხერხდებოდა... პირველი აფეთქება 21.55-ზე გაისმა და ამის შემდეგ დაახლოებით 50 წუთის განმავლობაში კანონადა არ შეწყვეტილა. „მუსონი“ ფსკერისკენ წავიდა. ხომალდზე მყოფი 76 კაციდან მხოლოდ 37-ის გადარჩენა მოხერხდა.

ხომალდის დაღუპვის მიზეზთა გარკვევის შემდეგ საინტერესო დასკვნა გაკეთდა – სანაპირო ბაზაში სასწავლო რაკეტაზე თვითდამმიზნებელი მოწყობილობის გამორთვა „დაავიწყდათ“(?!).

**თემურ ჩაჩანიძე**

„მუსონი“ ბაზაზე...



...და უკანასკნელი დავალების შესრულებისას



# სამხედრო



**თარაზულად:** 1. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე ამერიკული ავიამზიდი; 7. ერთცხენიანი დასაქირავებელი ეტლი ინგლისში; 8. ერთი ან ორი ტყვიამფრქვევით შეიარაღებული პატარა ტანკი; 9. იტალიური ავტომობილი; 10. ამერიკელი კოსმონავტი მფრინავი, სამხედრო-საზღვაო ძალების III რანგის კაპიტანი; 11. თავშესაფარი, თხრილი; 12. მდინარე ევროპაში; 14. სამხრეთ-აფრიკული ტაქტიკური გამანადგურებელი; 17. დაცლილი ვაზნა; 18. დანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სადარაჯო კატერი; 19. პროფესიონალი მონადირე; 21. ინგლისური 105 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხი; 22. მოძრავი ჯარების ან პარტიზანული რაზმების შეჭრა მტრის ზურგში; 23. მეთაურთან ან შტაბში დანიშნული ოფიცერი, რომელიც ასრულებს საშტაბო სამუშაოს; 28. ქართველი წმინდანი; 31. ჟამი, ხანი; 32. ჯარისკაცი, რომელიც ომის დროს ძარცვავს მოსახლეობას; 34. სრული უწესრიგობა, არეულ-დარეულობა; 35. ბრიტანული საბრძოლო ვერტმფრენი; 37. მაიას ტომის სარიტუალო ნაგებობა; 38. ჩინელი დიქტატორი.

**შვეულად:** 1. იგივეა, რაც ხანჯალი; 2. ჯარისკაცების დაწყობა მწკრივში სიმაღლის მიხედვით; 3. ამერიკული ავიაბაზა აშშ-ის კონტინენტურ ნაწილში; 4. კანადური სამხედრო ვერტმფრენი; 5. მექსიკის მთავარი საზღვაო-სამხედრო ბაზა; 6. საგანგებო დავალება; 13. ციხე-სიმაგრე და სახელმწიფო საპყრობილე პარიზში XIV-XVIII სს-ში; 14. გემის, წყალქვეშა ნავის ან თვითმფრინავის ტარების სპეციალისტი; 15. სასულე საკრავი; 16. სახელმწიფო აფრიკაში; 17. ჯარების ან ფლოტის გადაადგილება საომარ ვითარებაში; 20. უბანი თბილისში; 24. იტალიური 40 მმ-იანი სახომალდო, საზენიტო, საარტილერიო კომპლექსი; 25. დამპყრობელი ჯარი; 26. გერმანული ავტომობილი; 27. გამარჯვებულის მიერ ხელში ჩაგდებული სამხედრო ქონება; 29. განიერი ფერადი ზოლი ფორმის შარვლის გვერდით ნაკერზე; 30. ერთი ქვეყნის შეიარაღებული თავდასხმა სხვა ქვეყანაზე მისი დაპყრობის მიზნით; 33. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საბურავებიანი ჯავშნოსანი ავტომობილი; 36. იგივეა რაც ჯარი, არმია.

---

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* ***თარაზულად:*** 1. კავალერია; 6. მიკა; 7. ზაქარიაძე; 9. ლულა; 10. მუშკეტონი; 11. „კია“; 13. მაიორი; 15. მაროდიორი; 17. არესი; 19. ელადა; 20. აბი; 22. კორკი; 24. ტროტილი; 27. პამპა; 32. ზრო; 33. ჟარარაკა; 35. სნაიპერი; 36. ემუ; 37. გია; 38. დინამიტი. ***შვეულად:*** 1. კაზემატი; 2. ალასკა; 3. ელი; 4. ამელი; 5. სკალპი; 8. აბოტი; 11. კიტელი; 12. არტილერია; 14. ოსაკა; 15. მატელოტი; 16. დესანტი; 18. დარდო; 21. ბაო; 22. კა; 23. რა; 25. ტბა; 26. ლაზარეთი; 28. არბალეტი; 29. პილარუსი; 30. ფრონტი; 31. რაპირა; 34. ჩია.





# როგორ ვძლიოთ შიშს

შიში – ფსიქოფიზიკური რეაქციაა და საკუთარ თავში მისი ჩახშობის დროს თქვენ საკუთარ თავს ვნებთ...

*ევერტ შოსტრომი*

## შიშისაგან სწრაფად განკურნების რამდენიმე ხერხი

თავიდანვე საჭიროა ჩვენი შიშების დაყოფა-კლასიფიკაცია. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რასთან გვიწევს შებრძოლება: აგრესიის შიშთან, თუ იმის შიშთან, რომ ოდესლაც აუცილებლად შეგვეშინდება, ანდა იმის შიშთან, რომ ჩვენ



სიმხდალეს სხვები დაინახავენ? ეს ძალიან მნიშვნელოვანია. აგრესიის შიში უმეტესად მამაკაცთა პრობლემაა, ვიდრე ქალებისა. ქალისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა შიშის სახალხოდ გამოხატვა, კაცისთვის კი ეს სამარცხვინოა, მაგრამ შიში ორგანიზმის ისეთივე ფსიქოფიზიკური რეაქციაა, როგორც სიცილი ან მრისხანება. ღირს კი, მისი ჩახშობა?

არა. საკუთარი ბუნებრივი რეაქციების ჩახშობა ძალიან ცუდია. ახლა ვისაუბროთ, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ ამ არასასურველი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად... საზოგადოება და აღზრდა გვასწავლის (უფრო ხშირად გვაიძულებს) ჩავიხშოთ არა მარტო შიში, არამედ სიბრაზე და მრისხანებაც. ის, ვისაც შიშის გამოხატვისა ეშინია, ხშირ შემთხვევაში ვერც მრისხანებას გამოხატავს. ხშირად გვსმენია: „თუ ვინმემ გამაბრაზა, შიშის გრძნობა მეკარგება, მაგრამ გაბრაზებაც არანაირად არ შემიძლია“. თავისთავად ცხადია, ეს არის იმ ადამიანის განცხადება, ვინც საკუთარ თავს მშიშარად თვლის. სინამდვილეში კი, მას უბრალოდ საკუთარი ემოციების ნორმალურად გამომჟღავნება არ შეუძლია.

ხშირად გვსმენია: „ბიჭები არასოდეს ტირიან“ ან „ვაჟკაცს არაფრის არ უნდა ეშინოდეს“. მსგავსი აღზრდის შედეგად ისეთ ადამიანს მივიღებთ ხოლმე, რომელსაც მოვლენებზე ნორმალური რეაგირების შესაძლებლობა არა აქვს, ანუ იგი ემოციით ინვალიდია. თუ გვინდა, რომ მსგავს ადამიანს გაბედულება ჩავუნერგოთ, ჯერ მას საკუთარი ემოციების, შიშისა და მრისხანების ღიად გამოხატვა უნდა ვასწავლოთ.

გავიხსენოთ ბავშვობა ან, თუ ამ ასაკიდან ჯერ არ გამოვსულვართ, დღევანდელობას გადავხედოთ: სიბრაზის ან მრისხანების, მარტივი ენით რომ ვთქვათ, აგრესიის გამომჟღავნების შედეგად კუთხეში დგომა, სკოლის დირექტორის კაბინეტში ყურყუტი და მშობლების გამოძახება ჩვეულებრივი ამბავია. ხოლო თუ ვინმემ მშიშრობა შეიმჩნია, ქალაჩუნას სახელი ვერასოდეს მოსცილდება. რომელია უფრო ცუდი?..

აზიის ქვეყნებში უძველესი დროიდან ბავშვებს მეომრებად შემდეგი მეთოდით ზრდიდნენ: ბავშვების ჯგუფს მწვრთნელი (რა თქმა უნდა, ასაკით უფროსი) სხვადასხვა ხერხით აშინებდა. ბავშვები წივილ-კივილით გაურბოდნენ, ხოლო, როდესაც მდევარი ნაბიჯს ანელებდა, შიშგავლილი პატარა მეომრები მოუბრუნდებოდნენ და ახლა უკვე თავგამოდებული, გმირული ყიჟინით გადადიოდნენ შეტევაზე. მათ საკუთარი შიშის გამოხატვის დაფარვასა და მის ჩაკვლას არ ასწავლიდნენ. მათ ნებას აძლევდნენ ნორმალურად და მთლიანობაში გამოემჟღავნებინათ ხიფათით გამოწვეული ბუნებრივი რეაქციები. ასე რომ, თუ გსურთ გაბედული და უშიშარი გახდეთ, ჯერ თქვენი შიშის გრძნობის ღიად გამოხატვა უნდა ისწავლოთ. ეს არის პირველი, რითაც უნდა დავიწყოთ, რის გარეშეც წარმოუდგენელია გულადობისა და გაბედულების შესწავლა. საკითხავი ამ საქმეში ერთადერთია – როგორ მივაღწიოთ ამას?

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვლადიმერ ლევი თავის წიგნში „შიშის მოთვინიერება“ გვირჩევს, მუდმივად ვიმოქმედოთ შიშის წინააღმდეგ. თავიდან კი, უმჯობესია ისეთი შიშისგან დავიწყოთ, რომლის გაქარწყლებაც შედარებით ადვილია. შიშის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგი ნაბიჯია სწორად გაბრაზების შესწავლა. ე.ი. მრისხანების და აგრესიის გამოსახვა. შიში და აგრესია ადამიანის გრძნობათა რუკაზე, ორი ანტიპოდია. ისინი ისე არიან განუყრელ ურთიერთკავშირში, რომ ერთზე მუშაობის დროს შეუძლებელია მეორის უგულებელყოფა. აი, რას წერს ევერტ შოსტრომი თავის წიგნში „ანტი-კარნეგი ანუ ადამიანი მანიპულატორი“ — მრისხანებისა და აგრესიის შესახებ.

„ზიზღი — ეს გაშეშებული მტრობაა. გეზიზღებოდეს ეს ნიშნავს, რომ საკუთარი ენერგია შებოჭილი გაქვს. იმისთვის, რომ ზიზღით საკუთარი თავი არ დაანგრიოთ, ის კონტაქტიან მრისხანებაში უნდა გადავზარდოთ. როდესაც ჩხუბი გინდათ, ტანიც კი გიგრძნობთ ამას — გულისცემა და სუნთქვაც ხშირდება, კუნთების ტონუსი მაღლდება. ამ დროს ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოიმოქმედოთ, არის ის, რომ თქვენი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, თქვენი განცდები ჩააბრუნოთ და ჩაკლათ საკუთარ თავში. თავდასხმის შემთხვევაში ორი ვარიანტი არსებობს: შესაძლებელია გაქცევა, ან კონტრშეტევის განხორციელება, თუმცა ასეთ სიტუაციებში ადამიანები ხშირად შეშდებიან. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ არც შიშის და არც აგრესიის გამოხატვა არ ძალუძთ. ე.ი. ადეკვატური რეაგირება არ შეუძლიათ. ასეთი ადამიანის არსებაში ორი ტაბუ ძევს: გაქცევა არ შეიძლება (გამოჩნდება, რომ შეეშინდა) და ხურდის დაბრუნებისთვის შეიძლება დაისაჯოს (აგრესიულობა იკიცხება).

არსებობენ ისეთი „მშიშრებიც“, რომლებიც მთვრალ მდგომარეობაში გულადობის სასწაულებს ახდენენ. ამ დროისთვის მათთვის არ არსებობს ქცევის სოციალური ნორმები, რომელსაც მთელი ბავშვობის მანძილზე თავში უტენიდნენ. ასეთ შემთხვევაში ქრება შიში, მაგრამ არა ჩხუბის შიში, არამედ — აკრძალული ემოციების გამოხატვის შიში.

ბიბლიის მიხედვით მრისხანება დიდი ცოდვაა, შიში კი — არა.

ეს გასაგებია: შიში არა მარტო კეთილ საქმეს აბრკოლებს, არამედ ადამიანს აბრკოლებს და აკავებს დანაშაულებრივი ქმედებების განზრახვებისგან. მრისხანებას აშკარად აზის ანტისოციალური ელფერი, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბოროტებისადმი ძალადობის არდაპირისპირება არაქრისტიანული პოსტულატია. ეკლესიის ერთ-ერთი შეგონებით, ადამიანი, რომელიც არ შეეწინააღმდეგება ძალადობას და მოკლული იქნება, თვითმკვლელად უნდა ჩაითვალოს. სიცოცხლე ღვთის საჩუქარია და მას მოფრთხილება სჭირდება. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ზოგიერთისთვის აგრესიისა და მრისხანების გრძნობის მიღწევა გაცილებით ძნელია, ვიდრე შიშისა.

ახლა, როცა ორი საყურადღებო მიმართულება გარკვეულია და (შიშის გამოვლენის შესწავლა და მრისხანების გამოვლენის შესწავლა) შიშის საწინააღმდეგო მიზნები დასახულია, შესაძლებელია მუშაობის მეთოდებზეც ვისაუბროთ.

1. დაიწყეთ მსახიობის ტექნიკით: მიიღეთ ძალიან შეშინებული ადამიანის პოზა და მიმიკა — თავი მხრებში ჩამალეთ, მოიკუნტეთ, მოხარეთ მუხლები და შეეცადეთ, აღიდგინოთ ის სიტუაცია და გრძნობები, რომელიც შიშის დროს გეუფლებათ. თუ აგრესიის შეგეშინდათ, გაიხსენეთ ის შემთხვევა და ხელახლა განიცადეთ. ეცადეთ, ხელოვნურად კიდევ დაუმატოთ შიშის გრძნობა, რაც უფრო ღრმად შეიგრძნობთ შიშს, მით უკეთესია. ამის შემდეგ გაშალეთ მხრები და ბედნიერი ადამიანის სახე მიიღეთ. გაიღიმეთ, გაიცინეთ — ამ პროცედურისას ნამდვილი სიხარული უნდა შეიგრძნოთ.

2. ახლა კი დროა აგრესორად გადაიქცეთ — მიიღეთ მოზიზღარი სახე, დაიწყეთ ღრენა. უცებ ისევ შეშინებულ პოზას დაუბრუნდით, კვლავ რეალურად შეიგრძენით შიში. შემდეგ ისევ აგრესია, ყოვლისმომცველი მრისხანება გამოისახეთ.

ემოციიდან ემოციაში მკვეთრად გადასვლას თავიდან გარკვეული დრო დასჭირდება. ბოლოს კი ისე გაიწაფებით, თვალის დახამხამებაში მოახერხებთ. ეს ყოველივე შიშის გრძნობას ვერ დაგაკარგვინებთ, მაგრამ გამოგიმუშავებთ ჩვევას, რომელიც გრძნობების გაკონტროლებაში დაგეხმარებათ.

P. S. სხვადასხვა ეროვნების ადამიანებში, ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, შიშისა და გულადობის გამოვლენას სხვადასხვა ფაქტორები იწვევს. ამიტომ ზემოთ მოყვანილ წერილში გამოთქმული მოსაზრებანი უნივერსალური არ გახლავთ.

**თუ თქვენ უკვე ჩამოყალიბებული გაქვთ გარკვეული სტერეოტიპი და ჩვევა, მისი შეცვლის შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენეთ, ხოლო თუ თქვენი შვილი, ძმა, ნათესავი, ან სულაც პატარა ნაცნობი ფოტოზე გამოსახული ბიჭის ტოლია, მაშინ ეცადეთ ამ ასაკიდანვე მიაჩვიოთ შიშსაც და სიმამაცესაც, ნურც აგრესიულობას დაუშლით, ოღონდ, აუცილებლად უნდა ასწავლოთ, რომ სუსტი არ დაჩაგროს, აგრესორს კი ყოველთვის საკადრისი პასუხი გასცეს!**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლინკოლნი ფურგონშიც Lincoln-ია!

## NAVIGATOR

ეს უზარმაზარი მანქანა, რომელსაც „ლინკოლნ-ნავიგატორი“ ჰქვია, ადამიანს პირველი მიახლოებისთანავე აოცებს — კარის გაღებისთანავე თქვენ წინ მორჩილად გამოიშლება საფეხური, ურომლისოდაც ამსიმაღლე მანქანის სალონში შეღწევა ერთობ გაგიჭირდებოდათ.

საბარგულის სახურავიც ელექტრომოწყობილობით იღება, საკმარისია თითი დააჭიროთ ბრელოკს ან მანქანის სახურავზე მოთავსებულ ღილაკს, რომ მეხუთე კარი ნელ-ნელა ზემოთ აიწევს. თუმცა, მისი მთლიანად გაღება თუ არ გჭირდებათ, შუშის ჩაწევაც შეიძლება, ოღონდ ამჯერად მექანიკურად, ხელით. ღია ფერის ტყავი, ხისა და მეტალის მოპირკეთება და... ღილაკები, ღილაკები... უთვალავი ღილაკი. მარტო საჭეზე რვა ცალია, აქედან კრუიზ-კონტროლის, აუდიოსისტემისა და კლიმატსისტემის რეგულირებაც შეიძლება...

სალონის სივრცემ, მანქანის კონსტრუქტორ-დიზაინერებს საშუალება მისცა წინა იდაყვსაყრდენი საშუალო მაგიდის ტოლი გაეკეთებინათ. მეორე, თითქმის ასეთივე ზომის „ყუთი“ უკანა სავარძლებს შორისაა მოთავსებული. ნუთუ, ამოდენა „ავტობუ-




არსენალი
Lincoln Navigator

ეროვნული ბიბლიოთეკა



სტანდარტული კონფიგურაციის „ნავიგატორი“ მართალია, ამართლებს სახელს, მაგრამ მაინც მოასფალტებული გზა უფრო „მოსწონს“

სი“ ოთხადგილიანიაო, — იკითხავს გამოუცდელი მკითხველი. რა თქმა უნდა, არა! საბარგულში სავარძლების კიდევ ერთი რიგია გათვალისწინებული, რომელიც ღილაკზე თითის დაჭერით გაჩნდება და მეორე ღილაკის მეშვეობით კი კვლავ იატაკში ჩაიმალება...

„საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა“ ნებისმიერ ანჩხლ კლიენტს გაანეიტრალებს. უკანა რიგის მგზავრთათვის გათვალისწინებულია მაგნიტოლის და მაგნიტოფონის ავტონომიური მართვის ბლოკები, აგრეთვე შვიდდიუმიანი ეკრანი, რომელზეც ვიდეოფილმების ნახვა შეიძლება.

პედლები სპეციალურ ძრავას მძღოლი ფეხების სიგრძის შესაბამისობაში მოჰყავს. მართვად წინა სავარძლებში ჩამონტაჟებულია ხუთრეჟიმიანი სავენტილაციო სისტემა. მაჩვენებელთა დაფაზე გან-



„ნავიგატორი“ რის „ლინკოლნი“ იქნებოდა, ფუფუნებისა და სიმდიდრის განწყობილებას რომ არ აფრქვევდეს...



ეს მანქანა „თავის ჭკუაზე“ მოჰყავთ მილიონერებს, სპორტისა თუ კინოს სუპერვარსკვლავებსა და უბრალოდ, ახირებულ ავტომოყვარულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაგებულია „ოპტოტრონული“ კომბინაცია – „ახალთ-ახალი“ სქემებითა და ღია წითელი ისრებით, რომლებიც გასაღების გადატრიალებისთანავე ინთება.

ახლა სალონიდან გარეთ გავიდეთ და მანქანას მოძრაობისას შევხედოთ: ჩვეულებრივი მსუბუქი მანქანების ნაკადში Lincoln Navigator-ი თავისი პრიალა ლაკირებული კორპუსით, საბუქსირე კატარღებით გარშემორტყმულ ატომურ ავიამზიდს წააგავს. მის გვერდზე საშუალო ზომის ყველგანმავლებიც კი ერთი თავით დაბლები ჩანს. უკანა ხედვის სარკეში გამოჩენილი ნავიგატორის ვეშაპის ხახასავით დაღებული ცრურადიატორის გისოსების დანახვაზე კი, ყველაზე მაგარ ბიჭებსაც გზის დათმობის სურვილი უჩნდებათ.

ამ მონსტრის საჭის მექანიზმის ნორმალური გადამცემი ურთიერთობა უდრის 17:1 (ერთი ბოლოდან, მეორე ბოლომდე სამ ბრუნზე ნაკლები). ასეთი დიდი მანქანისათვის უჩვეულოა მცირე დაგვერდავება მოძრაობის დროს, რაც თითოეული ბორბლის ახალი ტიპის პნევმოსაკიდარის დამსახურებაა. საბოლოო ჯამში ამოდენა მანქანის ტარება იოლი და სასიამოვნოა. მოულოდნელი შეგრძნებაა, როცა უზარმაზარი ყველგანმავალი, მოძრაობაში მსუბუქი მანქანის თვისებებს ამჟღავნებს. მაგრამ ერთი მთავარი უარყოფითი ნიშანი მაინც გაბარიტებია, ისედაც საშუალო ზომის სატვირთო მანქანისოდენა „ლინკოლნ-ნავიგატორის“ სიფართეს ორივე მხრიდან 20-სანტიმეტრიანი გვერდითა სარკეებიც ემატება. წარმოიდგინეთ ქალაქის მანქანების სადგომი ვიწრო ქუჩაზე, სადაც „ლინკოლნ-ნავიგატორი“ გასაჩერებელ ადგილს ეძებს...

სიჩქარის აკრეფის საქმეში ლინკოლნი „ამერიკელად“ დარჩა. მიუხედავად 300 ცხ.ძ. 5,4 ლიტრიანი V8 ძრავისა, იგი სიჩქარეს დინჯად, ყოველგვარი ფაციფუცის გარეშე კრეფს. სპიდომეტრის მიხედვით ნავიგატორი 170 კმ/სთ-ს ავითარებს, რომლის შემდეგაც პრაქტიკულად ველარ უმატებს სიჩქარეს.

მუხრუჭები მთლიანად ელექტრომოწყობილობებითაა გაჯერებული. საკმარისია პედალზე ფეხის სწრაფი დაჭერა და ნავიგატორი ადგილზე ქვავდება. მითუ-

**თუ უკანა ხედვის სარკეში მსგავსი სურათი იხილეთ და ამ დროს „კამაზის“ საჭესთან არ ზიხართ, ჯობია გზა დაუთმოთ, ხომ წარმოგიდგენიათ, სპილო ჭურჭლის მაღაზიაში როგორ მოიქცევა...**





**არსებობს როგორც ამერიკული (სიჩქარეთა გადამრთველი საჭეზე), ისე გაევროპელებული ვარიანტიც...**

მეტეს, რომ უზარმაზარი საბურავების (Michelin) მოჭიდების ხარისხი საუკეთესოა. ოღონდ სამტონიანი მასის მქონე მანქანის ტარების დროს მუხრუჭზე დაწოლის შესაბამისი ძალის შერჩევა ერთობ ძნელია, გადამეტებული დაწოლისას მანქანა უცებ ჩერდება, არასაკმარისის დროს კი ოდნავ ანელებს სვლას, რაც, რა თქმა უნდა, ქალაქში მოძრაობის დროს საავარიო სიტუაციებს შექმნის. „ნავიგატორის“ ტრანსმისიის შესაძლებლობები სავსებით აკმაყოფილებს საშუალო სიმძიმის ყველგანმავალის მოთხოვნებს. ტალახსა და თოვლში შეიძლება ორიდან ერთი მყარი ამძრავის გამოყენება. ელექტრონიკა დაეხმარება აგრეთვე ტალახში ან თოვლში ჩარჩენილებსაც, ის საჭირო შემთხვევაში დიფერენციალების ბლოკირებას მოახდენს. ასე რომ, ტალახსა და უგზოობასთან ჭიდილში მიენდეთ ნავიგატორს, იგი ბოლომდე იბრძოლებს. თუმცა ეცადეთ, დიდ ლაფში არ მოხვდეთ. აი, ასფალტზე კი ნავიგატორი ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. ამიტომ, თუ თქვენ საბანკო ანგარიშზე ან სეიფში რაღაც 86000 ამერიკული დოლარი მოგეძებნებათ და ამ ფულის დახარჯვაც თავისუფლად შეგიძლიათ, მაშინ შეიძინეთ Lincoln Navigator-ი. ოღონდ თბილისური ავტოსადგომების გაბარიტებიდან გამომდინარე, მისი გაჩერება სავალ ნაწილზე ან ტროტუარზე მოგიწევთ. ეს კი თანამოქალაქეების არცთუ უმიზეზო გულისწყრომას გამოიწვევს, რასაც მანქანის პატრონისა და მისი ახლობლების არასახარბიელო კონტექსტში მოხსენიება მოჰყვება. მოკლედ, ჩვენ ჩვენი გითხარით და თქვენი საქმისა თქვენ იცით...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მიკროკალაშნიკოვი“ ებრაულად



## Micro-Galil-ები ქართული არმიის საიარაღო ოთახშიც ინახება

ისრაელის წარმოების თანამედროვე ავტომატური იარაღი Tavor-21 და Micro-Galil-ები საქართველოს შინაგანი ჯარების შეიარაღებაში ჯერ კიდევ გასული წლის 26 მაისის სამხედრო აღლუმის დროს გამოჩნდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს დასავლური სტანდარტის იარაღი არ გამოუყენებიათ 2004 წლის ცხინვალის მოვლენებში.

შინაგანი ჯარების დავდაცვის სამინისტროში გაერთიანების შემდეგ ეს თანამედროვე იარაღი უკვე არმიის სპეცდანიშნულების ბრიგადის განკარგულებაში აღმოჩნდა.

„არსენალი“ თავის დროზე წერდა Tavor-21-ის გამოცდის შემდეგ მიღებულ შთაბეჭდილებებზე. ამჯერად თქვენს ყურადღებას მეორე ებრაულ „გასტროლიორზე“ – Micro-Galil-ზე შევაჩერებთ.

1967 წელს „ექვსდღიანი“ არაბეთ-ისრაელის ომის ანალიზის შემდეგ ებრაელი სამხედროები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათი ბელგიური წარმოების FN FAL ტიპის მოიერიშე ავტომატურმა შაშხანებმა ნამდვილად ვერ აჯობეს არაბების საბჭოთა AK-47-ებსა და მითუმეტეს, AKM-ებს.

ორი წლის შემდეგ ისრაელის თავდაცვის ძალების კომისიაზე გაიტანეს ორი ახალი ტიპის ავტომატი. პირველის კონსტრუქტორი უზიელ გალი (ლეგენდარული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის UZI-ის შემქმნელი) გახლდათ, მეორისა კი ისრაელ გალილი.

1973 წელს ისრაელის არმიის შეიარაღებაში ისრაელ გალილის ავტომატი მიიღეს, რომელსაც Galil-ი ეწოდა.

სამხედრო სპეციალისტების აზრით, „გალილი“, ფაქტობრივად, ფინური ავტომატი Valmet RK-62-ის დამუშავებულ ანალოგს წარმოადგენდა. თავად ფინელები კი „ვალმეტს“ საბჭოთა AK-47-ის ლიცენზიის საფუძველზე აწარმოებდნენ.

ეტყობა, ამიტომაცაა დიდი მსგავსება



**Micro-Galil-ის მოკლე ლულა და სამიზნე „წითელი წერტილი“**





**Micro-Galil-ი დაკეცილი და გაშლილი კონდახით**

ებრაულ „გალილსა“ და საბჭოთა „კალაშნიკოვს“ შორის.

Galil-ს არცთუ ისე გაუმართლა, რადგან თავად ისრაელის არმიაში მას ძლიერი კონკურენცია გაუწია ამერიკულმა M-16-ებმა, რომლის დიდი პარტიებიც თელავივმა ვაშინგტონისგან შეიძინა.

ებრაელი მებრძოლები, უმეტეს შემთხვევაში, უპირატესობას სწორედ ამერიკულ „შავ შაშხანებს“ ანიჭებდნენ, ვიდრე სამამულო „გალილებს“.

„არსენალის“ მიერ გამოცდილი ავტომატი (ან უფრო სწორად, მოიერიშე ავტომატური შაშხანა, როგორც მას დასავლეთში უწოდებენ) Galil-ის ერთ-ერთ ბოლო მოდიფიკაციას – Micro-Galil-ს წარმოადგენდა. მას მეორე სახელითაც – Galil MAR-ითაც მოიხსენიებენ.

ფაქტობრივად, ებრაული Micro-Galil-ი საბაზო მოდელის Galil-ის ისეთივე მოკლელულიან ვარიანტს წარმოადგენს, როგორც АКС-74У არის АК-74 „კალაშნიკოვისთვის“ და M4 ავტომატური კარაბინი, M-16-სთვის.

ყველა ეს მოკლელულიანი ავტომატი მცირეიმპულსიან და მცირეკალიბრიან ტყვიებზეა გათვლილი – 5,56 მმ Micro-Galil-სთვის და M4-სთვის და 5,45მმ – AK-74-სთვის.

თუმცა Micro-Galil-ის მცირე პარტია (ათას ცალამდე) ისრაელის პოლიციისთვისაც უფრო მსხვილი, 7,62 მმ კალიბრიანი ტყვიების სასროლად დამზადდა.

Micro-Galil-ი, ისევე როგორც მისი საბაზო მოდელი, თავისი მექანიზმების ფუნქციონირების წესით თითქმის არ განსხვავდება რუსული „კალაშნიკოვებისგან“. მცირე განსხვავება ისაა, რომ ებრაულ „გალილებს“ „კალაშნიკოვის“ მარჯვენა მხარეს დაყენებული დამცველის გარდა, მარცხენა მხარზეც აქვთ დუბლირებადი, ტყვიების ჯერით სროლის მართვის პატარა სახელური.

გადატენის გამოსაწევი „კალაშნიკოვივით“ მარჯვნივ კი არა, ზემოთ „იყურება“, რაც მსროლელს უადვილებს მარცხენა ხელითაც გადატენოს იარაღი ისე, რომ მარჯვენა ხელის თითი სასხლეტს არ მოაშოროს.

დასაკეტი კონდახი Micro-Galil-ზე სტანდარტულია და მარჯვნივ იკეტება („კალაშნიკოვებზე“ კონდახის დაკეტვა მარცხნივ ხდება, ამერიკულ M4-ს კი საერთოდ ტელესკოპური სახის დასაკეცი კონდახი გააჩნია).

Micro-Galil-ის სიგრძე გაშლილი კონდახით 69 სმ-ია, დაკეტილით – 45სმ-ს არ აღემატება. შედარებისთვის – საბჭოთა АКС-74У-ს სიგრძე, შესაბამისად, არის 73,5 სმ და 49 სმ, ხოლო ამერიკული M4-ისა კი 84სმ და 76სმ.

ებრაულ მიკროავტომატს 19,5სმ სიგრძის ლულა უყენია და ავტომატი ვაზნების გარეშე 3კგ-საც კი არ იწონის. მჭიდში 35 ცალი 5.56X45 მმ NATO-ს სტანდარტის ვაზნა თავსდება. ავტომატიდან თეორიული სწრაფსროლა 700-750 გასროლას/წთ-ში აღწევს. სროლის ეფექტური სიშორე 150-200 მეტრია, ეს მაშინ, როდესაც ჩვეულებრივლულიანი „გალილისთვის“ ეს მონაცემი 3-ჯერ მეტია.

Micro-Galil-იდან სროლისას უფრო მჭახე ხმა გამოიცემა, ვიდრე იმავე ებრაული Tavor-21-იდან და ამასთან, ლულა მალე უხურდება. თუმცა ლულის გადახურება ჩვეულებრივი მოვლენაა საბჭოთა АКС-74У-სა და ამერიკული M4-ისთვისაც, რადგან ლულების დამოკლების გამო სროლის ტემპი გაიზარდა.

ებრაულ მოკლელულიან ავტომატზე ყენდება თითქმის ყველა სახის თანამედროვე ოპტიკური სამიზნე, მიზნის მაჩვენებელი ლაზერული მოწყობილობა, ტაქტიკური ფარანი თუ სწრაფად დამიზნებადი „წითელი წერტილი“.

Micro-Galil-ი, ისევე როგორც რუსული АКС-74У და ამერიკული M4 ძირითადად, სპეცდანიშნულების რაზმების მიერ ქალაქის პირობებში საბრძოლო ოპერაციების განხორციელებისას გამოიყენება, რადგან დამოკლებული ლულა მებრძოლს შენობის შიგნით სწრაფ მანევრირებას უადვილებს, ხოლო 200 მ-იანი ეფექტური სროლის მანძილი სრულიად საკმარისია ქუჩებში მოკლე დისტანციაზე საბრძოლველად.

*ირაკლი ალადაშვილი*



**M4A1**



**АКС-74У**

# Micro-Galil




არსენალი

ი 12/27

ეროვნული ბიბლიოთეკა